



თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის
ნორმები – კომპოზიცია

თბილისი
2025

ნაშრომი „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები – კომპოზიცია“ სალექსიკონო დანართითურთ მომზადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი – SL-24-157).

მთავარი რედაქტორი – თამარ ვაშაკიძე
რედაქტორი – ქეთევან დათუკიშვილი

ავტორ-შემდგენლები: თეა ბურჭულაძე, ქეთევან დათუკიშვილი, თამარ ვაშაკიძე, მაკა ლაბარტყავა, ვახტანგ მაღრაძე, თეა ტეტელოშვილი, ნინო ჯორბენაძე

მონაცემთა ბაზებზე მუშაობდნენ: ნამილ გასანოვი, ნათია ტყემალაძე, სანდრო ჩემინავა

საგამომცემლო-სარედაქციო საბჭო: თეა ბურჭულაძე, გიორგი გოგოლაშვილი, ქეთევან დათუკიშვილი (რედაქტორი), თამარ ვაშაკიძე (მთავარი რედაქტორი), მაკა ლაბარტყავა, ვახტანგ მაღრაძე, თეა ტეტელოშვილი, ვაჟა შენგელია, ნინო ჯორბენაძე

მონაცემთა ბაზის ოპერატორი, ტექნიკური
რედაქტორი – ლევან ვაშაკიძე

ოპერატორი – რუსუდან რატიანი

წინასიტყვაობა

კრებული „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები – კომპოზიცია“ მოიცავს 12 სანორმე პროექტს და 3000-ზე მეტი ერთეულისაგან შედგენილ მცირე ლექსიკონს (დანართის სახით), რომელიც მომზადდა განახლებული ნორმების მიხედვით.

აღნიშნული სამუშაოს განხორციელების შედეგად შეივსო სალიტერატურო ენის ნორმათა ბაზა, გადაიჭრა ორთოგრაფიის არაერთი პრობლემა, გადაწყდა ქართული ენის მართლწერის ბევრი სადავო საკითხი; შეიქმნა თეორიული საფუძველი სრული ორთოგრაფიული ლექსიკონის ახალი გამოცემისათვის.

წინამდებარე ნაშრომს აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. იგი დაეხმარება მოსწავლე-აბიტურიენტებს, სტუდენტებს, ჟურნალისტებს, გამომცემლებს, მასწავლებლებს, საჯარო მოხელეებს...

კრებული დანართითურთ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის პროცესში და ხელს შეუწყობს სახელმწიფო ენის დაცვას, განვითარებასა თუ მის სრულფასოვან ფუნქციონირებას.

სარჩევი

წინასიტყვაობა	
თამარ ვაშაკიძე – არ, არა და არც ნაწილაკების მართლწერა	5
თეა ბურჭულაძე – ორცნებიანი კომპოზიტების მართლწერა	20
თეა ბურჭულაძე – ორმაგსახელწოდებიან და ორმაგსტატუსიან კომპოზიტთა მართლწერა	24
თეა ბურჭულაძე – უცხოური ფუძის შემცველ კომპოზიტთა მართლწერა	29
ქეთევან დათუკიშვილი – ზმნურ კომპოზიტთა მართლწერა	34
ქეთევან დათუკიშვილი – სახელზმნურ კომპოზიტთა მართლწერა	45
მაკა ლაბარტყავა – რიცხვითი სახელის შემცველი შესიტყვებისაგან დერივაციის გზით მიღებულ სახელთა მართლწერა	57
მაკა ლაბარტყავა – რიცხვითი სახელის შემცველ კომპოზიტთა მართლწერა	64
მაკა ლაბარტყავა – რიცხვითი სახელის შემცველი კომპოზიტებისაგან დერივაციის გზით მიღებულ სახელთა მართლწერა	71
ვახტაგ მაღრაძე, ნინო ჯორბენაძე – ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტთა მართლწერა	74
თეა ტეტელოშვილი – ბრუნვისფორმიან სიტყვათა შემცველი კომპოზიტების მართლწერა	79
დანართი – კომპოზიტთა მცირე ლექსიკონი	91

თამარ ვაშაკიძე

არ, არა და არც ნაწილაკების მართლწერა

არ, არა და არც ნაწილაკების გამოყენებისას უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. როცა **არ** ნაწილაკი კავშირებითის ფორმისაგან აწარმოებს უკუთქმით ბრძანებითს ან მარტივად უარყოფს ზმნით გამოხატულ მოქმედებას, ის (**არ** ნაწილაკი), როგორც წესი, უნდა დაიწეროს ცალკე: **არ წავიდეს! არ დაწერონ! არ გააკეთოს! არ გადაწყვიტოს!... არ ვიცი, არ მიდის, არ უნდა, არ ესმის...**

1.2. **არ** ნაწილაკით მიღებული ახალი ლექსიკური ერთეულები ერთ სიტყვად დაიწერება: **არარსებობა, არგათენება, არდავიწყება, არდაზოგვა, არყოლა, არქონა, არყოფნა..., არარსებული, არგაგონილი, არნახული, არგადასარჩენი და მისთ.**

შენიშვნა 1. არმისული უნივერსიტეტამდე/ოპერამდე/მუზეუმამდე... ტიპის გამონათქვამები რუსულის კალკია. უნდა ვთქვათ და ვწეროთ: **უნივერსიტეტამდე, ოპერამდე, მუზეუმამდე..., ან კიდევ: ვიდრე/სანამ უნივერსიტეტამდე/ოპერამდე/მუზეუმამდე... მივალთ (მიხვალთ, მივლენ).**

2. თუ **არა** ნაწილაკი (ზმნასთან მიმართებით) გამოხატავს მიგებითობა-უკუთქმითობას („ჩემთან გაქვს საქმე? – **არა**, შენი ჭირიმე“...) ან მარტივ უარყოფას („საქმე **არა** მაქვს“, „**არა** მგონია, მოვიდეს“), ის (**არა** ნაწილაკი), როგორც წესი, ცალკე სიტყვად იწერება (ამ უკანასკნელ შემთხვევაში **არ** ნაწილაკიც გამოიყენება): „ინტერნეტი თუ გაქვს? – **არა/არ** მაქვს“; „**არა/არ** მგონია, ეს საკითხი დღეს გადაწყდეს“...

2.1. **არა** ნაწილაკით მიღებული ახალი ლექსიკური ერთეულები ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს: **არააქტუალური, არაადეკვა-**

ტური, არაკონსტიტუციური, არალეგიტიმური, არასტაბილური, არა-ორდინარული..., არასათანადო, არასამეწარმეო, არასამთავრობო, არასაუწყებო..., არანებაყოფლობითი, არაარსებითი, არაპროგნოზირებადი..., არაერთგვაროვანი, არასწორხაზოვანი..., არაძალადობრივი, არასამართლებრივი..., არაპრობირებული, არარეალიზებული, არასანქცირებული და ა. შ.

2.2. როცა გამონათქვამებს – არა ერთი, არა ერთხელ, არა ერთგზის – მოსდევს ლექსიკური ერთეულები: და ორი (არა ერთი და ორი), და ორჯერ (არა ერთხელ და ორჯერ), და ორგზის (არა ერთგზის და ორგზის)..., არა ნაწილაკი ცალკე სიტყვად დაიწერება, მაგ.: „ამ საკითხზე არა ერთი და ორი წერილი დაიბეჭდა“; „ამის შესახებ არა ერთხელ და ორჯერ ითქვა“; „არა ერთგზის და ორგზის აღინიშნა, რომ სხდომაზე დასწრება აუცილებელია“...

2.3. თუ არა ნაწილაკის მომდევნო ლექსიკურ ერთეულს (ზედ-სართავს, მიმღობას...) მოჰყვება არამედ კავშირი, ის (არა ნაწილაკი) ცალკე სიტყვად უნდა დაიწეროს, მაგ.: „ეს იყო არა გულწრფელი, არამედ ფარისევლური საუბარი“, შდრ.: „ეს იყო არაგულწრფელი საუბარი“; „განიხილეს არა არსებითი, არამედ მეორეხარისხოვანი საკითხები“, შდრ.: „განიხილეს არაარსებითი საკითხები“...

2.4. არაუადრეს, არაუგვიანეს, არაუმეტეს წარმოქმნილი ზმნისართები ერთ სიტყვად იწერება: „ქალაქში დაბრუნდებიან არაუადრეს 7 საათისა“; „სხდომა დაინიშნება არაუგვიანეს 12 საათისა“; „ლუკა იქნება არაუმეტეს 17 წლისა“...

2.5. არამართო – არამედ, არამხოლოდ – არამედ მაჯგუფებელი კავშირების (წყვილი კავშირების) პირველი კომპონენტი (არამართო, არამხოლოდ) ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს – ისევე, როგორც არათუ (არათუ – არამედ): „მშობელთა კრებას ესწრებოდნენ არამართო/არამხოლოდ მშობლები, არამედ მოსწავლეებიც“...

2.6. მაპირისპირებელი კავშირის ფუნქციით გამოყენებული ლექსიკური ერთეული არადა ერთ სიტყვად იწერება („ვითარება

უცებ დაიძაბა, არადა თითქოს ყველაფერი კარგად იყო“...), ხოლო „არა და არ“ გამონათქვამში სამივე კომპონენტი ცალ-ცალკე უნდა დაიწეროს („არა და არ დასრულდა სკოლის მშენებლობა“...).

3. **არც ერთი** ცალ-ცალკე დაიწერება მაშინ, როცა მას მოჰყვება ლექსიკური ერთეულები – **არც მეორედ/მესამედ...** („დმერთმა ხომ იცოდა, რომ **არც ერთი** იყო არაბი და **არც მეორე** ვენეციელი“ – უიარ.), მაგრამ „**არცერთი** არგუმენტი არ იყო მისაღები“ ტიპის კონტექსტებში **არცერთი** უარყოფითი ნაცვალსახელია და ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს.

3.1. **არც ერთხელ** ცალ-ცალკე იწერება იმ შემთხვევაში, თუ მას მოსდევს **არც მეორედ/მესამედ...** ლექსიკური ერთეულები („ლუკა **არც ერთხელ** დასწრებია სხდომას და **არც მეორედ**“...), მაგრამ „სტუდენტი **არცერთხელ** არ გამოცხადებულა ლექციაზე“ ტიპის კონტექსტებში **არცერთხელ** (ისევე – როგორც ცალკე აღებული **ერთხელ**) რიგობით-ჯერობის ზმნისართია და ერთ სიტყვად დაიწერება.

შენიშვნა 2. ანალოგიური ვითარება გვექნება **ვერც ერთი** და **ვერცერთი**, **ნურც ერთი** და **ნურცერთი** ლექსიკური ერთეულების შემთხვევებშიც (მაგ.: „**ვერც ერთი** იღებდა ხმას და **ვერც მეორე**“, მაგრამ: „**ვერცერთი** ხმას ვერ იღებდა“...; „**ნურც ერთი** წავა და **ნურც მეორე**“, მაგრამ: „**ნურცერთი** ნუ წავა“...).

ვერც ერთხელ და **ნურც ერთხელ** ლექსიკური ერთეულებიც ცალ-ცალკე დაიწერება მაშინ, როცა მათ მოჰყვება: **ვერც/ნურც მეორედ/მესამედ...** („**ვერც ერთხელ** ვნახე ეს რეპორტაჟი და **ვერც მეორედ**“; „**ნურც ერთხელ** მოიჭრი უკან დასაბრუნებელ გზას და **ნურც მეორედ**“...), მაგრამ „**ვერცერთხელ** ვერ ვნახე ეს რეპორტაჟი“, „**ნურცერთხელ** ნუ მოიჭრი უკან დასაბრუნებელ გზას“ ტიპის კონტექსტებში **ვერცერთხელ** და **ნურცერთხელ** უნდა დაიწეროს ერთად.

3.2. **არცერთი**, **ვერცერთი**, **ნურცერთი** უარყოფითი ნაცვალსახელებისა და **არცერთხელ**, **ვერცერთხელ**, **ნურცერთხელ** რიგობით-

ჯერობის ზმნისართთა გამოყენებისას აუცილებელია ორმაგი უარყოფა: „არცერთი არ გამოცხადდა“, „ვერცერთმა ვერ გვიპასუხა“, „ნურცერთი ნუ იტყვის“...; „არცერთხელ არ დასწრებია“, „ვერცერთხელ ვერ ვნახეთ“, „ნურცერთხელ ნუ გააცდენს“...

დასაბუთება

თანამედროვე ქართულში **არ**, **არა** და **არც** ნაწილაკები ორი დანიშნულებით გამოიყენება: ერთ შემთხვევაში ისინი გარკვეული სახის უკუთქმითობის შინაარსს სძენენ გამონათქვამს, ხოლო სხვა შემთხვევაში ახალ ლექსიკურ ერთეულებს წარმოქმნიან, რაც განაპირობებს მათთან დაკავშირებულ მართლწერის პრობლემებს.

* * *

ზმნასთან დაკავშირებული **არ** ნაწილაკი გამოხატავს: უკუთქმით ბრძანებითობას (**არ** წავიდეს! **არ** უპასუხო! **არ** გაბედოთ!...); მარტივ უარყოფას (**არ** დადის, **არ** სწავლობენ, **არ** იციან...); აღტაცება-გაკვირვებას, როცა მოქმედება დადებითად არის წარმოდგენილი („ძლივს შუბლგახსნილი **არ** ვნახე!“ – ილია).

მაწარმოებელი ფორმანტის ფუნქციით **არ** ნაწილაკი დაერთვის: მასდარს (**არდავიწყება**, **არყოფნა**, **არდაზოგვა**...); სასუბიექტო და საობიექტო მიმღეობებს (**არმცოდნე**, **არმყოფი**..., **არგაგონილი**, **არნახული**, **არდასარჩენი**...); ნაცვალსახელს (და, შესაბამისად, მიიღება უარყოფითი ნაცვალსახელი: **არვინ**); ნაცვალსახელურ კითხვით ზმნისართებს: **არსაიდან**, **არსად** (მიიღება უარყოფითი ზმნისართები).

არ ნაწილაკი გამოიყენება აგრეთვე სხვადასხვა დარგის ტერმინთქმნადობისას (**არმწიფებადი**, **არგამტარი**...). ის (**არ** ნაწილაკი) მრავლად გვხვდება ფრაზეოლოგიურ გამოთქმებსა თუ ფიცისა და წყევლა-დალოცვის ფორმულებშიც („ყურებზე ხახვი **არ** დამაჭრას“; „ბუხს **არ** აიფრენს“..., „დედა **არ** მომიკვდეს“..., „ღმერთმა სიკეთე **არ** მოგიშალოთ“..., „**არ** გაიხაროს“...).

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ქართულში (განსაკუთრებით – მოსწავლე-აბიტურიენტთა წერითი მეტყველებისას) შეინიშნება **არ** ნაწილაკისა და ზმნის ერთ სიტყვად დაწერის ტენდენცია (ყველაზე ხშირად – აწმყოს მწკრივის შემთხვევებში), რაც, რა თქმა უნდა, უმართებულოა (მაგ.: „ნიკოლოზ ბარათაშვილმა **არიცის**, რატომ იყო ცხოვრება ფუჭი და ამაოება“; „ხო **არიცი**, რა უნდა?“ „**არვიცი**, რომელი პერსონაჟია უფრო დადებითი“; „მეფე გიორგი არსაკიმესთან **არმიდის**“; „ფარსმანს **არუყვარს** არავინ“; „შორენას **არუნდა** გიორგის ნახვა“; „თეიმურაზი **არუჯერებს** მარგოს“; „ელი **არფიქრობს** მომავალზე“; „ელი **არდარდობს** შვილზე“ და მისთ.).

ზმნასთან დაკავშირებული **არ** ნაწილაკი, როგორც წესი, ცალკე უნდა დაიწეროს: **არ** წერს (**არ** ვწერ, **არ** წერ), **არ** მუშაობს (**არ** ვმუშაობ, **არ** მუშაობ), **არ** აკეთებს (**არ** ვაკეთებ, **არ** აკეთებ), **არ** იცის (**არ** ვიცი, **არ** იცი), **არ** უნდა (**არ** მინდა, **არ** გინდა), **არ** აქვს (**არ** მაქვს, **არ** გაქვს), **არ** ჰყავს (**არ** მყავს, **არ** გყავს), **არ** სცივა მას (**არ** მცივა, **არ** გცივა), **არ** შია (**არ** მშია, **არ** გშია)...

როგორც ზემოთ ითქვა, **არ** ნაწილაკი სადერივაციო ფუნქციითაც გამოიყენება არაერთგზის. ასეთ შემთხვევებში დასტურდება როგორც დეფისიანი, ისე უდეფისო და ცალ-ცალკე დაწერილობით წარმოდგენილი ვარიანტები (**არ-ცოდნა**, **არ-ცოდვა...**, **არცოდნა**, **არცოდვა...**, **არ ცოდნა**, **არ ცოდვა** და მისთ.). აღსანიშნავია, რომ დასახელებული ტიპის შემთხვევებში (ყველგან) **არ** ნაწილაკი სიტყვამაწარმოებელი აფიქსის ფუნქციას ასრულებს. შესაბამისად, წარმოქმნილი ლექსიკური ერთეული შერწყმულად დაიწერება: **არცოდნა**, **არცოდვა...**, **არარსებობა**, **არგათენება**, **არდავიწყება**, **არდაზოგვა**, **არყოლა**, **არქონა**, **არყოფნა...**, **არარსებული**, **არგაგონილი**, **არნახული**, **არგადასარჩენი** და ა. შ.

რაც შეეხება **არმისული უნივერსიტეტამდე** / **ოპერამდე** / **მუზეუმამდე**... ტიპის გამონათქვამებს, ისინი რუსულის გზით შემოსული კალკებია. უნდა ვთქვათ და ვწეროთ: **უნივერსიტეტამდე**, **ოპერამდე**, **მუზეუმამდე...**, ან კიდევ: **ვიდრე** / **სანამ უნივერსიტეტამდე** / **ოპერამდე** / **მუზეუმამდე**... **მივალთ** (მიხვალთ, მივლენ).

თანამედროვე ქართულში არა ნაწილაკი გამოხატავს: მიგები-
თობა-უკუთქმითობასა („ჩემთან გაქვს საქმე? – არა, შენი ჭირიმი“; „არ
იტყვი, რა დაგემართა? – არა!“) და მარტივ უარყოფას. ამ უკანასკნელ
შემთხვევაში არ ნაწილაკიც გამოიყენება („იმედი არა/არ მაქვს“;
„არა/არ მგონია, ამ საქმიდან რამე გამოვიდეს“...).

ზემოთ (არ ნაწილაკთან დაკავშირებით) ითქვა და აქაც უნდა
აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქართულში მომრავლდა არა ნაწილა-
კისა და ზმნის ერთ სიტყვად დაწერის უმართებულო შემთხვევები
(„იმედი არამაქვს“; „არამგონია“, „არამჯერა“ და მისთ...).

ზმნასთან დაკავშირებული არა ნაწილაკი, როგორც წესი, უნდა
დაიწეროს ცალკე: არა აქვს (არა მაქვს, არა გაქვს), არა ჰგონია (არა
მგონია, არა გგონია), არა ჰყავს (არა მყავს, არა გყავს), არა სჯერა (არა
მჯერა, არა გჯერა)...

სიტყვამაწარმოებლის ფუნქციით არა ნაწილაკი დაერთვის: არ-
სებით სახელს (არაკაცი...); ზედსართავს (არაზუსტი...); რიცხვით სა-
ხელს (არაერთი); ნაცვალსახელს (არავინ...); სხვადასხვა სახის წა-
რმოქმნილ სახელს (არაკაცობა, არაწესიერი, არაკონსტიტუციური,
არასაჯარო, არასასკოლო, არამცირედი, არაგულითადი...); კომპო-
ზიტს (არაგულქვა, არაორგული, არავაჟკაცი, არამამულიშვილი...);
სასუბიექტო და საობიექტო მიმღეობებს (არამშენებელი, არამ-
წვეველი..., არამოტივირებული, არასანქცირებული...); ზმნისართს
(არაერთგზის, არაერთხელ...); კავშირს (არადა, არათუ).

არა ნაწილაკი გამოიყენება აგრეთვე სხვადასხვა დარგის ტერ-
მინთა საწარმოებლად (არააქროლადი, არაგამტარი, არაკოქსვადი,
არამწიფებადი...).

ყველა ზემოდასახელებულ შემთხვევაში არა ნაწილაკის (რო-
გორც მაწარმოებლის) დართვით მიიღება ახალი ლექსიკური ერთე-
ულები. შესაბამისად, ის (არა ნაწილაკი) მომდევნო სიტყვასთან შე-
რწყმულად უნდა დაიწეროს: არააქტუალური, არაადეკვატური, არა-
კონსტიტუციური, არაერთფეროვანი, არასწორხაზოვანი..., არამალა-
დობრივი, არასამართლებრივი..., არაპრობირებული, არარეალიზე-
ბული, არასანქცირებული და ა. შ.

რაც შეეხება **არაერთი, არაერთხელ, არაერთგზის** ლექსიკურ ერთეულებს, ისინი ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

არაერთი (მაგრამ **არა ერთი** და ორი წელი);

არაერთხელ (მაგრამ **არა ერთხელ** და ორჯერ);

არაერთგზის (მაგრამ **არა ერთგზის** და ორგზის).

მაშასადამე, როცა **არაერთი, არაერთხელ** და **არაერთგზის** ერთად დაწერილობით არის გათვალისწინებული, **არა** ყოველთვის სიტყვამაწარმოებლის ფუნქციას ასრულებს: „**არაერთმა** სტუდენტმა გამოთქვა სურვილი“, შდრ.: „**არა ერთი და ორი** წერილი დაიბეჭდა“; „**მოსწავლეები არაერთხელ** გააფრთხილეს, არ დაერღვიათ წესრიგი“, შდრ.: „ამის შესახებ **არა ერთხელ და ორჯერ** ითქვა“; „სპორტსმენმა **არაერთგზის** მიმართა მწვრთნელს“, შდრ.: „**არა ერთგზის და ორგზის** აღინიშნა“...

ზემოთქმულს უნდა დაემატოს შემდეგიც:

როცა **არა** ნაწილაკის მომდევნო ლექსიკურ ერთეულს (ზედსართავს, მიმღეობას...) მოჰყვება **არამედ** კავშირი, ის (**არა** ნაწილაკი) ცალკე სიტყვად დაიწერება, მაგ.: „ეს იყო **არა გულწრფელი, არამედ** ფარისევლური საუბარი“, შდრ.: „ეს იყო **არაგულწრფელი** საუბარი“; „განიხილეს **არა არსებითი, არამედ** მეორეხარისხოვანი საკითხები“, შდრ.: „განიხილეს **არაარსებითი** საკითხები“; „ოთახში შევიდა **არა სრულწლოვანი, არამედ** 15-16 წლის ყმაწვილი“, შდრ.: „ოთახში შევიდა **არასრულწლოვანი** ყმაწვილი“; „მისი ღიმილი იყო **არა ბუნებრივი, არამედ** ნაძალადევი, ხელოვნური“, შდრ.: „მისი ღიმილი **არაბუნებრივი** იყო“...

ერთ სიტყვად და ცალ-ცალკე დაწერილობით წარმოდგენილ ვარიანტებს შორის ზოგჯერ თავს იჩენს შინაარსობრივი სხვაობა, მაგ., „გიორგიმ **არაჩვეულებრივი** (= გასაოცარი) სიმტკიცე გამოიჩინა“, შდრ.: „მომხსენებელმა სქემა წარმოადგინა **არა ჩვეულებრივი** (= დამახასიათებელი) ქრონოლოგიის გათვალისწინებით, არამედ – განსხვავებულად“...

ცალკე უნდა გამოიყოს **არაუადრეს, არაუგვიანეს, არაუმეტეს** ლექსიკური ერთეულები. მათი დაწერილობისას არაერთგვაროვანი ვითარება გვაქვს:

არაუმეტეს // არა უმეტეს

„საპენსიო ასაკის პირებისათვის თანაგადახდის წილი იქნება 10 %, მაგრამ **არაუმეტეს 500 ლარისა**“ (www.sakartvelosambebi.ge);

„ცენტრალური საარჩევნო კომისია **არაუმეტეს 17 წევრისგან** შედგება“ (www.sakartvelosambebi.ge);

„გამოცდის დროს ერთ სივრცეში **არაუმეტეს 10 აბიტურიენტი** იქნება“ (www.ambebi.ge);

„სამუშაო საათების მაქსიმალური ოდენობა, ზეგანაკვეთური სამუშაოს ჩათვლით, უნდა შეადგენდეს **არა უმეტეს 48 საათს**“ (hol.ge);

„რეკომენდებულია სავარჯიშო სათვალის ტარება **არა უმეტეს 2 საათისა**“ (mkurnali.ge);

„2024 წლისათვის თავდაცვის ძალების რაოდენობა **არა უმეტეს 37 ათასი სამხედრო მოსამსახურით** განისაზღვრა“ (www.interpressnews.ge)...

არაუმეტეს (ერთ სიტყვად) – 542-ჯერ; **არა უმეტეს** (ცალ-ცალკე) – 484-ჯერ.

არაუადრეს // არა უადრეს

„დაინტერესებული პირი ვალდებულია, სააგენტოში გამოცხადდეს ელექტრონული მოთხოვნის წარდგენიდან **არაუადრეს მე-4 სამუშაო დღისა**“ (sa.gov.ge);

„ამჟამად შემორჩენილი მხატვრობა გვიანდელია, **არაუადრეს XIV საუკუნისა**“ (novators.ge);

„ჩუტყვავილას ვაქცინაცია ტარდება **არაუადრეს 5 თვისა**“ (www.scribd.com);

„მთავარი ეკლესია აგებულია X საუკუნეში ან XI საუკუნის დასაწყისში და შეკეთებულია **არა უადრეს XIV საუკუნისა**“ (www.about.ge);

„მასალების გადაცემა შესაძლებელია კენჭისყრამდე **არა უადრეს მე-8 დღიდან**“ (electionreforms.ge);

„სავარაუდოდ, ეს უნდა მომხდარიყო **არა უადრეს XII-XIII საუკუნეებისა**“ (www.dzeglebi.ge)...

არაუადრეს (ერთ სიტყვად) – 87-ჯერ; **არა უადრეს** (ცალ-ცალკე) – 42-ჯერ.

არაუგვიანეს // არა უგვიანეს

„კანონით მორიგი საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს **არაუგვიანეს** მომავალი წლისა“ (tavisufleba.org);

„გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ **არაუგვიანეს** 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს“ (www.refworld.org);

„საჯარო ინფორმაცია გაიცემა დაუყოვნებლივ ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში **არაუგვიანეს** 10 დღისა“ (csb.gov.ge);

„ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის გაგზავნიდან **არა უგვიანეს** მე-7 დღისა“ (www.scribd.com);

„აღნიშნული დადგენილება მიიღება დაკავებიდან **არა უგვიანეს** 48 საათისა“ (www.nplg.gov.ge);

„ფიზიკური პირები ქონებაზე და მიწაზე ქონების გადასახადს იხდიან **არა უგვიანეს** მიმდინარე წლის 17 ნოემბრისა“ (www.palitravideo.ge)...

არაუგვიანეს (ერთ სიტყვად) – 764-ჯერ; **არა უგვიანეს** (ცალ-ცალკე) – 425-ჯერ.

არაუადრეს, არაუგვიანეს, არაუმეტეს „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი) ცალ-ცალკე დაწერილობით არის გათვალისწინებული: **არა უადრეს, არა უგვიანეს, არა უმეტეს**. მხოლოდ ერთ შემთხვევაში ორთოგრაფიასთან მითითებულია ისეთი ვარიანტიც, როცა **არა** ნაწილაკი მომდევნო სიტყვასთან შერწყმულად იწერება: **არა უმაღლეს**, მაგრამ **არაუმაღლესი** ხარისხისა. ეს უკანასკნელი (**არაუმაღლესი**) **არა** ნაწილაკითა და უფროლობითი ხარისხის ზედსართავი სახელით მიღებული ახალი ლექსიკური ერთეულია, კერძოდ, ზედსართავი სახელი. ასეთივე სიტყვამაწარმოებელი ფორმანტის ფუნქცია აქვს **არა** ნაწილაკს **არაუადრეს, არაუგვიანეს, არაუმეტეს** ლექსიკურ ერთეულთა შემთხვევებშიც – იმ განსხვავებით, რომ აქ წარმოიქმნება ზმნისართები. შესაბამისად, ეს უკანასკნელნიც ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს (მაგ.: „ქალაქში დაბრუნდებიან **არაუადრეს** 7 საათისა“; „სხდომა დაინიშნება

არაუგვიანეს 12 საათისა“; „ლუკა იქნება არაუმეტეს 17 წლისა“...
„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალ რედაქციაში **არა-
უადრეს, არაუგვიანეს, არაუმეტეს** წარმოდგენილია შერწყმული და-
წერილობით. ასეთივე სახით არის გათვალისწინებული დასახელე-
ბული ლექსიკური ერთეულები არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეც-
ნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყო-
ფილების მიერ მომზადებულ და 2011 წელს გამოცემულ „ქურნალის-
ტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკურ ლექსიკონში“ (რომელიც პრე-
სის ენას მიეძღვნა).

არა მარტო თუ არამარტო? არა მხოლოდ თუ არამხოლოდ? –
დაწერილობის თვალსაზრისით ამ შემთხვევაშიც არაერთგვაროვანი
ვითარება გვაქვს.

არამარტო // არა მარტო

„ჩვენს სრულიად საქართველოს საზოგადოებაში ადამიანი
არამარტო შევითხვათა გენერატორია, არამედ...“ (ჭ. ამირეჯიბი);

„დიდი მხატვრის ექსპოზიცია **არამარტო** ქართველებისთვის
იქნება საინტერესო...“ (tavisufleba.org);

„ქენევის ფორმატში განიხილება **არამარტო** უსაფრთხოების,
არამედ ჰუმანიტარული საკითხებიც“ (tavisufleba.org);

„ამ ხნის განმავლობაში შეისწავლა **არამარტო** რუსული, არამედ
მრავალი სხვა სლავური ენაც“ (ლ. ბრეგაძე);

„საკენკს რატომღაც არ ეკარებოდნენ **არა მარტო** წიწკანები, **არა
მარტო** გულწითელები, მესკიები, არამედ ბელურებიც“ (რ. ჭეიშვი-
ლი);

„სვეს, იცეკვეს **არა მარტო** გოგო-ბიჭებმა, მოხუცებულებმაც“
(ნ. ლორთქიფანიძე);

„იგი **არა მარტო** სიტყვის ჯავარია, არამედ სულიერი ფარი ქარ-
თველობისა“ (ლ. სანაძიძე);

„ქართველი და **არა მარტო** ქართველი ისტორიკოსები, მე-19,
მე-20 და 21-ე საუკუნეებში ბევრს წერდნენ წმინდა ნინოზე“ (www.
academia. edu)...

არამარტო (ერთ სიტყვად) – 3430-ჯერ; **არა მარტო** (ცალ-ცალკე)
– 25347-ჯერ

არამხოლოდ // არა მხოლოდ

„ბავშვი იზრდება და ხდება დალაი-ლამა და იქნებ ეს **არამხოლოდ** ტიბეტის სამყაროს უმთავრესი საიდუმლოს ამოხსნაცაა“ (დ. ტურაშვილი);

„ძირითად სამიზნე ჯგუფს ადვოკატები წარმოადგენენ, თუმცა **არამხოლოდ** ისინი“ (tavisufleba. ge);

„**არამხოლოდ** უმრავლესობას ვიღებთ პარლამენტში, არამედ შეგვიძლია 100 მანდატზე გვკონდეს პრეტენზია“ (www.ambebi.ge);

„გენდერული ძალადობა **არამხოლოდ** პიროვნული ტრაგედიაა, ასევე არის ძირითადი უფლებების დარღვევა“ (ltv.ge);

„სახის გამომეტყველება ბევრს ნიშნავს, **არა მხოლოდ** სხვებთან ურთიერთობის დროს“ (ბ. ჯანიკაშვილი);

„გაუფრთხილდი და პატივი ეცი **არა მხოლოდ** ადამიანს, არამედ ყოველ ცოცხალ არსებასა და ყოველ საგანს“ (ნ. გელაშვილი);

„ეხლა შემემლო ადგილზე გავცნობოდი იმ უსაიდუმლოეს ტომს **არა მხოლოდ** საქართველოს, არამედ მთელ კავკასიის ტომთა შორის“ (გრ. რობაქიძე)...

არამხოლოდ (ერთ სიტყვად) – 1216-ჯერ; **არა მხოლოდ** (ცალ-ცალკე) – 21189-ჯერ.

„ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი) **არამართო** წარმოდგენილია ცალ-ცალკე დაწერილობით (**არა მართო**). რაც შეეხება **არამხოლოდ** ლექსიკურ ერთეულს, ის დასახელებულ ნაშრომში გათვალისწინებული არ არის.

აღსანიშნავია, რომ ყოველთვის, როცა აღნიშნული ტიპის რთულ კავშირთა (**არამართო** და **არამხოლოდ**) დაწერილობა განიხილება, უპირველეს ყოვლისა, კითხვა დაისმის იმის შესახებ, მოსდევს თუ არა მათ **არამედ** კავშირი, რომლის საშუალებითაც თითქოსდა ერთმანეთს უნდა გაემიჯნოს ამ ლექსიკურ ერთეულთა ერთად თუ ცალ-ცალკე დაწერილობის შემთხვევები. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ თანამედროვე ქართულში **არამართო** და **არამხოლოდ** „არამედ“ კავშირის გარეშე ფაქტობრივად არც გამოიყენება. შეიძლება ეს უკანასკნელი (**არამედ**) გამოტოვებული იყოს წინადადებაში გარკვეული სტილბერივი (თუ სინტაქსური) თვალსაზრისით, მაგრამ ის ყო-

ველთვის იგულისხმება (მაგ.: „მოვიდნენ **არამარტო** ნათესავები – თა-
ნამშრომლებიც“; „თანაკლასელებიც ესტუმრნენ? – **არამხოლოდ...**“).
სწორედ ეს გარემოება (შესაპირისპირებელი კონტექსტის უქონლობა)
უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ **არა მარტო** მხოლოდ ცალ-ცალ-
კე დაწერილობით არის გათვალისწინებული „ქართული ენის ორ-
თოგრაფიულ ლექსიკონში“.

სპეციალურ ლიტერატურაში **არა-ნაწილაკი**ან მაჯგუფებელ
კავშირებად წარმოდგენილია: **არა მარტო – არამედ, არა მხოლოდ –
არამედ, არათუ – არამედ**. მათ წყვილ კავშირებსაც უწოდებენ.

თუ **არამედ** კავშირის მუდმივი თანხლება არის მიზეზი იმისა,
რომ **არა მარტო** ცალ-ცალკე დაწერილობით მიჩნეულიყო ერთადერთ
სწორ ვარიანტად, მაშინ **არათუ** კავშირიც ცალ-ცალკე უნდა იწერე-
ბოდეს. არც ის არის გამორიცხული, ცალ-ცალკე თუ ერთად დაწერი-
ლობის მიზეზი დასახელებული ლექსიკური ერთეულების სიგრძე-
სიმოკლე იყოს: **არათუ** მოკლე სიტყვაა, **არამარტო** და **არამხოლოდ** –
გრძელი, თუმცა **არამარტო** ლექსიკური ერთეულის ცალ-ცალკე თუ
შერწყმულად დაწერილობის შესახებ ანალიზისას ამოსავალი არ უნ-
და იყოს **არამედ** კავშირის თანხლება. აქ გასათვალისწინებელია, თუ
რა ფუნქციით გამოიყენება წინადადებაში **მარტო** – ზმნისართია ის
თუ გამორჩევითი ნაწილაკი. პირველ შემთხვევაში (როცა **მარტო**
ზმნისართის ფუნქციას ასრულებს) **არა მარტო**, ბუნებრივია, ცალ-
ცალკე დაიწერება, მაგ.: „გიორგი იდგა **არა მარტო** და ეულად, არამედ
– თავის ხალხთან, თავის თემთან ერთად“. ზოგადად, **მარტო**
ზმნისართის ფუნქციით (როცა მას წინ უსწრებს **არა** ნაწილაკი)
ნაკლებად დასტურდება თანამედროვე ქართულში. მეორე შემთხვე-
ვაში (როცა **მარტო** გამოყენებულია გამორჩევითი ნაწილაკის ფუნ-
ქციით) **არამარტო** მაჯგუფებელი წყვილი კავშირის პირველი კომპო-
ნენტი (არამარტო – არამედ), შესაბამისად, ის ერთ სიტყვად უნად
დაიწეროს – ისევე, როგორც **არათუ**.

რაც შეეხება **არამხოლოდ** რთულ კავშირს, აღსანიშნავია შემდე-
გი: თანამედროვე ქართულში „მხოლოდ“ ლექსიკურ ერთეულს ძირი-
თადად ერთი ფუნქცია აქვს – გამორჩევითი ნაწილაკისა (იშვიათად
ის **ოღონდ** კავშირის მნიშვნელობასაც იძენს) და ამავე ფუნქციით

(ე. ი. ნაწილაკის) დასტურდება ის რთული **არამხოლოდ** კავშირის შედგენილობაშიც. შესაბამისად, დაიწერება შერწყმულად (ისევე, როგორც **არამართო** და **ართათუ**).

თანამედროვე ქართულში მაპირისპირებელი კავშირის ფუნქციით (სხვა მაპირისპირებელ კავშირთა გვერდით) დასტურდება **არადა** ლექსიკური ერთეულიც. ასეთ შემთხვევაში ის ყოველთვის ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს („ვითარება უცებ დაიმაბა, **არადა** თითქოს ყველაფერი კარგად იყო“ და მისთ.). რაც შეეხება „**არა და არ** დასრულდა/გაწვიმდა/დათბა...“ ტიპის კონტექსტებს, ასეთ შემთხვევებში სამივე კომპონენტი (**არა და არ**) ცალ-ცალკე დაიწერება.

* * *

არც, ვერც, ნურც ნაწილაკების გამოყენებისას დაწერილობის თვალსაზრისით არაერთგვაროვანი ვითარება გვაქვს მაშინ, როცა მათ (**არც, ვერც, ნურც** ნაწილაკებს) მოჰყვება რიცხვითი სახელი **ერთი** (**არც ერთი** თუ **არცერთი**? **ვერც ერთი** თუ **ვერცერთი**? **ნურც ერთი** თუ **ნურცერთი**?) ან ზმნისართი **ერთხელ** (**არც ერთხელ** თუ **არცერთხელ**? **ვერც ერთხელ** თუ **ვერცერთხელ**? **ნურც ერთხელ** თუ **ნურცერთხელ**?).

ლექსიკური ერთეულები **არცერთი, ვერცერთი, ნურცერთი** (აგრეთვე – **არცერთხელ**) მხოლოდ ერთი სახით – ცალ-ცალკე დაწერილობით (**არც ერთი, ვერც ერთი, ნურც ერთი, არც ერთხელ...**) – არის წარმოდგენილი ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“. პირველად **არცერთი** და **არც ერთი, ვერცერთი და ვერც ერთი, ნურცერთი და ნურც ერთი** ერთმანეთისაგან გაიმიჯნა (დაწერილობის თვალსაზრისით) ზემოთ დასახელებულ „ქურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკურ ლექსიკონსა“ და „სასკოლო ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (თბ., 2011):

არც ერთი: „ღმერთმა ხომ იცოდა, რომ **არც ერთი** იყო არაბი და არც მეორე – ვენეციელი“ (უიარ.), მაგრამ: „**არცერთი** არგუმენტი არ არის მისაღები“;

ვერც ერთი: „**ვერც ერთმა** უპასუხა კითხვაზე სწორად და ვერც მეორემ“, მაგრამ: „აბიტურიენტმა **ვერცერთ** კითხვას ვერ უპასუხა“;

ნურც ერთი: **ნურც ერთი და ნურც მეორე**, მაგრამ: **ნურცერთი** თქვენგანი/ჩვენგანი...

მაშასადამე, **არც ერთი, ვერც ერთი, ნურც ერთი** ცალ-ცალკე და-იწერება მაშინ, როცა მათ მოჰყვება **არც მეორე/მესამე (არც ერთი და არც მეორე/მესამე), ვერც მეორე/მესამე (ვერც ერთი და ვერც მეორე/მესამე), ნურც მეორე/მესამე (ნურც ერთი და ნურც მეორე/მესამე)**. ასეთ შემთხვევებში **არც, ვერც, ნურც** მხოლოდ გაძლიერებული ნაწილაკის ფუნქციას ასრულებენ („ღმერთმა ხომ იცოდა, რომ **არც ერთი** იყო არა-ბი და არც მეორე ვენეციელი“), მაგრამ **„არცერთი** არ გამოცხადდა“, „აბიტურიენტმა **ვერცერთ** კითხვას ვერ უპასუხა“, **ნურცერთი** თქვენგანი/ჩვენგანი... და სხვა მსგავს კონტექსტებში **არცერთი, ვერცერთი და ნურცერთი** უარყოფითი ნაცვალსახელებია და ერთად უნდა დაიწეროს.

ანალოგიური ვითარება გვექნება **არცერთხელ, ვერცერთხელ, ნურცერთხელ** ლექსიკური ერთეულების შემთხვევებშიც: „**არც ერთხელ** მოსულა და არც მეორედ“, მაგრამ: „**არცერთხელ** არ გამოცხადდა“...; „ეს რეპორტაჟი **ვერც ერთხელ** ვნახე და ვერც მეორედ“, მაგრამ: „**ვერცერთხელ** ვერ ვნახე ეს რეპორტაჟი“; „**ნურც ერთხელ** გადაიწყვეტ იმედს და ნურც მეორედ“, მაგრამ: „**ნურცერთხელ** ნუ გადაიწყვეტ იმედს“... (**არცერთხელ, ვერცერთხელ და ნურცერთხელ** – ისევე, როგორც ცალკე აღებული **ერთხელ** – რიგობით-ჯერობის ზმნისართებია).

არცერთი, ვერცერთი, ნურცერთი უარყოფითი ნაცვალსახელებისა და **არცერთხელ, ვერცერთხელ, ნურცერთხელ** რიგობით-ჯერობის ზმნისართთა გამოყენებისას აუცილებელია ორმაგი უარყოფა: „**არცერთი** არ გამოცხადდა“, „**ვერცერთმა** ვერ გვიპასუხა“, „**ნურცერთი** ნუ იტყვის“...; „**არცერთხელ** არ დასწრებია“, „**ვერცერთხელ** ვერ ვნახეთ“, „**ნურცერთხელ** ნუ იტყვით“...

ზემოდასახელებულ ლექსიკურ ერთეულთა (**არც ერთი და არცერთი, ვერც ერთი და ვერცერთი, ნურც ერთი და ნურცერთი; არც ერთხელ და არცერთხელ, ვერც ერთხელ და ვერცერთხელ, ნურც ერთხელ და ნურცერთხელ**) დაწერილობის თვალსაზრისით გამიჯვნის შედეგად, უარყოფითი ნაცვალსახელების ჯგუფს დავმატა: **არცერთი, ვერცერთი, ნურცერთი**, ხოლო რიგობით-ჯერობის ზმნისართებს – **არცერთხელ, ვერცერთხელ, ნურცერთხელ**.

ლიტერატურა

გელენიძე 1984 – ლ. გელენიძე, არ/არა ნაწილაკიანი სახელები ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეექვსე, თბილისი.

ვაშაკიძე 2020 – თ. ვაშაკიძე, არ, არა, არც ნაწილაკ-ფორმანტა მართლწერისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეოცე, თბილისი.

კვაჭაძე 2010 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

ლეჟავა 1987 – ლ. ლეჟავა, კავშირთა ხმარების საკითხები (არა მარტო – არამედ...-ც, არა მხოლოდ – არამედ...-ც), თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ბიულეტენი № 3, თბილისი.

მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის (რედ. თ. ვაშაკიძე), 2016, თბილისი.

ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, II (რედ. თ. ვაშაკიძე), 2011, თბილისი.

ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი (სარედაქციო კოლეგია: შ. აფრიდონიძე, ნ. ებრალიძე, თ. ზურაბიშვილი, ვ. კალანდაძე, გ. კვარაცხელია, ვ. შენგელია), 2002, თბილისი.

სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი (რედ. თ. ვაშაკიძე), 2011, თბილისი.

საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი (რედ. თ. ვაშაკიძე), 2017, თბილისი.

სხვადასხვა ინტერნეტრესურსი

ქექვი – ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

ჩიქობავა 1998 – არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბილისი.

ჩიქობავა 2008 – არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი (რედაქცია და წინასიტყვაობა გ. კვარაცხელიასი), თბილისი.

თეა ბურჭულაძე

ორცნებიანი კომპოზიციების მართლწერა

ორცნებიანი კომპოზიციების დაწერილობისას უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. ორცნებიანი კომპოზიციები, რომლებიც მიიღება ორი დამოუკიდებელი შინაარსის მქონე სიტყვისაგან, დეფისით დაიწერება: **დედ-მამა, და-ძმა, ძალ-ღონე, მთა-ბარი, ოქრო-ვერცხლი...**
- 1.1. ორცნებიანი (ანუ დეფისით გაფორმებული) კომპოზიციებისაგან ბოლოსართის ან თავსართ-ბოლოსართის დართვით მიღებული წარმოქმნილი სახელი ერთ სიტყვად, შერწყმულად დაიწერება: დედა-შვილი, მაგრამ: **დედაშვილური, დედაშვილობა, დედაშვილურად;** და-ძმა, მაგრამ: **დამძური, დამძობა, დამძურად;** ცოლ-ქმარი, მაგრამ: **ცოლქმრული, ცოლქმრობა, ცოლქმრულად;** სახლ-კარი, მაგრამ: **უსახლკარო, სახლკარიანი...**

დასაბუთება

ფუძე შეიძლება იყოს მარტივი, ნაწარმოები (წარმოქმნილი) და რთული. ამათგან მარტივი ფუძე შემადგენელ ნაწილებად არ იშლება, ნაწარმოები კი შედგება მარტივი ფუძისა და მნიშვნელობის მცვლელი აფიქს(ებ)ისაგან (კაცური, საკაცე, მშვილდოსანი...), ან ნაწარმოები ფუძისა და მნიშვნელობის მცვლელი აფიქსისაგან (მლიერება, ნაყოფიერება...), ხოლო რთული ფუძე შედგება ერთზე მეტი (ჩვეულებრივ, ორი, იშვიათად – სამი) მარტივი (გულქვა, ცისკარი...), ნაწარმოები (დედობილ-მამობილი...), ან მარტივი და ნაწარმოები (დიდთოვლობა...) ფუძისაგან.

კომპოზიტებს ისეთ სიტყვებს უწოდებენ, რომლებიც რამდენიმე (ორი ან მეტი) დამოუკიდებელი სიტყვის (ფუძის ან ფორმის) ერთეულით არის წარმოქმნილი. მისი ქართული შესატყვისია ტერმინი „რთული სიტყვა“.

კომპოზიტის შემადგენელ კომპონენტთა ფორმოზოგი და შინაარსოზოგი მიმართება ერთგვაროვანი არ არის. ამიტომ რთული სიტყვების დაწერილობის წესის დასადგენად სწორედ მათ შედგენილობას აქვს მნიშვნელობა – ერთად დაიწეროს თუ დეფისით.

ამ თვალსაზრისით უპირველესად გასათვალისწინებელია კომპოზიტის ცნებიანობა. ზოგადად, რთული სიტყვა შეიძლება იყოს ერთცნებიანი და ორ- და მეტცნებიანი. ერთცნებიანია კომპოზიტი, რომლის ფუძის მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი ფუძეების მნიშვნელობათა ჯამს, ანუ კომპოზიტი ერთ დამოუკიდებელ შინაარსს გამოხატავს. ასეთ შემთხვევაში რთული ფუძის შემადგენელ ფუძეებსა და სიტყვებს შორის არ შეიძლება ჩაისვას და კავშირი, რთულ ფუძეს ვერ შევცვლით და კავშირიანი სიტყვათშეერთებით (ცისკარი, ქინძისთავი...). ორცნებიანი კომპოზიტი, პირიქით, გულისხმობს თითოეული კომპონენტის მნიშვნელობას, ე. ი. ის არის შემადგენელ ფუძეთა ერთგვარი ჯამი და იმდენ ობიექტს მიემართება, რამდენიც არის წარმოდგენილი რთული სიტყვის კომპონენტებად (ყველაზე ხშირად – ორი). ამ შემთხვევაში შემადგენელი ფუძეების და კავშირით გაერთიანებაა შესაძლებელი, რთული ფუძე და კავშირიანი სიტყვათშეერთებით შეიძლება შეიცვალოს (დედ-მამა, ცოლ-ქმარი, და-ძმა...). იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს სამცნებიანი კომპოზიტები: რძალ-მულ-დედამთილი, ყელ-ყურ-ცხვირი, ქართლ-კახეთ-იმერეთი...

შენიშვნა: ერთგვარი შედგენილობის კომპოზიტები ერთ შემთხვევაში ერთცნებიანი შეიძლება იყოს, სხვა შემთხვევაში – ორცნებიანი. მაგალითად, **ხარკამეჩი** ერთცნებიანია, თუ ის მამალ კამეჩს აღნიშნავს (უპირისპირდება **ფურკამეჩს**), ხოლო ორცნებიანია, როცა ის აღნიშნავს **ხარსა** და **კამეჩს**. ასევე **ცოცხალმკვდარი** ერთცნებიანია, თუ სიკვდილის პირას მისულ ადამიანს აღნიშნავს, მაგრამ ორცნებიანად გაიზრება, თუ ამ სიტყვაში **ცოცხალი** და **მკვდარი** იგულისხმება.

აღსანიშნავია, რომ რა სახის ფუძისაგანაც უნდა შედგებოდეს კომპოზიტი, ის მაინც ერთი სიტყვაა. ამიტომ მორფოლოგიური და

სინტაქსური თვალსაზრისით იგი ისეთივე როლს ასრულებს, როგორსაც მარტივი ან ნაწარმოები ფუძის შემცველი სიტყვა.

ორცნებიანი კომპოზიტების მიღების ერთ-ერთი საშუალებაა სხვადასხვა ფუძის შეერთება. ამ ტიპის კომპოზიტებში შეიძლება ერთიანდეს:

1. სინონიმური ფუძეები: **ძალ-ღონე, ზედ-იღბალი, ღარიბ-ღატაკი, შიშველ-ტიტველი, გზა-კვალი, კვლევა-ძიება...**
2. ანტონიმური ფუძეები: **ქალ-ვაჟი, მთა-ბარი, მტერ-მოყვარე, დედალ-მამალი, ტყე-ველი, დღე-ღამე...**
3. ისეთი ფუძეები, რომელთა მნიშვნელობები რაიმე ნიშნითაა ერთმანეთთან დაკავშირებული: **და-ძმა, ცოლ-შვილი, ქმარ-შვილი, ბიძა-ბიცოლა, ოქრო-ვერცხლი, რძალ-დედამთილი, რძალ-მული, ხელ-ფეხი, თვალ-წარბი, მშვილდ-ისარი, ფარ-ხმალი...**

აქ შემოდის კომპოზიტად ქცეული გეოგრაფიული სახელებიც (**ქართლ-კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია-აჭარა...**), ასევე ისეთი კომპოზიტური მასდარები თუ მიმღებობები, რომელთაც საპირისპირო მნიშვნელობის ზმნისწინები დაერთვის (**მიწერ-მოწერა, ამვლელ-ჩამვლელი, შეხლა-შემოხლა...**).

ყველა დასახელებული ორცნებიანი კომპოზიტი დაიწერება დეფისით, რადგან მათ შორის შესაძლებელია და კავშირის ჩასმა და ის (**და კავშირის ჩასმა**) არ ცვლის იმ შინაარსს, რომელსაც კომპოზიტი გამოხატავს. შდრ.: **დედ-მამა – დედა და მამა, ცოლ-ქმარი – ცოლი და ქმარი, რძალ-მულ-დედამთილი – რძალი და მული და დედამთილი, მიწერ-მოწერა – მიწერა და მოწერა...**

ცალკეა გამოსაყოფი ისეთი შემთხვევები, როცა ორცნებიანი (ანუ დეფისით გაფორმებული) კომპოზიტებისაგან ბოლოსართისა თუ თავსართ-ბოლოსართის დართვით ახალი რთულფუძიანი სიტყვები იწარმოება. ამგვარად წარმოქმნილი ლექსიკური ერთეული ერთ სიტყვად, შერწყმულად დაიწერება: **დედა-შვილი, მაგრამ: დე-დაშვილური, დედაშვილობა, დედაშვილურად; და-ძმა, მაგრამ: და-ძმური, დამძობა, დამძურად, ცოლ-ქმარი, მაგრამ: ცოლქმრული, ცოლქმრობა, სახლ-კარი, მაგრამ: უსახლკარო, სახლკარიანი...**

ზემოთქმულის გათვალისწინებით უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. ორცნებიანი კომპოზიტები, რომლებიც მიიღება ორი დამოუკიდებელი შინაარსის მქონე სიტყვისაგან, დეფისით დაიწერება: **დედ-მამა, და-ძმა, ძალ-ღონე, მთა-ბარი, ოქრო-ვერცხლი, წერა-კითხვა...**
- 1.1. ორცნებიანი (ანუ დეფისით გაფორმებული) კომპოზიტებისაგან ბოლოსართის ან თავსართ-ბოლოსართის დართვით მიღებული წარმოქმნილი სახელი ერთ სიტყვად, შერწყმულად დაიწერება: დედა-შვილი, მაგრამ: **დედაშვილური, დედაშვილობა, დედაშვილურად**; და-ძმა, მაგრამ: **დამძერი, დამძობა, დამძურად**; ცოლ-ქმარი, მაგრამ: **ცოლქმრული, ცოლქმრობა, ცოლქმრულად**; სახლ-კარი, მაგრამ: **უსახლკარო, სახლკარიანი...**

ლიტერატურა

არაბული 2004 – ავთ. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი.

თოფურია, გიგინეიშვილი 1970 – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, რთული სიტყვების (კომპოზიტების) დაწერილობა, თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი (ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი), თბილისი, 1998.

მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის (რედ. თ. ვაშაკიძე), თბილისი, 2016.

საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი (რედ. თ. ვაშაკიძე), თბილისი, 2017.

თეა ბურჭულაძე

ორმაგსახელწოდებიან და ორმაგსტატუსიან კომპოზიტთა მართლწერა

ორმაგსახელწოდებიანი და ორმაგსტატუსიანი კომპოზიტების მართლწერასთან დაკავშირებით უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. ორმაგსახელწოდებიანი თუ ორმაგსტატუსიანი (შერწყმული და-ნართით გადმოცემული) კომპოზიტები უნდა დაიწეროს დეფი-სით: **მეცნიერ-თანამშრომელი, მეცნიერ-ხელმძღვანელი, წევრ-კორესპონდენტი, ავტორ-შემდგენელი, პოეტ-აკადემიკოსი, ექიმ-კონსულტანტი, პატრულ-ინსპექტორი, აკადემიკოს-მდივანი, ექ-სპერტ-კრიმინალისტი, გენერალ-მაიორი, ინჟინერ-მშენებელი, მხატვარ-ილუსტრატორი, დამკაბადონებელ-დიზაინერი...**

- 1.1. ორმაგსახელწოდებიანი თუ ორმაგსტატუსიანი კომპოზიტების პირველი თანხმოდგენილი წევრი ფუძის სახით გადმოიცემა, ხოლო კომპოზიტი ერთ სიტყვად იბრუნვის:

სახ.	წევრ-კორესპონდენტ-ი	მეცნიერ-თანამშრომელ-ი
მოთხრ.	წევრ-კორესპონდენტ-მა	მეცნიერ-თანამშრომელ-მა
მიც.	წევრ-კორესპონდენტ-ს	მეცნიერ-თანამშრომელ-ს
ნათ.	წევრ-კორესპონდენტ-ის	მეცნიერ-თანამშრომელ-ის
მოქმ.	წევრ-კორესპონდენტ-ით	მეცნიერ-თანამშრომელ-ით
ვით.	წევრ-კორესპონდენტ-ად	მეცნიერ-თანამშრომელ-ად
წოდ.	წევრ-კორესპონდენტ-ო	მეცნიერ-თანამშრომელ-ო

შენიშვნა: კომპოზიტის შემადგენელი ნაწილები შეიძლება წარმო-დგენილი იყოს შესიტყვების სახით და დაიწეროს ცალ-ცალკე: **მეცნიერი თა-ნამშრომელი, მეცნიერი ხელმძღვანელი, პოეტი აკადემიკოსი...**

დასაბუთება

ორმაგსახელწოდებიანი და ორმაგსტატუსიანი კომპოზიტები დანართისა და საზღვრული წევრის შერწყმით მიიღება.

დანართი განსაზღვრების ერთ-ერთი სახეობათაგანია. მას ისეთ განსაზღვრებას უწოდებენ, რომელიც არსებითი სახელით არის წარმოდგენილი (არსებითი სახელი განსაზღვრავს არსებითს). ამ ტიპის მსაზღვრელი დანართის სახელით არის ცნობილი. აღნიშნული ტიპის შესიტყვებებში მსაზღვრელი სახელი ბრუნების თვალსაზრისით მიჰყვება ხელობა-პროფესიის აღმნიშვნელ დანართთა ბრუნების ტიპს. შესაბამისად, ხმოვანფუძიანი დანართები იბრუნვიან ისე, როგორც **მევიოლენე ისაკაძე** ტიპის შესიტყვებაში იბრუნვის დანართი: **მევიოლინე ისაკაძე/ისაკაძემ/ისაკაძეს/ისაკაძის...** (მდრ.: **მწვანე** მინდორი, **მწვანე** მინდორმა, **მწვანე** მინდორს...), ხოლო თანხმოვანფუძიანები – როგორც **პროფესორი შანიძე**. მაშასადამე, ეს უკანასკნელი დანართები სრულად დაირთავენ ბრუნვის ნიშნებს სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, ხოლო მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში მათ ბრუნვის ნიშანი მთლიანად ჩამოსცილდება: **პროფესორი** შანიძე, **პროფესორმა** შანიძემ, **პროფესორ** შანიძეს/ **შანიძის**/ **შანიძით**/ **შანიძედ**, **პროფესორო** შანიძე.

ზოგჯერ დანართისა და საზღვრული წევრის შერწყმით მიიღება კომპოზიტები – ეგრეთ წოდებული ორმაგსახელწოდებიანი თუ ორმაგსტატუსიანი რთული სიტყვები: **მეცნიერ-თანამშრომელი**, **წევრ-კორესპონდენტი**, **პოეტ-აკადემიკოსი**, **ექიმ-კონსულტანტი**, **პატრულ-ინსპექტორი**, **აკადემიკოს-მდივანი**, **ექსპერტ-კრიმინალისტი**, **გენერალ-მაიორი**, **ინჟინერ-მშენებელი**, **მხატვარ-ილუსტრატორი**, **დამკაზადონებელ-დიზაინერი** და მისთ. კომპოზიტის შემადგენელ ნაწილთა შორის ფორმობრივი და შინაარსობრივი ურთიერთმართება ერთგვაროვანი არ არის. სწორედ ეს განაპირობებს მათი დაწერილობის თავისებურებას. შესაბამისად, კომპოზიტთა მართლწერის წესების დასადგენად მათ შედგენილობას უნდა მიექცეს ყურადღება.

დასახელებულ რთულ სიტყვათა დაწერილობისას, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია შემდეგი: 1. პირველი კომპონენტი ბრუნვის ნიშნით გაფორმდეს თუ ფუძის სახით წარმოდგეს, 2.

კომპოზიტი დეფისით დაიწეროს თუ უდეფისოდ. დასახელებული ტიპის დანართთა პირველი თანხმოვანფუძიანი წევრი ფუძის სახით უნდა გადმოიცეს და კომპოზიტი დაიწეროს დეფისით.

სახ.	წევრ-კორესპონდენტ-ი	მეცნიერ-თანამშრომელ-ი
მოთხრ.	წევრ-კორესპონდენტ-მა	მეცნიერ-თანამშრომელ-მა
მიც.	წევრ-კორესპონდენტ-ს	მეცნიერ-თანამშრომელ-ს
ნათ.	წევრ-კორესპონდენტ-ის	მეცნიერ-თანამშრომელ-ის
მოქმ.	წევრ-კორესპონდენტ-ით	მეცნიერ-თანამშრომელ-ით
ვით.	წევრ-კორესპონდენტ-ად	მეცნიერ-თანამშრომელ-ად
წოდ.	წევრ-კორესპონდენტ-ო	მეცნიერ-თანამშრომელ-ო

აღნიშნული სახის კომპოზიტები (**მეცნიერ-თანამშრომელი, მეცნიერ-ხელმძღვანელი, პოეტ-აკადემიკოსი**) შესაძლოა დაიწეროს ცალ-ცალკე (შესიტყვების სახით) – შესაბამისი ბრუნვის ნიშნით გაფორმებული: **მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერი ხელმძღვანელი, პოეტი აკადემიკოსი...** (ასეთი შემთხვევები ყველაზე ხშირად სახელობითი ბრუნვის ფორმით დასტურდება).

დასახელებული ტიპის კომპოზიტთა შემადგენელ ნაწილებს შორის არ გვაქვს ისეთივე მიმართება, როგორიც, მაგალითად, დედ-მამა, სტუმარ-მასპინძელი, დანა-ჩანგალი ტიპის სიტყვებში. ამ უკანასკნელ შემთხვევებში ორივე კომპონენტი სხვადასხვა ობიექტს მიემართება (დედა და მამა, სტუმარი და მასპინძელი, დანა და ჩანგალი). **წევრ-კორესპონდენტი** სახის რთული სიტყვები კი ერთ ობიექტს უკავშირდება, თუმცა ორმაგ სტატუსს გამოხატავენ. სწორედ ამიტომ შეიძლება მათ შორის **და** კავშირის ჩასმა. არსებული ნორმის თანახმად, თუ კომპოზიტის შემადგენელ ნაწილებს შორის აზრობრივად ჩაისმის **და** კავშირი, ის დეფისით დაიწერება (თანამედროვე ქართული ენის ნორმები, 1970: 149). სწორედ ორმაგი სტატუსი განაპირობებს ამგვარ კომპოზიტებში **და** კავშირის ჩასმის შესაძლებლობას (მეცნიერი და თანამშრომელი, პატრული და ინსპექტორი...). შესაბამისად, დასახელებული ტიპის რთული სიტყვები დეფისით უნდა დაიწეროს: **მეცნიერ-თანამშრომელი, მეცნიერ-ხელმძღვანელი, პოეტ-აკადემიკოსი, აკადემიკოს-მდივანი, პატრულ-ინსპექტორი, მეან-გინეკოლოგი, ექიმ-ეპიდემიოლოგი, გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-**

მაიორი, გენერალ-ადიუტანტი, მოლარე-ოპერატორი, ექსპერტ-ლინგვისტი, ექსპერტ-კრიმინალისტი.

წერისას ერთგვაროვნების დასაცავად უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. ორმაგსახელწოდებიანი თუ ორმაგსტატუსიანი (შერწყმული და-ნართით გადმოცემული) კომპოზიტები უნდა დაიწეროს დეფისით: **მეცნიერ-თანამშრომელი, მეცნიერ-ხელმძღვანელი, წევრ-კორესპონდენტი, ავტორ-შემდგენელი, პოეტ-აკადემიკოსი, ექიმ-კონსულტანტი, პატრულ-ინსპექტორი, აკადემიკოს-მდივანი, ექსპერტ-კრიმინალისტი, გენერალ-მაიორი, ინჟინერ-მშენებელი, მხატვარ-ილუსტრატორი, დამკაბადონებელ-დიზაინერი...**

1.1. ორმაგსახელწოდებიანი თუ ორმაგსტატუსიანი კომპოზიტების პირველი თანხმომავიანი წევრი ფუძის სახით გადმოიცემა, ხოლო კომპოზიტი ერთ სიტყვად იბრუნვის:

სახ.	წევრ-კორესპონდენტ-ი	მეცნიერ-თანამშრომელ-ი
მოთხზ.	წევრ-კორესპონდენტ-მა	მეცნიერ-თანამშრომელ-მა
მიც.	წევრ-კორესპონდენტ-ს	მეცნიერ-თანამშრომელ-ს
ნათ.	წევრ-კორესპონდენტ-ის	მეცნიერ-თანამშრომელ-ის
მოქმ.	წევრ-კორესპონდენტ-ით	მეცნიერ-თანამშრომელ-ით
ვით.	წევრ-კორესპონდენტ-ად	მეცნიერ-თანამშრომელ-ად
წოდ.	წევრ-კორესპონდენტ-ო	მეცნიერ-თანამშრომელ-ო

შენიშვნა: კომპოზიტის შემადგენელი ნაწილები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შესიტყვების სახით და დაიწეროს ცალ-ცალკე: **მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერი ხელმძღვანელი, პოეტი აკადემიკოსი...**

ლიტერატურა

არაბული 2004 – ავთ. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი.

თოფურია, გიგინეიშვილი 1970 – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, რთული სიტყვების (კომპოზიტების) დაწერილობა, თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

თოფურია 1970 – ვ. თოფურია, შერწყმული დანართის მართლწერა (სახლ-მუზეუმი თუ სახლი-მუზეუმი?), თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

კვაჭაძე 2010 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი (ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი), თბილისი, 1998.

მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის (რედ. თ. ვაშაკიძე), თბილისი, 2016.

საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი (რედ. თ. ვაშაკიძე), თბილისი, 2017.

თეა ბურჭულაძე

უცხოური ფუძის შემცველ კომპოზიტთა მართლწერა

თანამედროვე ქართულში დასტურდება იმ სახის კომპოზიტები, რომელთა პირველი ნაწილი მსაზღვრელად გამოყენებული უცხოური ფუძეა. მათ მართლწერასთან დაკავშირებით უნდა გატარდეს შემდეგი წესი:

ის კომპოზიტი, რომლის პირველი ნაწილი უცხოური ენიდან შემოსული ერთეულია (არსებითი სახელის სრული ან შეკვეცილი ფუძე), დაიწერება შერწყმულად, დეფისის გარეშე, თუ მის შემადგენელ ნაწილებს შორის აზრობრივად არ ჩაისმის და კავშირი. კერძოდ, ფუძის მიხედვით გამოიყოფა სამი ვარიანტი:

ა) პირველი კომპონენტი თანხმოვანფუძიანია: პრემიერმინისტრი, პრემიერლიგა, პრემიერკლასი; პრესცენტრი, პრესსპიკერი, პრესკონფერენცია; ტრენინგურსი, ტრენინგცენტრი; ბონუსქულა, ბონუსბარათი; ბიზნესფორუმი, ბიზნესიდეა, ბიზნესშეხვედრა; სერვისცენტრი, სერვისადმინისტრატორი...

ბ) პირველი კომპონენტი ხმოვანფუძიანია: მედიაკომპანია, მედიამაუწყებლობა, მედიამენეჯერი; ვიცეპრეზიდენტი, ვიცეპრემიერი; კინომუსიკა, კინორეჟისორი, კინოგახმოვანება; ფოტოსესია, ფოტოგადაღება, ფოტოპირი რადიოგადაცემა, რადიოკომპანია, რადიომაუწყებელი; ვიდეომასალა, ვიდეოკოლაჟი, ვიდეოგადაღება; აუდიომოწყობილობა, აუდიოჩანაწერი, აუდიოწიგნები...

გ) რთული სიტყვები უცხოური ფუძის შემცველი სამკომპონენტო ტიპიანი ლექსიკური ერთეულებია: რადიოკავშირგაბმულობა, რადიოკინოდანადგარი, ელექტროვარგონშემკეთებელი, ოტორინოლარინგოლოგი, ავიამოტომშენებლობა, ავტოჯავშანმანქანა, ვიდეომაგნიტოფილმი, რადიოაერონავიგაცია, ელექტროკარდიოტოპოგრაფია...

დასაბუთება

თანამედროვე ქართულში დასტურდება იმ სახის კომპოზიტიზმი, რომელთა პირველი ნაწილი მსაზღვრელად გამოყენებული უცხოური ფუძეა. ასეთ შემთხვევებში არსებითი სახელი განსაზღვრავს არსებითს.

არსებითი სახელი და მისი მსაზღვრელი არსებითი სახელი ისეთივე დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან, როგორშიც ჩვეულებრივი ხმოვანფუძიანი თუ თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი და საზღვრული, შესაბამისად, ამ ტიპის მსაზღვრელ-საზღვრული ცალკე იწერება: **რკინა** კაცი, **ზღვა** ხალხი, **ჭიქა** წყალი (შდრ.: **პატარა** გოგო, **პატარა** გოგომ, **პატარა** გოგოს...), **ურემი** შეშა, **ბოთლი** ღვინო (შდრ.: **დიდი** სახლი, **დიდმა** სახლმა, **დიდ** სახლს...). ზოგჯერ ამგვარი მსაზღვრელ-საზღვრული შეერწყმის ერთმანეთს და გაკომპოზიტდება, მაგ., **ვირთხა**.

თანამედროვე ეპოქაში ახალი ტექნოლოგიების შემოსვლამ თუ უცხო სიტყვების დანერგვამ არაერთი რთული სიტყვა დაამკვიდრა. საქმე ეხება ისეთ კომპოზიტურ ფორმებს, რომელთა პირველ შემადგენელ ნაწილად გარკვეული სტატუსის, სახელწოდებისა თუ დანიშნულების აღმნიშვნელი სიტყვები დასტურდება. გვხვდება მათი როგორც დეფისიანი, ისე უდეფისო დაწერილობის შემთხვევები: **პრემიერ-მინისტრი** / **პრემიერმინისტრი**, **პრემიერ-ლიგა** / **პრემიერლიგა**, **ვიცე-პრეზიდენტი** / **ვიცეპრეზიდენტი**, **ვიცე-პრემიერი** / **ვიცეპრემიერი**, **ფოტო-გადაღება** / **ფოტოგადაღება**, **მედია-სკოლა** / **მედიასკოლა**, **ინტერნეტ-ჟურნალი** / **ინტერნეტჟურნალი**, **ინტერნეტ-გამოცემა** / **ინტერნეტგამოცემა**, **კიბერ-უსაფრთხოება** / **კიბერუსაფრთხოება**...

ფუნქციის მიხედვით გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

1. გარკვეული სტატუსისა თუ სახელწოდების აღმნიშვნელი სიტყვები (არსებითი სახელის სრული ან შეკვეცილი ფუძე): **პრემიერ-მინისტრი**, **პრემიერლიგა**, **ვიცეპრეზიდენტი**, **ვიცეპრემიერი**...

2. დანიშნულების აღმნიშვნელი სიტყვები (არსებითი სახელის სრული ან შეკვეცილი ფუძე): **მედიასკოლა**, **ფოტოგადაღება**, **ფოტოსესია**, **ფოტოპირი**; **ინტერნეტჟურნალი**, **ინტერნეტგამოცემა**, **კიბერუსაფრთხოება**...

წარმოების თვალსაზრისით გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

1. სიტყვები, რომელთა პირველი კომპონენტი თანხმოვანფუძიანია (არსებითი სახელის სრული ან შეკვეცილი ფუძე): **პრესცენტრი, პრესსპიკერი, პრესკონფერენცია; ვებგვერდი, ვებმომსახურება; ტრენინგკურსი, ტრენინგცენტრი; ბონუსქულა, ბონუსბარათი; ვეტექიმი, ვეტმომსახურება; ბიზნესფორუმი, ბიზნესიდეა, ბიზნესშეხვედრა; სერვისცენტრი, სერვისადმინისტრატორი...**

2. სიტყვები, რომელთა პირველი კომპონენტი ხმოვანფუძიანია (არსებითი სახელის სრული ან შეკვეცილი ფუძე): **კინომუსიკა, კინორეჟისორი, კინოგახმოვანება; მედიაკომპანია, მედიამაუწყებლობა, მედიამენეჯერი; ტელეგადაცემა, ტელეკომპანია, ტელეწამყვანი; რადიოგადაცემა, რადიოკომპანია, რადიომაუწყებელი; ვიდეომასალა, ვიდეოკოლაჟი, ვიდეოგადაღება; აუდიომოწყობილობა, აუდიოჩანაწერი, აუდიოწიგნები; ავტოგაქირავება, ავტოსესხი, ავტომომსახურება...**

უდფისო დაწერილობის მიზეზი ის არის, რომ ამგვარი ფორმები, როგორც ითქვას, გარკვეული სოციალური სტატუსის, სახელწოდებებისა თუ დანიშნულების აღმნიშვნელია, თუმცა მათი ფუძეები ერთნაირად დამოუკიდებელი მნიშვნელობისა არ არის. საკითხიც ასე დაისმის – ერთცნებიანია ეს კომპოზიტები თუ ორცნებიანი? გასარკვევია, დასახელებულ შემთხვევებში პირველ შემადგენელ კომპონენტს აქვს თუ არა სრული, დამოუკიდებელი მნიშვნელობა. აღსანიშნავია, რომ მათი უმეტესობა დამოუკიდებლად არ გამოიყენება. უნდა ითქვას ისიც, რომ დასახელებული კომპოზიტების შემადგენელ ნაწილებს შორის და კავშირი არ ჩაისმის. აზრობრივად არასწორია: **ფოტო და გადაღება, პრემიერი და ლიგა, ვიცე და პრეზიდენტი, ვიცე და მერი, მედია და სკოლა, ინტერნეტი და ჟურნალი...**

მრავლად დასტურდება აგრეთვე უცხოური ფუძის შემცველი ორზე მეტი კომპონენტისაგან შედგენილი რთული სახელები: **ავიამოტორმშენებლობა, ავტოჯავშანმანქანა, რადიოკავშირგაბმულობა, რადიოკინოდანადგარი, რადიოაერონავიგაცია, რადიოფოტოტელეგრაფი, ვიდეომაგნიტოფილმი, ელექტროგავონშემკეთებელი, ელექტროკარდიოტოპოგრაფია, ოტორინოლარინგოლოგი...** მედიაში მათი სხვადასხვაგვარი დაწერილობა გვხვდება, კერძოდ, ცალ-ცალკე და დეფისიანი ფორმითაც: **ვიდეო მაგნიტოფილმი, ავია მოტომშენებლობა...** რადიო-კინოდანადგარი, ავტო-ჯავშანმანქანა, ელექტრო-კარდიოტოპოგრაფია...

მოხმობილი მაგალითები რამდენიმეკომპონენტია: რადიო+კავშირ+გაბმულობა; რადიო+კინო+დანადგარი; ელექტრო+ვაგონ+შემკეთებელი; ოტო+რინო+ლარინგოლოგი; ელექტრო+კარდიო+ტოპოგრაფია; ავტო+ჯავშან+მანქანა... ბუნებრივია, დგება ამგვარი სიტყვების მართებულად დაწერილობის საკითხი. აღსანიშნავია, რომ დასახელებული კომპოზიტებიც შერწყმულად უნდა დაიწეროს, რადგან მათ შემადგენელ ნაწილებს შორის და კავშირი არ ჩაისმის.

ზემოთქმულის გათვალისწინებით უნდა გატარდეს შემდეგი წესი:

ის კომპოზიტი, რომლის პირველი ნაწილი უცხოური ენიდან შემოსული ერთეულია (არსებითი სახელის სრული ან შეკვეცილი ფუძე), დაიწერება შერწყმულად, დეფისის გარეშე, თუ მის შემადგენელ ნაწილებს შორის აზრობრივად არ ჩაისმის და კავშირი. კერძოდ, ფუძის მიხედვით გამოიყოფა სამი ვარიანტი:

ა) პირველი კომპონენტი თანხმოვანფუძიანია: პრემიერმინისტრი, პრემიერლიგა, პრემიერკლასი; პრესცენტრი, პრესსპიკერი, პრესკონფერენცია; ტრენინგურსი, ტრენინგცენტრი; ბონუსქულა, ბონუსბარათი; ბიზნესფორუმი, ბიზნესიდეა, ბიზნესშეხვედრა; სერვისცენტრი, სერვისადმინისტრატორი...

ბ) პირველი კომპონენტი ხმოვანფუძიანია: ვიცეპრეზიდენტი, ვიცეპრემიერი; კინომუსიკა, კინორეჟისორი, კინოგახმოვანება; მედიაკომპანია, მედიამაუწყებლობა, მედიამენეჯერი; რადიოგადაცემა, რადიოკომპანია, რადიომაუწყებელი; ვიდეომასალა, ვიდეოკოლაჟი, ვიდეოგადაღება; აუდიომოწყობილობა, აუდიოჩანაწერი, აუდიოწიგნები; ფოტოსესია, ფოტოგადაღება, ფოტოპირი...

გ) რთული სიტყვები უცხოური ფუძის შემცველი სამკომპონენტია ლექსიკური ერთეულებია: რადიოკავშირგაბმულობა, რადიოკინოდანადგარი, ელექტროვაგონშემკეთებელი, ოტორინოლარინგოლოგი, ავიამოტომშენებლობა, ავტოჯავშანმანქანა, ვიდეომაგნიტოფილმი, რადიოაერონავიგაცია, ელექტროკარდიოტოპოგრაფია...

ლიტერატურა

არაბული 2004 – ავთ. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი.

ბურჭულაძე 2015 – თ. ბურჭულაძე, ერთი ტიპის რთულ სიტყვათა დაწერილობისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეთხუთმეტე, თბილისი.

თოფურია, გიგინეიშვილი 1970 – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, რთული სიტყვების (კომპოზიტების) დაწერილობა, თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

ომიაძე 2016 – ს. ომიაძე, თხზულ სახელთა ნაირგვარი დაწერილობისათვის მედიატექსტებსა და ლექსიკონებში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეთექვსმეტე, თბილისი.

ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი (ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი), თბილისი, 1998.

მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის (რედ. თ. ვაშაკიძე), თბილისი, 2016.

საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი (რედ. თ. ვაშაკიძე), თბილისი, 2017.

ქეთევან დათუკიშვილი

ზმნურ კომპოზიტთა მართლწერა

ზმნურ კომპოზიტთა წარმოებისას უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. ზმნურ კომპოზიტთა პირველ ნაწილში უნდა შეიკვეცოს როგორც მწკრივის, ისე სუფიქსური პირის ნიშნები: **გავატარ-გამოვატარ-რე, მივაბრუნ-მოვაბრუნო, გაიხედ-გამოიხედა, მიიტან-მოიტანს...**

2. ზმნური კომპოზიტის პირველ ნაწილში შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს: ფუძის მაწარმოებელი **ევ** ფორმანტი, ვნებითის **დ**, თემის ნიშანი და სავრცობი. პარალელურად დასაშვებია ისეთი ვარიანტებიც, როცა ზემოთ დასახელებული სუფიქსები მოკვეცილია.

გაიწევ-გამოიწევს // გაიწ-გამოიწევს

გაქანდ-გამოქანდება // გაქან-გამოქანდება

მიედებ-მოედება // მიედ-მოედება

გაჰკრავდ-გამოჰკრავდა // გაჰკრავ-გამოჰკრავდა...

3. ზმნურ კომპოზიტთა პირველ ნაწილში ფუძის მომდევნო აფიქსის (ფუძის მაწარმოებელი **ევ** ფორმანტის, თემის ნიშნის, მწკრივის ნიშნის, პირის ნიშნის) შენარჩუნება აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ მის წინ მხოლოდ ერთი მარცვალაია: **არევ-დარევს, მისწევ-მოსწევს... მიჰყვებ-მოჰყვება; გაჰკრავ-გამოჰკრავს; მიყრი-მოყრის... გარბი-გამორბის... გაჰყვა-გამოჰყვა...**

დასაბუთება

ქართულ ენაში დასტურდება ორი კომპონენტისგან შედგენილი ზმნური ფორმები, როგორებიცაა: **ჩაიკვნეს-ჩაიჭიკჭიკა, აიარ-ჩაიარა, მიიხედ-მოიხედა, გაატარ-გამოატარა** და მისთ. მათ აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინები: **შერწყმული ზმნები, ზმნური კომპოზიტები** და **ზმნური დევანდვა**.

ზმნურ კომპოზიტთა შემადგენელ ორივე ზმნას ყველა კატეგორია საერთო აქვს: პირი, რიცხვი, მწკრივი, გვარი, ქცევა და ა. შ. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება ძირებით ან ზმნისწინებით. შესაბამისად, გვაქვს ორგვარი ზმნური კომპოზიტები:

1. სხვადასხვაძირიანი – მათი შემადგენელი ნაწილები სხვადასხვა ძირისგან ნაწარმოები ზმნებია: **მოირთვებ-მოიკაზმება, ჩაიკვნეს-ჩაიჭიკჭიკებს, ჩაიგვამ-დაიხურავს...**

2. იდენტურძირიანი – კომპონენტები (ზმნები) ერთი და იმავე ძირისაგან იწარმოება სხვადასხვა ზმნისწინის დართვით: **გაივლ-გამოივლის, მიიხედ-მოიხედავს...**

კომპოზიტთა უმეტესი ნაწილი იდენტურფუძიანია, სხვადასხვაფუძიანები იშვიათად დასტურდება. ორივე კომპონენტი იუღვლის, ამასთან, მეორე ნაწილი სრულად არის წარმოდგენილი, პირველ კომპონენტს კი სუფიქსური ნიშნები ეკვეცება.

რადგან აღნიშნულ კომპოზიტთა შემადგენელი ზმნური ფორმები ზმნისწინიანია, მათ აწმყოს წრის მწკრივები არა აქვთ, დანარჩენი 8 მწკრივის ზმნები კი სრულად უდასტურდება. აწმყოს წრის ფორმები ეწარმოება იმ ზმნებს, რომლებსაც ამ მწკრივებში ზმნისწინი დაერთვის: **ახტი-დახტის, გარბი-გამორბის, მიცურ-მოცურავს...**

ნიმუშად წარმოდგენილია **მიალაგ-მოალაგებს** ზმნის უღლე-ბის პარადიგმა:

მყოფადი

მივალაგ-მოვალაგებ	მივალაგ-მოვალაგებთ
მიალაგ-მოალაგებ	მიალაგ-მოალაგებთ
მიალაგ-მოალაგებს	მიალაგ-მოალაგებენ

ხოლმეობითი

მივალაგ-მოვალაგებდი	მივალაგ-მოვალაგებდით
მიალაგ-მოალაგებდი	მიალაგ-მოალაგებდით
მიალაგ-მოალაგებდა	მიალაგ-მოალაგებდნენ

მყოფადის კავშირებითი

მივალაგ-მოვალაგებდე	მივალაგ-მოვალაგებდეთ
მიალაგ-მოალაგებდე	მიალაგ-მოალაგებდეთ
მიალაგ-მოალაგებდეს	მიალაგ-მოალაგებდნენ

წყვეტილი

მივალაგ-მოვალაგე

მივალაგ-მოვალაგეთ

მიალაგ-მოალაგე

მიალაგ-მოალაგეთ

მიალაგ-მოალაგა

მიალაგ-მოალაგეს

II კავშირებითი

მივალაგ-მოვალაგო

მივალაგ-მოვალაგოთ

მიალაგ-მოალაგო

მიალაგ-მოალაგოთ

მიალაგ-მოალაგოს

მიალაგ-მოალაგონ

I თურმეობითი

მიმილაგ-მომილაგებია

მიგვილაგ-მოგვილაგებია

მიგილაგ-მოგილაგებია

მიგილაგ-მოგილაგებიათ

მიულაგ-მოულაგებია

მიულაგ-მოულაგებიათ

II თურმეობითი

მიმელაგ-მომელაგებინა

მიგველაგ-მოგველაგებინა

მიგელაგ-მოგელაგებინა

მიგელაგ-მოგელაგებინათ

მიელაგ-მოელაგებინა

მიელაგ-მოელაგებინათ

III კავშირებითი

მიმელაგ-მომელაგებინოს

მიგველაგ-მოგველაგებინოს

მიგელაგ-მოგელაგებინოს

მიგელაგ-მოგელაგებინოთ

მიელაგ-მოელაგებინოს

მიელაგ-მოელაგებინოთ

როგორც წარმოდგენილი ფორმებიდან ჩანს, ზმნური კომპო-
ზიტის პირველ ნაწილში იკვეცება სხვადასხვა სუფიქსი:

თემის ნიშანი: **მივალაგ-მოვალაგებ** (← მივალაგებ-მოვალაგებ)

მწკრივის ნიშანი: **მივალაგ-მოვალაგე** (← მივალაგე-მოვალაგე)

თემის ნიშანი და პირის ნიშანი: **მიალაგ-მოალაგებს** (← მიალა-
გებს-მოალაგებს)

თემის ნიშანი, სავრცობი და მწკრივის ნიშანი: **მივალაგ-მოვა-
ლაგებდი** (← მივალაგებდი-მოვალაგებდი) და სხვ.

იშვიათია შემთხვევა, როცა ზმნურ კომპოზიტთა ორივე შემადგენელი დასტურდება სრული სახით, ანუ ორივე ზმნაში ყველა აფიქსია წარმოდგენილი: **ავირბენ-ჩავირბენ, აჰყვან-ჩაჰყვან, წავა-წამოვა** და მისთ.

პირველ კომპონენტში, როგორც წესი, ძირი მოცემულია სრული სახით. გამონაკლისია **დი**, რომლის ხმოვანი გარკვეულ ფორმებში იკვეცება: **აუდ-ჩაუდის** (შდრ.: ადი-ჩადის).

მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ პირველი კომპონენტის აფიქსთა შეკვეცა დამოკიდებულია მარცვალთა რაოდენობაზე, კერძოდ: ზმნური კომპოზიტის პირველი ნაწილი შეიკვეცება იმ შემთხვევაში, თუ შეკვეცის შემდეგ ზმნაში დარჩება არაუმცირეს ორი მარცვლისა. მაგალითად, პირველ კომპონენტში შეიძლება იყოს:

ორი მარცვალი: **აივლ-ჩაივლის, აურ-დაურევს, ახედ-დახედავს...**

სამი მარცვალი: **გააგორ-გამოაგორებს, გაატარ-გამოატარებს, მიირბენ-მოირბენს...**

ოთხი მარცვალი: **გადააგორ-გადმოაგორებს, მიატრიალ-მოატრიალებს...**

ხუთი მარცვალი: **აათვალიერ-ჩაათვალიერებს** და ა. შ.

სუფიქსური მორფემა არ იკვეცება იმ შემთხვევაში, თუ ზმნა ორმარცვლიანია და შეკვეცის შემთხვევაში მასში მხოლოდ ერთი მარცვალი დარჩებოდა, მაგალითად:

გადებ-გამოდებს (დაუშვებელია: გად-გამოდებს)

მიჰყვებ-მოჰყვება (დაუშვებელია: მიჰყვ-მოჰყვება)

მიყრი-მოყრის (დაუშვებელია: მიყრ-მოყრის)

გარბი-გამორბის (დაუშვებელია: გარბ-გამორბის)

მიქრი-მოქრის (დაუშვებელია: მიქრ-მოქრის) და ა. შ.

როდესაც მარცვალთა რაოდენობის თვალსაზრისით კვეცა დასაშვებია (ე. ი. კვეცის შემდეგ ზმნაში რჩება ორი ან მეტი მარცვალი), მაშინ სუფიქსური მორფემები ხან იკვეცება, ხან – არა. შესაბამისად, შეიძლება იწარმოოს პარალელური ვარიანტები:

გაქანდ-გამოქანდება // გაქან-გამოქანდება

მიედებ-მოედება // მიედ-მოედება

მიაწყობ-მოაწყობს // მიაწყ-მოაწყობს და მისთ.

ზოგჯერ შეიძლება შეგვხვდეს ზმნური კომპოზიტის სამი ვარიანტიც:

გააქანებდ-გამოაქანებდა // გააქანებ-გამოაქანებდა // გააქან-გამოაქანებდა

გააბამდ-გამოაბამდა // გააბამ-გამოაბამდა // გააბ-გამოაბამდა
და მისთ.

ნორმატიულ ლექსიკონებში დადასტურებულ ზმნურ კომპო-
ზიტებში ერთი და იგივე სუფიქსი ზოგ ზმნაში იკვეცება, ზოგში – არა.
ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფი-
ული ლექსიკონის“ მონაცემები ამგვარია:

მიტრიალ-მოტრიალდება, მაგრამ მიბრუნდ-მობრუნდება

ადი-ჩამოდიოდა, მაგრამ შედიოდ-გამოდიოდნენ...

ზოგჯერ გვაქვს პარალელური (შეკვეცილი და შეუკვეცავი) ვა-
რიანტები:

მიედებ-მოედება // მიედ-მოედება (ქეოლი)

მიიხრ[ებ]-მოიხრება (ქეგლი)...

უნდა განისაზღვროს, აღნიშნულ ვარიანტთაგან რომელია მი-
საღები სალიტერატურო ენისათვის, კერძოდ, რომელი აფიქსები უნ-
და შეიკვეცოს ზმნურ კომპოზიტთა პირველ ნაწილში.

საკითხის გასარკვევად გაანალიზებულია ვ. თოფურიასა და ივ.
გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“
წარმოდგენილი ფორმები, გათვალისწინებულია აგრეთვე 2010-2017
წლებში გამოცემული ორთოგრაფიული ლექსიკონების (რედაქტორი
– თ. ვაშაკიძე) და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მონა-
ცემები. საკვლევი მასალა მოძიებულია ქართული ენის ეროვნულ
კორპუსში.

ქვემოთ განხილულია, ერთი მხრივ, სუფიქსთა კვეცის და, მეო-
რე მხრივ, მათი შენარჩუნების შემთხვევები ზმნური კომპოზიტის
პირველ ნაწილში. მასალა დამოწმებულია დასახელებული ლექსიკო-
ნების მონაცემთა მიხედვით.

კომპოზიტთა პირველ ზმნაში ორი სუფიქსი – პირისა და
მწკრივის ნიშანი – როგორც წესი, იკვეცება:

შეკვეცილია სუფიქსური პირის ნიშანი:

არევ-დარევს, გაიარ-გამოიარა, მიიხედ-მოიხედეს...

შეკვეცილია მწკრივის ნიშანი:

-ი: მივდექ-მოვდექი, მიდექ-მოდექი, მიწექ-მოწექით, აჰყოლ-ჩაჰყოლია, გაუვლ-გამოუვლია, მიუფხრეწ-მოუფხრეწია, წავედ-წავ-მოვედით, წაჯექ-უკუჯექი...

-ე: ავუარ-ჩავუარე, გავიარ-გამოვიარე, გავიხედ-გამოვიხედე, მივათვალიერ-მოვათვალიერე, მივიკითხ-მოვიკითხე, მივიხედ-მოვიხედე, მივლექ-მოვლექე...

-ო: აევლ-ჩაევლო...

პირისა და მწკრივის ნიშნები შენარჩუნებულია მხოლოდ მაშინ, თუ ზმნა ორმარცვლიანია და აღნიშნულ სუფიქსთა შეკვეცის შემთხვევაში მხოლოდ ერთი მარცვალი დარჩებოდა პირველ კომპონენტში, რაც, მარცვალთა რაოდენობის პირობის მიხედვით, დაუშვებელია. მაგალითად:

შენარჩუნებულია პირის ნიშანი: მიჰყვ~~ა~~-მოჰყვ~~ა~~, მიწვ~~ა~~-მოწვ~~ა~~, გად~~ღ~~-გამოდ~~ღ~~, წავ~~გ~~-წამოვ~~ა~~...

შენარჩუნებულია მწკრივის ნიშანი: ავრბ~~დ~~-ჩავრბივარ, გარბ~~დ~~-გამორბის, მიქრ~~დ~~-მოქრის...

მაშასადამე, ზმნური კომპოზიტის პირველ ნაწილში პირისა და მწკრივის ნიშნები იკვეცება:

მიიხედ-მოიხედა (და არა მიიხედა-მოიხედა)

მიიტან-მოიტანს (და არა მიიტანს-მოიტანს)

გავატარ-გამოვატარე (და არა გავატარე-გამოვატარე)

მიაბრუნ-მოაბრუნო (და არა მიაბრუნო-მოაბრუნო)

გამონაკლისია ის ფორმები, რომლებშიც მარცვალთა რაოდენობის გამო (პირველ კომპონენტში უნდა იყოს არაუმცირეს ორი მარცვლისა) შენარჩუნებულია ეს სუფიქსები (მიჰყვა-მოჰყვა, ავრბი-ჩავრბივარ...).

ყველა დანარჩენი ზმნური სუფიქსი (ვნებითის **დ**, თემის ნიშანი, სავრცობი) შეიძლება შეიკვეცოს ან არ შეიკვეცოს კომპოზიტის პირველ კომპონენტში. ქვემოთ აღწერილია სუფიქსთა კვეცისა და შენარჩუნების შემთხვევები.

I. ზმნური კომპოზიტის პირველი ნაწილის სუფიქსი არ იკვეცება (შენარჩუნებულია). ამგვარი ფორმები ცოტაა. ზოგ მათგანს პარალელური (მოკვეცილი) ვარიანტიც უდასტურდება, რომელიც მითითებულია ხმოვნთან (მოუკვეცელ) ფორმასთან.

შენარჩუნებულია ვნებითის დ: გაქანდ-გამოქანდება, გა-
ფრინდ-გამოფრინდება, მიბრუნდ-მობრუნდება, მიწყნარდ-მოწყნარ-
დება...

შენარჩუნებულია თემის ნიშანი:

-**ებ:** გადებ-გამოდებს, მიედებ-მოედება // მიედ-მოედება, მიიხ-
რებ-მოიხრება (ქეგლში – მიიხრებ-მოიხრება), მიწვებ-მოწვება, მი-
ჰყვებ-მოჰყვება.

-**ავ:** გაჰკრავ-გამოჰკრავს, მიიკითხავ-მოიკითხავს (ქეგლი – მი-
იკითხ-მოიკითხავს), მიძრავ-მოძრავს.

-**ობ:** მიაწყობ-მოაწყობს (ქეგლი – მიაწყ-მოაწყობს)

-**ევ:** გაინძრევ-გამოინძრევა, გაიქცევ-გამოიქცევა, მიინგრევ-მო-
ინგრევა

-**ი:** მიყრდ-მოყრის, მიხრდ-მოხრის

შენარჩუნებულია სავრცობი: ავირბენდ-ჩავირბენდი, გაჰქონდ-
გამოჰქონდა, ადიოდ-ჩადიოდა, შედიოდ-გამოდიოდნენ...

II. ზმნური კომპოზიტის პირველი ნაწილის სუფიქსი მოკვეცი-
ლია.

იკვეცება ვნებითის დ: გადაგორ-გადმოგორდება, გადატრიალ-
გადმოტრიალდება, მილაგ-მოლაგდება, მიტრიალ-მოტრიალდება...

ქეგლში დასტურდება პარალელური ფორმა: გადაგორ[დ]-
გადმოგორდება.

იკვეცება თემის ნიშანი:

-**ებ:** აატარ-ჩამოატარებს, ააყოლ-ჩააყოლებს, აილ-დაილებს, გაა-
გორ-გამოაგორებს, გაათამაშ-გამოათამაშებს, გადახტ-გადმოხტება,
გაექან-გამოექანება, მიავლ-მოავლებს, მიაწყდ-მოაწყდება, შეაქან-
შემოაქანებს...

-**ავ:** აზომ-დაზომავს, ასუნ-დასუნავს, ახედ-დახედავს, გაიხედ-
გამოიხედავს, მიკიბ-მოკიბავს, მიფანტ-მოფანტავს...

-**ამ:** აუესვ-ჩაუესვამს, გააბ-გამოაბამს, მიისვ-მოისვამს...

-**ობ:** გადააწყვ-გადმოაწყობს, მიაქრ-მოაქრობს...

-**ემ:** გადასც-გადმოსცემს...

-**ი:** აწონ-დაწონის, გადაყრ-გადმოყრის, გაივლ-გამოივლის...

ქეგლში დასტურდება პარალელური ფორმებიც: გადააწყ[ობ]-
გადმოაწყობს, გადასც[ემ]-გადმოსცემს.

ივეცება სავრცობი: გადაჰყავ-გადმოჰყავდეს, ადი-ჩამოდიოდა, მიდი-მოდიოდა, გადი-გამოდიოდა, გაჰკრავ-გამოჰკრავდა, მიი-კითხავ-მოიკითხავდა, მიინგრევ-მოინგრეოდა, მისწევ-მოსწევდა, მიძრავ-მოძრავდა...

პირველ კომპონენტში **დ** სავრცობი შენარჩუნებულია შემდეგ ფორმებში: მიჰქონდ-მოჰქონდა, მიჰყავდ-მოჰყავდა.

ზემოთ განხილული ლექსიკონების მსგავსად, ქართული ენის ეროვნულ კორპუსშიც დასტურდება ზმნური კომპოზიტები, რომელთა პირველი ნაწილი გვხვდება როგორც შეკვეცილი, ისე შეუკვეციელი (სუფიქსიანი) სახით. ქვემოთ წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემები კორპუსის მიხედვით.

სუფიქსი	მოკვეცილია	შენარჩუნებულია
ვნებითის დ	12	7
თემის ნიშანი	78	11
სავრცობი	12	4
მწკრივის ნიშანი	9	3
ჯამი	111	25

როგორც საანალიზო მასალიდან ჩანს, ზმნურ კომპოზიტთა პირველი ნაწილის სუფიქსები უპირატესად იკვეცება.

პარალელური ვარიანტები მოეპოვებათ **ევ** სუფიქსიან ზმნებსაც, კერძოდ, პირველი კომპონენტი შეიძლება წარმოდგენილი იყოს **ევ** სუფიქსით ან მის გარეშე: **აიწ-დაიწევს // აიწევ-დაიწევს; აურ-დაურევს // აურევ-დაურევს; გაიქნ-გამოიქნევს // გაიქნევ-გამოიქნევს; გაიწ-გამოიწევა // გაიწევ-გამოიწევა; მიიქნ-მოიქნევს // მიიქნევ-მოიქნევს...**

დასახელებულ პარალელურ ვარიანტთაგან ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში დადასტურებულია შემდეგი **ევ**-შეკვეცილი ფორმები: **აიწ-დაიწევს, აურ-დაურევს, მიამტვრ-მოამტვრევს, მიაბზნ-მოაბზნევს, მიაზგრ-მოაზგრევს, მიიწ-მოიწევა...** ამავე ლექსიკონში **ევ**-სუფიქსიანი ფორმით გვხვდება პირველი კომპონენტი შემდეგ კომპოზიტებში: **მიიწევ-მოიწევს, გაიქნევ-გამოიქნევს, მიიქნევ-მოიქნევს, მიუხვევ-მოუხვევს...**

რაც შეეხება „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს“, აღნიშნული ფორმები იქ უპირატესად პარალელური ვარიანტების სახით არის წარმოდგენილი: **ევ** სუფიქსით და მის გარეშე: **აიწ[ევ]-დაიწევს; მიაბტერ[ევ]-მოამტგრევს, მიაზნ[ევ]-მოაზნევს** და მისთ. განხილულ მასალაში მოკვეცილი სახით არის დადასტურებული ორი ფორმა: **აურ-დაურევს და მიუზგ-მოუზგევს.**

ევ-იან ზმნურ კომპოზიტებშიც დაცულია მარცვალთა რაოდენობის პრინციპი: თუ **ევ** სუფიქსის წინ მხოლოდ ერთი მარცვალია, მაშინ კომპოზიტის პირველ ზმნას **ევ** არ მოეკვეცება და პარალელური ფორმები არ გვექნება:

ასწევ-დასწევს (და არა ასწ-დასწევს)

გასწევ-გამოსწევს (და არა გასწ-გამოსწევს)

არევ-დარევს (და არა არ-დარევს)...

ქართული ენის ეროვნულ კორპუსში დადასტურდა **ევ**-იანი ზმნებისგან წარმოებული 121 კომპოზიტი, ამათგან 115 ზმნაში (95%) პირველი კომპონენტი **ევ**-მოკვეცილი სახით არის წარმოდგენილი.

„ხალხმა **მიიწ-მოიწია** და ხელახლა დალაგდა“ (მ. ჯავახ.).

„ბოლოს ისე **აურ-დაურია** ყველაფერი, რომ სიტყვები აღარ გამოსდიოდა“ (ჭ. ამირ.).

„მხნედ წამოვდექი, ამტანი ვარ მე, ხელებიც კი ერთი-ორჯერ **გავიქნ-გამოვიქნე**“ (გ. დოჩან.).

„**მიუზგ-მოუზგევ** და ბოლოს სინათლეში გამოდიხარ („არილი“, 2001).

„თუ არ დაგნებდნენ, იმ ტოტებსაც **მიაბტერ-მოამტგრევს**“ (ც. ბარბაქ., Lib.ge).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **ენ**-იანი ზმნებისგან წარმოქმნილ ზმნურ კომპოზიტთა პირველ ნაწილში **ენ / ინ** ყოველთვის არის წარმოდგენილი.

აირბენ-ჩაირბენს; აირბინ-ჩაირბინა (ქეოლი)

გაირბენ-გამოირბენს; გაირბინ-გამოირბინა; გაურბენ-გამოურბენია (ქეოლი)

მიირბენ-მოირბენს; მიირბინ-მოირბინა; მიურბენ-მოურბენია (ქეოლი)

გააძვრენ-გამოაძვრენს (გააძვრინ-გამოაძვრინა, გაუძვრენ-გამოუძვრენია) (ქეგლი)...

განხილულ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ენაში დასტურდება ზმნურ კომპოზიტთა პირველ ნაწილში სუფიქსების (ევ-ის, ვნებითის დ სუფიქსის, თემის ნიშნის, სავრცობის) მოკვეცის ტენდენცია, მაგრამ თანამედროვე ქართულში ჯერ კიდევ იხმარება სუფიქსმოუკვეცელი ფორმები. ამიტომ ორივე ვარიანტი (მოკვეცილი და მოუკვეცელი) სალიტერატურო ენაში მართებულად უნდა იყოს მიჩნეული. აუცილებელია მხოლოდ პირისა და მწკრივის ნიშანთა მოკვეცა, რადგან კომპოზიტთა პირველ ნაწილში ისინი არასოდეს არ დასტურდება.

ზემოთ წარმოდგენილ მონაცემთა საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს ზმნური კომპოზიტების წარმოების ამგვარი წესი:

1. ზმნურ კომპოზიტთა პირველ ნაწილში უნდა შეიკვეცოს როგორც მწკრივის, ისე სუფიქსური პირის ნიშნები: **გავატარ-გამოვატარე, მივაბრუნ-მოვაბრუნო, გაიხედ-გამოიხედა, მიიტან-მოიტანს...**

2. ზმნური კომპოზიტის პირველ ნაწილში შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს: ფუძის მაწარმოებელი **ევ** ფორმანტი, ვნებითის **დ**, თემის ნიშანი და სავრცობი. პარალელურად დასაშვებია ისეთი ვარიანტებიც, როცა ზემოთ დასახელებული სუფიქსები მოკვეცილია.

გაიწევ-გამოიწევს // გაიწ-გამოიწევს

გაქანდ-გამოქანდება // გაქან-გამოქანდება

მიედებ-მოედება // მიედ-მოედება

გაჰკრავდ-გამოჰკრავდა // გაჰკრავ-გამოჰკრავდა...

3. ზმნურ კომპოზიტთა პირველ ნაწილში ფუძის მომდევნო აფიქსის (ფუძის მაწარმოებელი **ევ** ფორმანტის, თემის ნიშნის, მწკრივის ნიშნის, პირის ნიშნის) შენარჩუნება აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ მის წინ მხოლოდ ერთი მარცვალია: **არევ-დარევს, მისწევ-მოსწევს... მიჰყვებ-მოჰყვება; გაჰკრავ-გამოჰკრავს; მიყრი-მოყრის... გარბი-გამორბის... გაჰყვა-გამოჰყვა...**

ლიტერატურა

ახალი ქართული ენა, წიგნი I, სალიტერატურო ენის მორფოლოგია, გ. გოგოლაშვილისა და ა. არაბულის რედაქციით. თბილისი, 2016.

ბოედერი, არაბული 2023 – ვ. ბოედერი, ა. არაბული, სინტაქსურ კოორდინაციასა და ზმნურ სიტყვაწარმოებას შორის /ზმნური დვანდვა ხევსურულში/, თბილისი-ოლდენბურგი.

მართლწერის ლექსიკონი მედიისთვის (რედ. თ. ვაშაკიძე), თბილისი, 2016

მოხსენებლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი (რედ. თ. ვაშაკიძე), თბილისი, 2012.

ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, I (რედ. თ. ვაშაკიძე), თბილისი, 2009.

ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, II (რედ. თ. ვაშაკიძე), თბილისი, 2011.

სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი (რედ. თ. ვაშაკიძე), თბილისი, 2011.

საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი (რედ. თ. ვაშაკიძე), თბილისი, 2017.

უთურგაიძე 2006 – თ. უთურგაიძე, ზმნურ კომპოზიტთა მართლწერისათვის, ენათმეცნიერების ინსტიტუტის LXV სესიის მასალები, თბილისი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII (არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), თბილისი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, I-IV (მთ. რედ. ა. არაბული), თბილისი.

ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 1998.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი 12 ტომად, ტ. III. თბილისი.

ქეთევან დათუკიშვილი

სახელზმნურ კომპოზიტა მართლწერა

სახელზმნურ კომპოზიტა წარმოებისას უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. ხმოვნით დაბოლოებულ სხვადასხვაძირიან მასდარულ კომპოზიტა პირველი ნაწილი წარმოდგენილ უნდა იყოს სრული სახით (საწყისის მაწარმოებელი -ა სუფიქსი არ იკვეცება): კვლევა-ძიება, კუმშვა-კვეცა, ლანძღვა-გინება, მიმატება-გამოკლება, რჩევა-დარიგება, ქება-დიდება, შედარება-დაპირისპირება, შევსება-შესწორება, წარმოშობა-განვითარება, წაღება-მოტანა... თანხმოვანფუძიან კომპოზიტა პირველი ნაწილი უნდა გაფორმდეს ფუძის სახით: ჟივილ-ხივილი, სიცილ-კისკისი, ტირილ-ზლუქუნი, ყვირილ-წივილი, წივილ-კივილი...

2. იდენტურძირიან მასდარულ კომპოზიტა წარმოებისას პირველ კომპონენტს საწყისის მაწარმოებელი -ა სუფიქსი უნდა მოეკვეცოს: აფრენ-ჩაფრენა, აწონ-დაწონა, გადაშლ-გადმოშლა, გაქცევ-გამოქცევა, გაწევ-გამოწევა, მიზნევ-მოზნევა, მიტან-მოტანა, მიწერ-მოწერა, წაყვან-წამოყვანა...

შენიშვნა. ზოგიერთ კომპოზიტში დასაშვებია პარალელური ვარიანტები (ა-მოკვეცილი და ა-მოუკვეციელი):

მოგებ-წაგება // მოგება-წაგება

შეზიდვ-გამოზიდვა // შეზიდვა-გამოზიდვა

წაგებ-მოგება // წაგება-მოგება

ჩარეკვ-ამორეკვა // ჩარეკვა-ამორეკვა და მისთ.

3. იდენტურძირიან მასდარულ კომპოზიტა პირველ ნაწილში თემის ნიშანი უნდა მოიკვეცოს, პარალელურად დასაშვებია აგრეთვე თემისნიშნის ვარიანტები:

გადაგორ-გადმოგორება // გადაგორებ-გადმოგორება

გადაკეთ-გადმოკეთება // გადაკეთებ-გადმოკეთება

გადაწყ-გადმოწყობა // გადაწყობ-გადმოწყობა

გადახედ-გადმოხედვა // გადახედვ-გადმოხედვა და მისთ.

4. თუ სუფიქსის (საწყისის მაწარმოებელი ა-ს ან თემის ნიშნის) მოკვეცის შედეგად პირველ კომპონენტში მხოლოდ ერთი მარცვალი რჩება, მაშინ ის (სუფიქსი) უნდა შენარჩუნდეს (**ასვლა-ჩამოსვლა, გაცვლა-გამოცვლა... გახმობ-გამოხმობა, წაღებ-წამოღება...**).

5. მიმღეობურ კომპოზიტთა პირველი ნაწილი წარმოდგენილი უნდა იყოს ფუძის სახით, რომელიც შეიცავს მიმღეობის მაწარმოებელ სუფიქსსა და თემის ნიშანს: **გასასვლელ-გამოსასვლელი, მიხვეულ-მოხვეული, ჩასუქებულ-ჩამრგვალებული, წაგებულ-მოგებული, ამწვანებულ-აყვავებული...** ცალკეულ შემთხვევებში იდენტურიდან კომპოზიტთა პირველ ნაწილში დასაშვებია მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსის მოკვეცით მიღებული ვარიანტებიც:

მიკიბულ-მოკიბული // მიკიბ-მოკიბული

მილეწილ-მოლეწილი // მილეწ-მოლეწილი

აწონილ-დაწონილი // აწონ-დაწონილი და მისთ.

დასაბუთება

ქართულ ენაში დასტურდება რთულ სიტყვათა თავისებური სახეობა – ზმნური კომპოზიტები, რომელთა ორივე ნაწილი ფლექსიურ აფიქსებს დაირთავს: მივიხედ-მოვიხედე, მიიხედ-მოიხედა, ავიარ-ჩავიარე, აიარ-ჩაიარა და მისთ. ამგვარ ზმნათა გვერდით უნდა გამოიყოს სახელზმნური (მასდარული და მიმღეობური) კომპოზიტები. ამ უკანასკნელთ მიეკუთვნება იმგვარი ფორმები, რომელთა ორივე ნაწილი სახელზმნაა: მასდარი (**კვლევა-ძიება, ლოცვა-ვედრება, გავლა-გამოვლა, მიტან-მოტანა...**) ან მიმღეობა (**ნასვამ-ნაჭამი, მოკაშკაშ-მოელვარე, ამვლელ-ჩამვლელი, მიზნეულ-მოზნეული...**). აღნიშნულ ჯგუფში არ განიხილება ის რთული სახელები, რომლებშიც მხოლოდ ერთი კომპონენტი სახელზმნური (ხელაწეული, თავჩაღუნული, თვალთახედვა და მისთ.).

სახელზმნურ კომპოზიტთა მეორე ნაწილში ყველა აფიქსი სრულად არის წარმოდგენილი, პირველში კი ზოგჯერ სუფიქს(ებ)ი იკვეცება.

სახელზმნურ კომპოზიტთა საანალიზოდ განხილულია ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ წარმოდგენილი ფორმები, გათვალისწინებულია აგრეთვე 2010-2017 წლებში გამოცემული ორთოგრაფიული ლექსიკონებისა (რედაქტორი – თ. ვაშაკიძე) და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მონაცემები. საკვლევი მასალა მოძიებულია ქართული ენის ეროვნულ კორპუსში.

მასდარული კომპოზიტები

გამოიყოფა მასდარულ კომპოზიტთა ორი ტიპი:

I. სხვადასხვაძირიანები (როდესაც კომპონენტები სხვადასხვა ძირისგან იწარმოება): **მიმატება-გამოკლება, ხვნა-თესვა...**

II. იდენტურძირიანები (როდესაც ორივე კომპონენტი ერთი ძირისგან არის წარმოქმნილი, განსხვავებულია მხოლოდ ზმნისწინებით): **ასვლა-ჩასვლა, მიტრიალ-მოტრიალება...**

I. თუ სხვადასხვაძირიან მასდარულ კომპოზიტთა პირველი ნაწილი ხმოვანფუძიანია (იწარმოება -ა სუფიქსით), ის სრული სახით არის წარმოდგენილი: **კვლევა-ძიება, კუმშვა-კვეცა, ლანძღვა-გინება, მიმატება-გამოკლება, რჩევა-დარიგება, ქება-დიდება, შედარება-დაპირისპირება, შეცემა-შესწორება, წარმოშობა-განვითარება, წაღება-მოტანა** (შდრ.: **წაღებ-წამოღება**)...

გამონაკლისია ორი კომპოზიტი: **ციებ-ცხელება** და **წართმევ-წაგლეჯა**, რომლებშიც პირველი კომპონენტის -ა სუფიქსი იკარგება. **ციებ-ცხელება** ავადმყოფობის სახელწოდებაა და სიტყვის მასდარული მნიშვნელობა დაჩრდილულია. შესაძლოა, ამ კომპოზიტში ა სუფიქსის მოკვეცა სწორედ ამით იყოს განპირობებული.

რაც შეეხება **წართმევ-წაგლეჯა** ფორმას, აღსანიშნავია, რომ ის ქართული ენის ეროვნულ კორპუსში ამ სახით არ დასტურდება. გვხვდება მისი პარალელური ვარიანტი, რომლის პირველი კომპონენტი ა-სუფიქსიანია: „მან ათეულმილიონიანი ქონება დააგროვა არა პატიოსანი შრომით, არამედ **წართმევა-წაგლეჯით**“ (ქეეკი, „საქართველოს რესპუბლიკა“, 2011); „ამ **წართმევა-წაგლეჯას** ორ კატეგორიად დავყოფდი“ („ახალი თაობა“, 2007).

თუ სხვადასხვაპირიან მასდარულ კომპოზიტთა პირველი ნაწილი თანხმოვანფუძიანია, ის ფუძის სახით გვხვდება: **ჟივილ-ხივილი, სიცილ-კისკისი, ტირილ-ზლუქუნი, ყვირილ-წივილი, წივილ-კივილი...**

II. იდენტურპირიან მასდარულ კომპოზიტთა პირველ ნაწილში საწყისის მაწარმოებელი -ა სუფიქსი იკვეცება:

არბენ-ჩამორბენა (← *არბენა-ჩამორბენა)

აწეწ-დაწეწა (← *აწეწა-დაწეწა)

გადადებ-გადმოდება (← *გადადება-გადმოდება)

წაღებ-წამოღება (← *წაღება-წამოღება) და მისთ.

ამგვარი მასდარების, ისევე, როგორც იდენტურპირიანი ზმნური კომპოზიტების, წარმოებისას ანგარიში გაეწევა პირველი ფუძის მარცვალთა რაოდენობას. კერძოდ, პირველი კომპონენტი უნდა შედგებოდეს არაუმცირეს ორი მარცვლისა. თუ მასდარის მაწარმოებელი -ა სუფიქსის მოკვეცის შემთხვევაში პირველ კომპონენტში მხოლოდ ერთი მარცვალი რჩება, მაშინ -ა შენარჩუნდება, მაგალითად:

ასვლა-ჩამოსვლა (და არა ასვლ-ჩამოსვლა)

გასმა-გამოსმა (და არა გასმ-გამოსმა)

გაცვლა-გამოცვლა (და არა გაცვლ-გამოცვლა)

მითქმა-მოთქმა (და არა მითქმ-მოთქმა)

მიყრა-მოყრა (და არა მიყრ-მოყრა)

ყიდვა-გაყიდვა (და არა ყიდვ-გაყიდვა)

შეხლა-შემოხლა (და არა შეხლ-შემოხლა) და მისთ.

რამდენიმე კომპოზიტში დადასტურდა ისეთი შემთხვევა, როცა პირველ კომპონენტში ა-ს მოკვეცის შემთხვევაში ორი მარცვალი რჩება, მაგრამ მასდარის -ა მაინც შენარჩუნებულია:

მოგება-წაგება

წაგება-მოგება

შეზიდვა-გამოზიდვა

ჩარეკვა-ამორეკვა

მოგება-წაგება და **წაგება-მოგება** კომპოზიტები ა-მოკვეცილი ვარიანტებითაც დასტურდება ქართული ენის ეროვნულ კორპუსში: **მოგებ-წაგება** და **წაგებ-მოგება**. მართალია, ეს კომპოზიტები ა-დართული სახით (**მოგება-წაგება, წაგება-მოგება**) უფრო დიდი რაოდე-

ნობით გვხვდება (მოგება-წაგება – 191; მოგებ-წაგება – 7; წაგება-მოგება – 45; წაგებ-მოგება – 11), მაგრამ, შესაძლოა, ეს განპირობებულია იმით, რომ ამ მასდარებში ზმნისწინის მონაცვლეობით მიიღება ანტონიმური მნიშვნელობის სიტყვები (**მოგება – წაგება**), ამიტომ პირველი საწყისიც სრული სახით არის წარმოდგენილი, რომ სიტყვის მნიშვნელობა კარგად წარმოჩნდეს. ამ შემთხვევაში მთავარი ის არის, რომ აღნიშნულ კომპოზიტებს ა-მოკვეცილი ვარიანტებიც უდასტურდება და საერთო წესიდან გამონაკლისს არ ქმნიან.

შეზიდვა-გამოზიდვა და ჩარეკვა-ამორეკვა კომპოზიტებშიც შესაძლებელია პარალელური ვარიანტების დაშვება: **შეზიდვ-გამოზიდვა და ჩარეკვ-ამორეკვა**. ქართული ენის ეროვნულ კორპუსში ამ კომპოზიტთა არცერთი სახეობა (არც ა-მოკვეცილი და არც მოუკვეცილი) არ დადასტურდა. მაგრამ, ერთი შეხედვით (ექსპერტული შეფასებით), მოკვეცილი ფორმების დაშვება ბუნებრივი უნდა იყოს.

განხილულ ფორმებში გამონაკლისის სახით შეიძლება დავუშვათ პარალელური ვარიანტები. საერთო წესის მიხედვით კი იდენტურმირიან მასდარულ კომპოზიტთა პირველი ნაწილის -ა სუფიქსი უნდა შეიკვეცოს.

მასდარულ კომპოზიტთა პირველ ნაწილში -ა სუფიქსის გარდა თემის ნიშანიც იკვეცება, პარალელურად დასტურდება აგრეთვე თემისნიშნის ვარიანტები. გვაქვს ორივე ტიპის წარმოების მაგალითები:

1. იდენტურმირიანი მასდარული კომპოზიტის პირველ ნაწილში თემის ნიშანი შენარჩუნებულია:

- ებ: **გადადებ-გადმოდება, გადაკეთებ-გადმოკეთება, გადაღებ-გადმოღება...**

- ობ: **გადადნობ-გადმოდნობა, გადაწყობ-გადმოწყობა...**

- ვ (<- ავ): **გადაზიდვ-გადმოზიდვა, მიხედვ-მოხედვა...**

- მ (<-ამ): **გადასმ-გადმოსმა...**

2. იდენტურმირიანი მასდარული კომპოზიტის პირველ ნაწილში თემის ნიშანი მოკვეცილია:

- ებ: **გაგორ-გამოგორება, გათამაშ-გამოთამაშება, მიბრუნ-მო-ბრუნება, მიკერ-მოკერება...**

- ვ (<- ავ): **მიკიბ-მოკიბვა, ახედ-დახედვა...**

ზოგი მასდარული კომპოზიტი ლექსიკონებში პარალელური ვარიანტების სახით არის წარმოდგენილი, მაგალითად: (გადაგორებ-გადმოგორება //) გადაგორ-გადმოგორება...

ქართული ენის ეროვნულ კორპუსში ყველა ტიპის წარმოების ნიმუში დასტურდება.

ა) თემის ნიშანი სრულადაა შენარჩუნებული:

„150-კილოგრამიანი სიმძიმეების **გადაგორებ-გადმოგორება**, გამძლეობის მაქსიმალურ დონემდე დაყვანა, – ეს ყოველივე და კიდევ ათასგვარი დატვირთვა გახლდათ 37 რჩეული მოთამაშის ყოველდღიური ცხოვრება“ („რეზონანსი“, 2007); „ამ ასბორბალას **გაგორებ-გამოგორებაში** ჩემი ცხინვალისა და ჩემი სამაჩაბლოს ავტონომიური ოლქის საკითხიც დადგა“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 2005); „...დაკავებულია არსებული საკანონმდებლო ბაზის გაუარესებით, **გადაკეთებ-გადმოკეთებითა** და თავის თავზე მორგებით“ (ქეეკი, „ახალი თაობა“, 2012); „ვისაც თავის **მიტრიალებ-მოტრიალება** შეეძლო, ყველა სხვა მხარეს იყურებოდა“ (ქეეკი, „დილის გაზეთი“, 2001); „ეს თამაში გამოიხატება საკუთრივ საზღვრითი ცნებების **გადაწყობ-გადმოწყობაში**“ (ქეეკი, გ. თევზაძე, Lib. ge).

ბ) თემის ნიშანი ნაწილობრივია შენარჩუნებული:

„ღამეული ქუჩა, ქურდულად, აქეთ-იქით **გახედვ-გამოხედვით** გადავკვეთე“ (ქეეკი, „საქართველოს რესპუბლიკა“, 2014); „ისე ქარიშხალივით ჩაგიქროლა ცხოვრებამ, რომ **მიხედვ-მოხედვა** ვერ მოასწარი“ (ქეეკი, „შირაქი“, 2009); „ფიგურების **გადასმ-გადმოსმა** არ შეეშალა და საწადელს ეწია“ (ქეეკი, „ლიტერატურული გაზეთი“, 2003).

გ) თემის ნიშანი მოკვეცილია მთლიანად:

„სიკვდილი იყო, რომ ვისმეს მოეშალა ამისი ქეიფი და ნებიერობა, ესე იგი ტახტზედ დარბაისლურად და პატიოსნად **გადაგორ-გადმოგორება**“ (ილია); „ურიკების **გაგორ-გამოგორება** ჯერჯერობით არავის არ შეუძლია“ (ქეეკი, დ. ქართველიშვილი, Lib. ge); „პატრონმა ვერც მარჯვნივ და ვერც მარცხნივ ვერ შეძლო მისი **მიბრუნ-მობრუნება**“ (ქეეკი, სერვანტესი, Lib.ge); „მოიხმეთ მთელი თქვენი პოზიცია, ყოველი თქვენი წრეები, კუთხეები, **მიტრიალ-მოტრიალება**, ერთი სიტყვით, მთელი თქვენი ცოდნა და ხელოვნება“ (ქეეკი,

სერვანტესი, Lib.ge); „**გახედ-გამოხედვას** ვერ მოასწრებ, რომ ნაცრისფერი ჩრდილები უკვე ყავისფერი გამხდარა“ (ქეეკი, ბორის აკუნინი, Lib. ge); „**მიხედ-მოხედვაც** ვერ მოვასწარი, „ხელი მტაცა“ გორიდან წამოყოლილმა რჩეულმა და ოჯახიც შევქმენით“ (ქეეკი, „საქართველოს რესპუბლიკა“, 2006).

მარცვალთა რაოდენობის გამო (თემის ნიშნის წინ უნდა იყოს ერთი მარცვალი მაინც) ზოგჯერ უთემისნიშნო ვარიანტი დაუშვებელია. ასეთ რთულ მასდარულ კომპოზიტთა პირველ ნაწილში მხოლოდ თემისნიშნიანი ვარიანტები დასტურდება.

გახმოზ-გამოხმოზა (და არა გახმ-გამოხმოზა);

გადებ-გამოდება (და არა გად-გამოდება); შდრ.: **გადად-გადმოდება**

წალებ-წამოლება (და არა წალ-წამოლება); შდრ.: **გადად-გადმოდება** და ა. შ.

საანალიზო მასალის გათვალისწინებით, იდენტურძირიან მასდარულ კომპოზიტთა წარმოების წესი ამგვარად უნდა ჩამოყალიბდეს:

იდენტურძირიან მასდარულ კომპოზიტთა წარმოებისას პირველ კომპონენტს უნდა მოეკვეცოს მასდარის ა სუფიქსი და თემის ნიშანი. პარალელურად დასაშვებია აგრეთვე თემისნიშნიანი ვარიანტები:

გადაგორ-გადმოგორება // გადაგორებ-გადმოგორება

გადაკეთ-გადმოკეთება // გადაკეთებ-გადმოკეთება

გადაწყ-გადმოწყობა // გადაწყობ-გადმოწყობა

გადახედ-გადმოხედვა // გადახედვ-გადმოხედვა და მისთ.

შენიშვნა: თუ მოკვეცის შედეგად პირველ კომპონენტში მხოლოდ ერთი მარცვალი რჩება, მაშინ უნდა შენარჩუნდეს მასდარის -ა (ასვლა-ჩამოსვლა, გაცვლა-გამოცვლა...) ან თემის ნიშანი (**გახმოზ-გამოხმოზა, წალებ-წამოლება...**).

მიმღეობური კომპოზიტები

მიმღეობურ კომპოზიტებშიც ორი ჯგუფი გამოიყოფა:

I. სხვადასხვაძირიანი: **მომჩივან-მოპასუხე, მოცინარ-მოღიმარი, ნასვამ-ნაჭამი, ნაშრომ-ნაღვაწი, უკვდავ-უბერებელი, შემკრთალ-**

შეშინებული, ჩაცმულ-დახურული, დაგვილ-დასუფთავებული, და-მწვარ-დადაგული, მშიერ-მწყურვალ, სახნავ-სათესი...

II. იდენტურძირიანი: ამვლელ-ჩამვლელი, გასაგზავნ-გამოსაგზავნი, მიბნეულ-მობნეული, აწეულ-დაწეული, მიმტან-მომტანი...

მიმღეობები უპირატესად თანხმავანფუძიანია. მათი წარმოება, ზმნური და მასდარული კომპოზიტებისაგან განსხვავებით, მარცვლოვანებაზე არ არის დამოკიდებული: რთული მიმღეობის პირველი კომპონენტი შეიძლება იყოს ერთმარცვლიანი: **მცველ-მფარველი, მწე-მფარველი** და მისთ.

I. სხვადასხვაძირიან მიმღეობურ კომპოზიტთა პირველი ნაწილი ფუძის სახით არის წარმოდგენილი, მასში შენარჩუნებულია მიმღეობის მაწარმოებელი (**გაკრეჭილ-გაპარსული, დარეცხილ-დასუფთავებული, ჩამოგლეჯილ-ჩამოფლეთილი, მიგზავნილ-მოგზავნილი...**) და თემის ნიშანი: **ჩალურჯებულ-ჩასისხლიანებული, ამწვანებულ-აყვავებული, ამალღებულ-დადაბლებული...**

მო – ე კონფიქსით ნაწარმოებ მიმღეობურ კომპოზიტთა პირველ ნაწილს – ე სუფიქსი მოეკვეცება: **მოკაშკაშ-მოელვარე** (← *მოკაშკაშე-მოელვარე), **მჭმუნვარ-მწუხარე** (← *მჭმუნვარე-მწუხარე) და მისთ. ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში დასტურდება ე-მოუკვეცელი ფორმაც: **მოციმციმე-მოელვარე**. ეს კომპოზიტი ე-მოკვეცილი სახითაც გვხვდება: „შეუკავშირდით ვარსკვლავებს, **მოციმციმ-მოელვარესა**“ (აკაკი). ეს უკანასკნელი ვარიანტი უფრო ბუნებრივი ჩანს.

II. იდენტურძირიან მიმღეობურ კომპოზიტთა წარმოებისას თუ ზმნას დაერთვის მხოლოდ პრეფიქსული ნიშანი, კომპოზიტის პირველი მიმღეობა წარმოდგენილი იქნება ფუძის სახით: **ამავალ-დამავალი, ამვლელ-ჩამვლელი, ამწევ-დამწევი, გადასატან-გადმოსატანი...**

თუ მიმღეობა სუფიქსით იწარმოება, კომპოზიტთა პირველ ნაწილში ძირითადად შენარჩუნებულია მიმღეობის მაწარმოებელი და თემის ნიშანი: **გადახვეულ-გადმოხვეული, გასასვლელ-გამოსასვლელი, მიდგმულ-მოდგმული, წამღებ-წამომღები...**

ზოგჯერ კომპოზიტის პირველ ნაწილში მოკვეცილია მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსი (**აწონ-დაწონილი, გადებ-გამოდებული, მირეგვ-მორეგვილი**); შეიძლება მოიკვეცოს თემის ნიშანი (**მისახედ-**

მოსახედავი), ზოგჯერ კი – მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსიცა და თემის ნიშანიც (**მილაგ-მოლაგებული**). ამგვარი წარმოება იშვიათია. ამასთან აღნიშნული სახის ფორმებს პარალელური (სუფიქსიანი) ვარიანტებიც აქვთ: **აწონილ-დაწონილი, გადებულ-გამოდებული, მირეგვილ-მორეგვილი, მისახედავ-მოსახედავი, მილაგებულ-მოლაგებული...**

პარალელური ვარიანტები აქვთ სხვა იდენტურმირიან მიმღეობებსაც:

(არევ-დარეული // არეულ-დარეული

აწონ-დაწონილი // აწონილ-დაწონილი

მიკიბულ-მოკიბული // მიკიბ-მოკიბული

მილეწილ-მოლეწილი // მილეწ-მოლეწილი და მისთ.

ქართული ენის ეროვნულ კორპუსში ორივე ტიპის წარმოების შემთხვევები დასტურდება. ქვემოთ წარმოდგენილია შესაბამისი მაგალითები.

მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსი შენარჩუნებულია (პირველ ნაწილში):

„ჩავიცვი ძველი **მიგლეჯილ-მოგლეჯილი** ტანისამოსი“ (ქეევი, ლ. არდაზიანი, Lib. ge); „არ მიყვარს, როდესაც რაღაც **მიკიბულ-მოკიბულ** ლაპარაკს იწყებენ“ (ქეევი, „ახალი თაობა“, 2001); „კინადამ ცუდად გავხდი **მიკლაკნილ-მოკლაკნილი** გზის გამო“ (ქეევი, tavisupleba.org, 2016); „დაგვრჩა განუკითხაობის მწარე მოგონებად გვერდებშემტვრეული, **მილეწილ-მოლეწილი** საფლავები“ (ქეევი, „გურია ნიუსი“, 2005); „ოთახში **მიფანტულ-მოფანტულ** ნივთებს გადააბიჯა და საწოლზე ჩამოჯდა“ (ქეევი, „ლიტერატურული პალიტრა“, 2008); „ვიწრო და **მიღრეცილ-მოღრეცილ** ქუჩაზე წითელპერანგა გოგო-ბიჭები გამოეფინენ“ (ქეევი, „ლიტერატურული პალიტრა“, 2008)

მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსი მოკვეცილია (პირველ ნაწილში):

„ჩვენ ერთმანეთთან **მიკიბ-მოკიბული** საუბარი არ შეგვშენის“ (ქეევი, „საქართველოს რესპუბლიკა“, 2011); „მარტო დაკეტილი რომ იყოს, რა უჭირდა, შიგნით რომ შეგახედათ, სულ **მილეწ-მოლეწილია**“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 2009); „ისე იყო ყველაფერი **მისრეს-მოსრესილი**, დამტვრეული და მიწაზე დაგებული, თითქო“...

(ქვეყი, ნ. ლომოური, Lib.ge); „სოფელი ვარევანი თავისი მიწური სა-
ხლებით, **მიღრეც-მოღრეცილი** ვიწრო ქუჩებით, ნგრეული ქვიტკი-
რით, საყდრითა და მეჩეთით ჰგავდა აღმოსავლეთის ძველისძველ ქა-
ლაქს – დამასკს“ (ალ. ქუთათელი).

დასახელებული ფორმებიდან ეროვნულ კორპუსში რაოდენო-
ბით მნიშვნელოვნად მეტია სუფიქსიანი ვარიანტები. სტატისტიკუ-
რი მონაცემები ამგვარია:

სუფიქსიანი		სუფიქსმოკვეცილი	
მიგლეჯილ- მოგლეჯილი	5	მიგლეჯ- მოგლეჯილი	0
გადებულ- გამოდებული	1	გადებ- გამოდებული	0
მიკიბულ- მოკიბული	99	მიკიბ-მოკიბული	13
მიკლაკნილ- მოკლაკნილი	1	მიკლაკნ- მოკლაკნილი	0
მილეწილ- მოლეწილი	4	მილეწ-მოლეწილი	1
მიმალულ- მომალული	1	მიმალ-მომალული	0
ჯამი	111 – 88.8%		14 – 11.2%

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, მიმდებარე კომპო-
ზიტებში პირველი ნაწილი უპირატესად მაწარმოებელი სუფიქსით
არის წარმოდგენილი, ამიტომ ისინი სალიტერატურო ენის მართე-
ბულ ვარიანტებად უნდა მივიჩნიოთ: **აწონილ-დაწონილი, მილე-
წილ-მოლეწილი...** მაგრამ რადგან პარალელურად სუფიქსმოკვეცი-
ლი ფორმებიც გამოიყენება (**აწონ-დაწონილი, მილეწ-მოლეწილი...**),
ისინი დასაშვებ ვარიანტებად უნდა იქნეს განხილული.

მიმდებარე კომპოზიტთა წარმოების წესი ჩამოყალიბდება ამ-
გვარად:

მიმდებარე კომპოზიტთა პირველი ნაწილი წარმოდგენილი
უნდა იყოს ფუძის სახით, რომელიც შეიცავს მიმდებარე მაწარმოე-

ბელ აფიქსსა და თემის ნიშანს: გასასვლელ-გამოსასვლელი, მიხვე-
ულ-მოხვეული, ჩასუქებულ-ჩამრგვალებული, წაგებულ-მოგებული,
ამწვანებულ-აყვავებული... იდენტურძირიან კომპოზიტთა პირველ
ნაწილში დასაშვებია მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსის მოკვეცით
მიღებული ვარიანტებიც:

აწონილ-დაწონილი // აწონ-დაწონილი

მიკიბულ-მოკიბული // მიკიბ-მოკიბული

მილეწილ-მოლეწილი // მილეწ-მოლეწილი და მისთ.

ლიტერატურა

ახალი ქართული ენა, წიგნი I, სალიტერატურო ენის მორფო-
ლოგია, გ. გოგოლაშვილისა და ა. არაბულის რედაქციით. თბილისი,
2016.

ბოედერი, არაბული 2023 – ვ. ბოედერი, ა. არაბული, სინტაქ-
სურ კოორდინაციასა და ზმნურ სიტყვაწარმოებას შორის /ზმნური
დვანდვა ხევსურულში/, თბილისი-ოლდენბურგი.

მართლწერის ლექსიკონი მედიისთვის (რედ. თ. ვაშაკიძე),
თბილისი, 2016

მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი
(რედ. თ. ვაშაკიძე), თბილისი, 2012.

ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი,
I (რედ. თ. ვაშაკიძე), თბილისი, 2009.

ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი,
II (რედ. თ. ვაშაკიძე), თბილისი, 2011.

სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი (რედ. თ. ვაშაკიძე),
თბილისი, 2011.

საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკო-
ნი (რედ. თ. ვაშაკიძე), თბილისი, 2017.

უთურგაიძე 2006 – თ. უთურგაიძე, ზმნურ კომპოზიტთა მარ-
თლწერისათვის, ენათმეცნიერების ინსტიტუტის LXV სესიის მასა-
ლები, თბილისი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII (არნ. ჩიქობა-
ვას საერთო რედაქციით), თბილისი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, I-IV (მთ. რედ. ა. არაბული), თბილისი.

ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 1998.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი 12 ტომად, ტ. III. თბილისი.

მაკა ლაბარტყავა

რიცხვითი სახელის შემცველი შესიტყვებისაგან დერივაციის გზით მიღებულ სახელთა მართლწერა

რიცხვითი სახელის შემცველი შესიტყვებისაგან დერივაციის გზით მიღებულ სახელთა მართლწერასთან დაკავშირებით უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. „ათი კილომეტრი“ ტიპის შესიტყვებისაგან წარმომქმნელ აფიქსთა (-იან, -ოვან, -ა...) დართვით მიღებული დერივაციული სახელები უდევისოდ უნდა დაიწეროს: ათკილომეტრიანი, ხუთსართულიანი, ათბალიანი, სამგუმბათოვანი, ოთხწახნაგოვანი, ასპროცენტისანი, ორცილინდრიანი, ორხიდიანი, სამგანზომილებიანი, ექვსპუნქტიანი, სამწვერა...

2. წარმომქმნელ აფიქსთა დართვით მიღებული დერივაციული სახელი უდევისოდ დაიწერება იმ შემთხვევაშიც, თუ შესიტყვების პირველი ნაწილი ორი ან ორზე მეტი კომპონენტისაგან შედგენილი რიცხვითი სახელია („სამი ათასი“... „ხუთი ათას შვიდას ოცდახუთი“ ტიპისა): ორიათასადგილიანი, სამიათასგვერდიანი, ხუთიათასშვიდასოცდახუთსიტყვიანი, სამიათასრვაასოცდარვაასიტყვიანი, ასოცადგილიანი...

3. უდევისოდ უნდა დაიწეროს დერივაციული სახელი მაშინაც, როცა სიტყვამაწარმოებელი აფიქსი ერთვის „მრავალი საუკუნე“ ტიპის შესიტყვებას (ამ შემთხვევაში შესიტყვების პირველი კომპონენტი განუსაზღვრელი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელია): მრავალსაუკუნოვანი, მრავალათასიანი, მრავალგვერდიანი, მრავალფეროვანი, ბევრუჯრიანი...

4. დერივაციული სახელი უდევისოდ უნდა დაიწეროს იმ შემთხვევაში, თუ წარმომქმნელი აფიქსები (-ელ, -ოვან...) ერთვის „მეხუთე კლასი“ ტიპის შესიტყვებას: მეხუთეკლასელი, მეოთხეკურსელი, მესამეხარისხოვანი...

5. უდევისოდ დაიწერება ისეთი შესიტყვებისაგან მიღებული დერივაციული სახელები, რომელთა პირველი ნაწილი წილობითი

რიცხვითი სახელის ფუძეა: **მეოთხედფინალური, მერვედფინალური... ნახევარმეტრიანი, ნახევარლიტრიანი, ნახევარკილოიანი, ნახევარსაუკუნოვანი...**

6. თუ დერივაციულ სახელთა პირველი (რიცხვის აღმნიშვნელი) ნაწილი არაბული ციფრებით არის წარმოდგენილი, მომდევნო კომპონენტი მას დეფისით გამოეყოფა: **10-კილომეტრიანი, 5-სართულიანი, 10-ბალიანი, 3-გუმბათოვანი, 4-წახნაგოვანი, 2000-ადგილიანი, 3000-გვერდიანი, 120-ადგილიანი, 5725-სიტყვიანი, 3828-სიტყვიანი, 100-პროცენტისანი** (დასაშვებია ასეთი დაწერილობაც: 100 %-იანი...) და ა. შ.

7. თუ წარმოქმნილ სახელთა პირველი წევრი (რიგობითი რიცხვითი სახელი) რომაული ან არაბული ციფრებით არის წარმოდგენილი, მომდევნო ნაწილი მას დეფისით გამოეყოფა: **V-კლასელი, IV-კურსელი, III-ხარისხოვანი... მე-5-კლასელი, მე-4-კურსელი, მე-3-ხარისხოვანი...**

8. თუ ორი ან ორზე მეტი რიცხვითი სახელისაგან მიღებული დერივაციული ერთეული და კავშირით არის შეერთებული, ხოლო მათი მეორე ნაწილი ერთი და იგივე სიტყვაა, სიმოკლისათვის ეს სიტყვა მხოლოდ ერთხელ გამოიყენება ბოლო კომპონენტთან; ჩამოთვლილ სიტყვათა პირველ ნაწილს (ან ნაწილებს) კი უნდა ახლდეს დეფისი: **ოთხ- და ხუთსართულიანი, ორ- და სამსართულიანი; ხუთ-, ექვს- და შვიდსართულიანი...** ანალოგიური ვითარება გვექნება მაშინაც, როცა დასახელებული ტიპის დერივაციულ სახელთა პირველი ნაწილი არაბული ციფრებითაა წარმოდგენილი: **4- და 5-სართულიანი, 2- და 3-სართულიანი, 5-, 6- და 7-სართულიანი...**

დასაბუთება

თანამედროვე ქართულში მრავლად დასტურდება რიცხვითი სახელის შემცველი შესიტყვებისაგან დერივაციის გზით მიღებული სახელები:

ათი კილომეტრი + -იან → ათკილომეტრიან-ი;

ორი ათასი ადგილი + -იან → ორიათასადგილიან-ი;

მეორე კლასი + -ელ → მეორეკლასელ-ი;

ნახევარი მეტრი + -იან → ნახევარმეტრიანი-ი;

მეორე ხარისხი + -ოვან → მეორეხარისხოვან-ი და მისთ.

ზემოთ წარმოდგენილ ლექსიკურ ერთეულთა მართლწერასთან დაკავშირებით უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

„ათი კილომეტრი“ ტიპის შესიტყვებისაგან წარმომქმნელ აფიქსთა (-იან, -ოვან, -ა...) დართვით მიღებული დერივაციული სახელები უდევისოდ უნდა დაიწეროს: **ათკილომეტრიანი, ხუთსართულიანი, ათბალიანი, სამგუმბათოვანი, ოთხწახნაგოვანი, ასპროცენტისანი, ორცილინდრიანი, ორხიდიანი, სამგანზომილებიანი, ექვსპუნქტიანი, სამწვერა...**

მაგ.: „**ათკილომეტრიანი** სიგრძის დისტანციაზე, ქალებსა და მამაკაცებს შორის 2 გამარჯვებული გამოვლინდება“ ([rustavi2. ge](#)); „**ხუთსართულიანი** ე. წ. ხრუშოვკის ტიპის სახლი რომ დავანგრიოთ, ინვესტორი ითხოვს რამდენიმე შენობის აშენებას“ ([mtavari. tv](#)); „რვა, ცხრა და **ათბალიანი** მიწისძვრა დამანგრეველად ითვლება“ ([imedinews. ge](#)); „რეკონსტრუქციების შედეგად ტაძარი **სამგუმბათოვანი** გახდა“ ([tbiliselebi. ge](#)); „...წიწვები მეტწილად **ოთხწახნაგოვანი** აქვთ, იშვიათად ბრტყელი და წაწვეტებული“ ([www. ambioni. ge](#)); „გიორგი შერმადინი მატჩში სათადარიგო სკამიდან ჩაერთო და **ასპროცენტისანი** სიზუსტით სტყორცნა“ ([lelo. ge](#)); „ამერიკელმა სილვესტერ ჰოვარდ როპერმა (1823-1896) 1867 წელს გამოიგონა **ორცილინდრიანი** ორთქლზე მომუშავე ველოსიპედი“ ([www. greeland. com](#)); „ომალოდან შენაქომდე (8 კმ) შესაძლებელია როგორც ფეხით, ასევე **ორხიდიანი** მანქანით მისვლა“ ([www. nationalparks.ge](#)); „იტყობინებიან მსოფლიოში პირველი **სამგანზომილებიანი** ტელემაუწყებლობის გამოშვების შესახებ“ ([tavisufliba.org](#)); „აშშ-სა და საქართველოს შორის მიღწეული **ექვსპუნქტიანი** შეთანხმების იმპლემენტაცია დაიწყო“ ([https: mod. gov.ge](#)); „**სამწვერა** ნერვის ნევრალგია არის ქრონიკული ტკივილის მდგომარეობა, ის გავლენას ახდენს **სამწვერა** ნერვზე, რომლითაც ხდება შერამნების ტრანსფორმირება სახიდან ტვინამდე“ ([http: intermedia. ge](#))...

შენიშვნა: ეს წესი ვრცელდება არაქართულ ასო-სიმბოლოებთან, თანდებულებსა თუ ზმნისწინებთან მიმართებითაც: **a**-კუთხიანი, **X**-უცნობიანი, **გან**-თანდებულებიანი, **შე**-ზმნისწინიანი და ა.შ.

წარმომქმნელ აფიქსთა დართვით მიღებული დერივაციული სახელი უდღეფისოდ დაიწერება იმ შემთხვევაშიც, თუ შესიტყვების პირველი ნაწილი ორი ან ორზე მეტი კომპონენტისგან შედგენილი რიცხვითი სახელია („სამი ათასი“... „ხუთი ათას შვიდას ოცდახუთი“ ტიპისა): **ორიათასადგილიანი, სამიათასგვერდიანი, ხუთიათასშვიდასოცდახუთსიტყვიანი, სამიათასრვაასოცდარვაასიტყვიანი, ასოცადგილიანი...**

მაგ.: „იგი უნიკალური იყო საქართველოში თავისი **ორიათასადგილიანი** ტრიბუნით“ (ka.wikipedia.org); „თავიდანვე რომ გავრცელდა **სამიათასგვერდიანი** დასკვნა, უკვე არასერიოზულობის შთაბეჭდილების განცდა მქონდა“ (imedinews.ge); „ხუთსართულიან კეთილმოწყობილ შენობაში **ასოცადგილიანი** სასტუმრო მოეწყობა“ (<https://mes.gov.ge>) და სხვა.

უდღეფისოდ უნდა დაიწეროს დერივაციული სახელი მაშინაც, როცა სიტყვამაწარმოებელი აფიქსი ერთვის „მრავალი საუკუნე“ ტიპის შესიტყვებას (ამ შემთხვევაში შესიტყვების პირველი კომპონენტი განუსაზღვრელი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელია): **მრავალსაუკუნოვანი, მრავალათასიანი, მრავალგვერდიანი, მრავალფეროვანი, ბევრუჯრიანი...**

მაგ.: „ქართული ენა ჩვენი **მრავალსაუკუნოვანი** თავგადასავალია, – წერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე...“ (<https://itv.ge>); „ჰონ-კონგში **მრავალათასიანი** საპროტესტო აქციები გრძელდება“ (<https://paqtebi.ge>); „ამ საიტის მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია შეავსოს **მრავალგვერდიანი** კითხვარი და გააგზავნოს შესებული ვარიანტი“ (ge.linkedin.com); ჩვენი **მრავალფეროვანი** არჩევანი აუცილებელად დაიმსახურებს თქვენს კეთილგანწყობას“ (topsport.ge); „სახლში ხომ სულაც არ გვაქვს მუშაობისთვის შესაფერისი ატმოსფერო – მოხერხებული, **ბევრუჯრიანი** სამუშაო მაგიდა და კომფორტული სავარძელი“ (old.funtime.ge)...

დერივაციული სახელი უდღეფისოდ უნდა დაიწეროს იმ შემთხვევაში, თუ წარმომქმნელი აფიქსები (-ელ, -ოვან...) ერთვის „მეხუთე კლასი“ ტიპის შესიტყვებას (მაშასადამე, როცა შესიტყვების პირველი კომპონენტი რიგობითი რიცხვითი სახელია): **მეხუთეკლასელი, მეოთხეკურსელი, მესამეხარისხოვანი...**

მაგ.: „წიგნი ჩემთვის ყველაფერია“ – გაიცანით მხატვრულ ლიტერატურაზე შეყვარებული **მეხუთეკლასელი...**“ (www.etaloni.ge); „**მეოთხეკურსელი** მათემატიკოსი „ამერიკის ხმას“ თავის სამომავლო გეგმებზე უყვება“ (www.amerikiskhma.com); „ის არაკომპეტენტური, **მესამეხარისხოვანი პოლიტიკოსია**“ ([https: metronome.ge](http://metronome.ge))...

უდფისოდ დაიწერება ისეთი შესიტყვებისაგან მიღებული დერივაციული სახელები, რომელთა პირველი ნაწილი ფუძის სახით წარმოდგენილი წილობითი რიცხვითი სახელია: **მეოთხედფინალური, მერვედფინალური... ნახევარმეტრიანი, ნახევარლიტრიანი, ნახევარკილოიანი, ნახევარსაუკუნოვანი...**

მაგ.: „უფას ჩემპიონთა ლიგის **მეოთხედფინალური** ეტაპის ყველა წყვილი ცნობილია“ (1tv.ge); „ბუნებრივია, ცნობილია **მერვედფინალური** წყვილებიც და ასევე ყველა გუნდის ბადე ფინალამდე“ (www.wordsport.ge)... „მარტის ბოლოს უმგულში **ნახევარმეტრიანი** თოვლი მოვიდა“ ([https: www. helloblog. ge](http://www.helloblog.ge)); „სასმელები და ცივი ჩაი მხოლოდ **ნახევარლიტრიანი** ბოთლებით გაიყიდება“ ([https: www. ameikiskhma. com](http://www.ameikiskhma.com)); „ბანკმა დაამზადა **ნახევარკილოიანი** ოქროს მონეტა იანუკოვიჩის გამოსახულებით“ ([https: ucnauri. com](http://ucnauri.com)); „ბაიდენს სურს, რომ თეთრ სახლში დაასრულოს **ნახევარსაუკუნოვანი** პოლიტიკური კარიერა“ ([https: radiotavisufleba. ge](http://radiotavisufleba.ge))...

თუ დერივაციულ სახელთა პირველი (რიცხვის აღმნიშვნელი) ნაწილი არაბული ციფრებით არის წარმოდგენილი, მომდევნო კომპონენტი მას დეფისით გამოეყოფა: **10-კილომეტრიანი, 5-სართულიანი, 10-ბალიანი, 3-გუმბათოვანი, 4-წახნაგოვანი, 2000-ადგილიანი, 3000-გვერდიანი, 120-ადგილიანი, 5725-სიტყვიანი, 3828-სიტყვიანი, 100-პროცენტია** (დასაშვებია ასეთი დაწერილობაც: 100 %-იანი) და ა. შ.

მაგ.: „მამისონის უდელტეხილზე **10-კილომეტრიანი** გზის რეაბილიტაცია წლის ბოლოს დასრულდა“ ([https: imedinews. ge](http://imedinews.ge)); „ბანკის შენობა არის **5-სართულიანი**, სასტუმროს ნაწილი – 8 სართული, ხოლო კაფე – 1 სართული“ (www.comersant.ge); „ქვეყანამ შეფასების **10-ბალიანი** სისტემიდან 4,64 მიიღო, რაც გაუმჯობესებული შედეგია“ (www.imedinews.ge)... „მოლის ზედა სართულზე ფუნქციონირებს მრავალდარბაზიანი კინოთეატრი, მიწისქვეშ, სამ სართულზე, მოწყობილია **2000-ადგილიანი** ავტოსადგომი“ ([www. interpressnews](http://www.interpressnews)).

ge); „3000-გვერდიანი დასკვნის არ შეიძლება გვეროდეს, დასკვნა შეიძლება იყოს ერთი ან ნახევარგვერდიანი“ (www.kvirispalitra.ge); „პრეზიდენტის არჩევისთვის 120-ადგილიანი პარლამენტის 80 წევრი უნდა იყოს ადგილზე“ (www.radiotavisufleba.ge), „როგორც ისინი აცხადებენ, 100-პროცენტიანი ზრდის შემთხვევაში, ყოველი მეხუთე ბავშვი დააღწევს თავს უკიდურეს სიღარიბეს“ (www.tavisufleba.ge) და სხვა.

თუ წარმოქმნილ სახელთა პირველი წევრი (რიგობითი რიცხვითი სახელი) რომაული ან არაბული ციფრებით არის წარმოდგენილი, მომდევნო ნაწილი მას დეფისით გამოეყოფა: **V-კლასელი, IV-კურსელი, III-ხარისხოვანი... მე-5-კლასელი, მე-4-კურსელი, მე-3-ხარისხოვანი...**

„ამბავი **V-კლასელი** ინგილო ბიჭისა, რომელიც პანდემიის გამო საყვარელ სკოლასა და ადამიანებს მოწყდა...“ (ltv.ge); „გამოფენას ხსნიდა **IV-კურსელის** დიდი ნაქარგობა: „ღმერთო სამშობლო მიცოცხლე“ (gelati.edu.ge)... „**მე-5-კლასელი** ინგლისური ენის კინგსის ოლიმპიადის საგაზაფხულო ლიგის გამარჯვებული და ოქროსმედალოსანია“ (www.etm.ge); „კვლევის მიზანია **მე-4-კურსელი** მოსწავლეების წაკითხულის გააზრების უნარის შეფასება“ (liberali.ge)...

თუ ორი ან ორზე მეტი რიცხვითი სახელისაგან მიღებული დერივაციული ერთეული და კავშირით არის შეერთებული, ხოლო მათი მეორე ნაწილი ერთი და იგივე სიტყვაა, სიმოკლისათვის ეს სიტყვა მხოლოდ ერთხელ გამოიყენება ბოლო კომპონენტთან; ჩამოთვლილ სიტყვათა პირველ ნაწილს (ან ნაწილებს) კი უნდა ახლდეს დეფისი: **ოთხ- და ხუთსართულიანი, ორ- და სამსართულიანი; ხუთ-, ექვს- და შვიდსართულიანი...** ანალოგიური ვითარება გვექნება მაშინაც, როცა დასახელებული ტიპის დერივაციულ სახელთა პირველი ნაწილი არაბული ციფრებითაა წარმოდგენილი: **4- და 5-სართულიანი, 2- და 3-სართულიანი, 5-, 6- და 7-სართულიანი...**

მაგ.: „დედაქალაქში 1200 **ოთხ- და ხუთსართულიანი** „ხრუმ-ჩოვკის“ ტიპის სახლია, მათ შორის 450 ავარიულად ითვლება“ (radiotavisufleba.ge); „შთამბეჭდავ სურათს ქმნის ქობაის **ორ- და სამსართულიანი** ძველი სახლები“ (kvirispalitra.ge); „სურათები, **ხუთ-, ექვს- და შვიდსართულიანი** ნაგებობისათვის“ (laterna.ge)... „უფრო

გავრცელებულია 4- და 5-სართულიანი კოტეჯები, იშვიათია 6-სართულიანი“ (dzeglebi.ge); „იხილეთ 2- და 3-სართულიანი ბინის პროექტები“ (binbi.ge); „5-,6- და 7-სართულიანი ბინის მშენებლობა ამ წელს დასრულდება“ (proeqti.ge)...

ლიტერატურა

ბურჭულაძე 2019–2020 – თ. ბურჭულაძე, რაოდენობით და რიგობით სახელთა მართლწერა, ბიულეტენი II, თბილისი.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, 1970, თბილისი.

იმნაიშვილი 2016 – ვ. იმნაიშვილი, ქართული მართლწერის სადავო საკითხები, თბილისი.

ინტერნეტრესურსები.

ქეევი – ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

ქეოლი – ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1986, თბილისი.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, თბილისი.

ჭაბაშვილი 1988 – მ. ჭაბაშვილი, კუთვნილებითი კომპოზიტების მართლწერისათვის, თბილისი.

მაკა ლაბარტყავა

რიცხვითი სახელის შემცველ კომპოზიტთა მართლწერა

რიცხვითი სახელის შემცველ კომპოზიტთა მართლწერასთან დაკავშირებით უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. კომპოზიტი უდევსოდ დაიწერება იმ შემთხვევაში, თუ მისი პირველი ან მეორე ნაწილი განუსაზღვრელი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელია: **ხალხმრავალი, სიტყვამრავალი, მრავალგვარი, მრავალმხრივი...**

2. უდევსოდ დაიწერება იმ სახის კომპოზიტებიც, რომელთა ორივე ნაწილი ერთი და იგივე რიცხვითი სახელით არის წარმოდგენილი, ამასთან, პირველი კომპონენტი ნათესაობითი ბრუნვის მხოლოდობითი ან გაუზრცობელი თანიაწი მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოხატული ერთეულია: **ბევრისბევრი, მრავალთმრავალი...**

3. კომპოზიტი უდევსოდ უნდა დაიწეროს მაშინაც, თუ მისი პირველი კომპონენტი წილობითი რიცხვითი სახელია (**მეოთხედი, მერვედი, ნახევარი...**), რომელიც ფუძის სახით უკავშირდება რთული სიტყვის მეორე ნაწილს: **მეოთხედფინალი, მერვედფინალი... ნახევარდაცვა, ნახევარმცველი, ნახევარსფერო, ნახევარფინალი, ნახევარმოთარე, ნახევარწრე...**

4. დეფისით უნდა დაიწეროს რიცხვით სახელთა გაორკეცებით მიღებული კომპოზიტები: **სამ-სამი, ოთხ-ოთხი, ათ-ათი, ცოტ-ცოტა (ცოტა-ცოტა), ბევრ-ბევრი, ნახევარ-ნახევარი...** ანალოგიური ვითარება გვექნება მაშინაც, როცა დასახელებული ერთეულები ციფრებით არის წარმოდგენილი: **3-3, 4-4, 10-10...**

5. დეფისით უნდა დაიწეროს იმ სახის კომპოზიტებიც, რომელთა შემადგენელი ნაწილები რაოდენობითი თუ რიგობითი რიცხვითი სახელებია: **ორი-სამი, ხუთი-ექვსი, ოცი-ოცდახუთი... მეხუთე-მეექვსე, მეშვიდე-მეათე, მეთვრამეტე-მეცხრამეტე...** დეფისითვე დაიწერება არაბული თუ რომაული ციფრებით წარმოდგენილი კომპოზიტური რიცხვითი სახელები, მაგ.: **2-3, 5-6, 20-25... V-VI საუკუნეები, VII-X საუკუნეები, XVIII- XIX საუკუნეები...**

6. დეფისით უნდა დაიწეროს რიგობითი რიცხვითი სახელებით შედგენილი კომპოზიტები, რომელთა ნაწილები არაბული ციფრებითაა გამოხატული: რიგობითი რიცხვითი სახელის მაწარმოებელი მე- პრეფიქსი დაერთვის მხოლოდ პირველ კომპონენტს (მე-11-12 საუკუნეები...), ხოლო -ე სუფიქსი – ორივეს (28-ე-97-ე ჯგუფები, 55-ე-58-ე მუხლები...).

7. თავსართ-ბოლოსართით გაფორმდება ციფრებით წარმოდგენილი იმ ტიპის რიცხვითი სახელები (კომპოზიტები), რომელთა პირველ კომპონენტს მე- თავსართი დაერთვის, ხოლო მეორეს – ე- ბოლოსართი: მე-20-21-ე საუკუნეები, მე-18-22-ე მუხლები...

8. კომპოზიტები დაიწერება დეფისით, თუ მათი მეორე ნაწილი -იან სუფიქსიანი რიცხვითი სახელია (ხოლო პირველ კომპონენტს ჩამოკვეცილი აქვს სუფიქსი): სამოცდაათ-ოთხმოციანი წლები, ოთხმოც-ოთხმოცდაათიანი წლები... დეფისით უნდა დაიწეროს ციფრებით გამოსახული კომპოზიტებიც (-იან სუფიქსი მხოლოდ მეორე კომპონენტთან გვექნება): 70-80-იან წლებში, 80-90-იან წლებში...

9. თუ კომპოზიტის მეორე ნაწილია წილობითი რიცხვითი სახელი ნახევარი, ის (ნახევარი) დეფისით გამოეყოფა რთული სიტყვის პირველ კომპონენტს: მეტრ-ნახევარი, ლიტრ-ნახევარი, კილო-ნახევარი, წელიწად-ნახევარი, თვე-ნახევარი, საუკუნე-ნახევარი... ანალოგიური ვითარება გვექნება მაშინაც, როცა კომპოზიტის პირველი წევრი ორი სიტყვისგან არის მიღებული: ორთვე-ნახევარი, სამდღე-ნახევარი, ოთხწელიწად-ნახევარი...

დასაბუთება

თანამედროვე ქართულში მრავლად დასტურდება რიცხვითი სახელის შემცველი კომპოზიტები (ორ-ორი, სამი-ოთხი, მეორე-მესამე, ხალხმრავალი, ზევრისზევერი, ნახევარფინალი...).

რიცხვითი სახელის შემცველ კომპოზიტთა მართლწერასთან დაკავშირებით უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

კომპოზიტი უდევისოდ დაიწერება იმ შემთხვევაში, თუ მისი პირველი ან მეორე ნაწილი განუსაზღვრელი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელია: **ხალხმრავალი, სიტყვამრავალი, მრავალგვარი, მრავალმხრივი...**

მაგ.: „პირბადის ტარება ისევ სავალდებულო იქნება **ხალხმრავალი** შეკრების ადგილებში“ ([www. interpressnews. ge](http://www.interpressnews.ge)); „...მოსაბეზრებლად **სიტყვამრავალი** სიტყვაგრძელი, ბევრი ლაპარაკის მოყვარულია“ ([dictionary. ge](http://dictionary.ge)); „მტირალას ეროვნულ პარკში ბილიკები მონიშნულია და **მრავალგვარი** ტურის მოწყობაა შესაძლებელი“ ([georgia. travel. ka](http://georgia.travel.ka)); „თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი კინორეჟისორი სერგო ფარაჯანოვი **მრავალმხრივი** შემოქმედი გახლდათ“ ([www. kvirispalitra. ge](http://www.kvirispalitra.ge)).

უდევისოდ დაიწერება იმ სახის კომპოზიტებიც, რომელთა ორივე ნაწილი ერთი და იგივე რიცხვითი სახელით არის წარმოდგენილი, ამასთან, პირველი კომპონენტი ნათესაობითი ბრუნვის მხოლოდობითი ან გაუზრცობელი თანიათი მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოხატული ერთეულია: **ბევრისბევრი, მრავალთმრავალი...**

მაგ.: „თქვენ **ბევრისბევრი, ბევრისბევრი** სიმწარე ნახეთ“ (მ.ლება-ნიძე); „ჩვენში **მრავალთმრავალმა** ისწავლა იმ დროში წერა-კითხვაო“ ([www. radiotavisupleba. ge](http://www.radiotavisupleba.ge))...

კომპოზიტი უდევისოდ უნდა დაიწეროს მაშინაც, თუ მისი პირველი კომპონენტი წილობითი რიცხვითი სახელია (**მეოთხედი, მერვედი, ნახევარი...**), რომელიც ფუძის სახით უკავშირდება რთული სიტყვის მეორე ნაწილს: **მეოთხედფინალი, მერვედფინალი... ნახევარდაცვა, ნახევარმცველი, ნახევარსფერო, ნახევარფინალი, ნახევარმთვარე, ნახევარწრე...**

მაგ.: „ჩემპიონთა ლიგის **მეოთხედფინალი** გაიმართება სამშაბათს და ოთხშაბათს ოთხ სტადიონზე ესპანეთში, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში“ ([primetime. ge](http://primetime.ge)); „ხორვატიისა და ბრაზილიის ნაკრებებმა **მერვედფინალი** წარმატებით დაძლიეს და მომდევნო ეტაპზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ“ ([primetime. ge](http://primetime.ge))... „წლების მანძილზე „ბარსელონას“ უძლიერეს რგოლს **ნახევარდაცვა** წარმოადგენდა“ ([http: mybarca. ge](http://mybarca.ge)); „ბავარიის“ **ნახევარმცველი** ფრანკ რიბერი ყველაზე აუტანელი სპორტსმენების სიის სათავეშია“ ([https: press. ge](https://press.ge)); „დედამიწის ერთი **ნახევარსფერო**, მეორესთან შედარებით, უფრო

სწრაფად ცივდება“ (<https://popx.ge>); „შაბათს, 18 საათზე **ნახევარგი-ნალში** თამაშობენ საქართველო და ბელგია“ (<http://msy.gov.ge>); „**ნახევარმთვარე** – ერთ-ერთი სიმბოლო ჰერალდიკაში და მთავარი სიმბოლო ისლამში“ (<https://ka.wikipedia.org>); „მთებისა და კოშკების ზემოთ გამოსახულია ზენიტში მყოფი მზის **ნახევარწრე**“ (<http://www.heraldika.ge>)...

დეფისით უნდა დაიწეროს რიცხვით სახელთა გაორკეცებით მიღებული კომპოზიციები: **სამ-სამი, ოთხ-ოთხი, ათ-ათი, ცოტ-ცოტა (ცოტა-ცოტა), ბევრ-ბევრი, ნახევარ-ნახევარი...** ანალოგიური ვითარება გვექნება მაშინაც, როცა დასახელებული ერთეულები ციფრებით არის წარმოდგენილი: **3-3, 4-4, 10-10...**

მაგ.: „**სამ-სამი და ოთხ-ოთხი** კაცი, თითქოს ცალ-ცალკე კრებას შეადგენდა და ჩუმად სჯიდნენ“ (ალ. ყაზბეგი); „...სავალდებულოა **ათ-ათი** კრედიტის დაგროვება“ (<https://www.tsu.ge>)... „მიირთვით **ცოტ-ცოტა** – აკონტროლეთ ულუფების რაოდენობა – არ მიირთვათ ერთელ და ძალიან ბევრი“ (<https://vivomediocal.ge>); „მეც დავწერდი ალბათ დიდ-დიდ ამბებს **ბევრ-ბევრი** პერსონაჟით“ (<https://getlandia.wordpress.com>); „ერთპიროვნულ ლიდერს **ნახევარ-ნახევარი** ქულით 18 მოჰადრაკე ჩამორჩება“ (lelo.ge)...

დეფისით უნდა დაიწეროს იმ სახის კომპოზიციებიც, რომელთა შემადგენელი ნაწილები რაოდენობითი თუ რიგობითი რიცხვითი სახელებია: **ორი-სამი, ხუთი-ექვსი, ოცი-ოცდახუთი... მეხუთე-მეექვსე, მეშვიდე-მეათე, მეთვრამეტე-მეცხრამეტე...** დეფისითვე დაიწერება არაბული თუ რომაული ციფრებით წარმოდგენილი კომპოზიტური რიცხვითი სახელები, მაგ.: **2-3, 5-6, 20-25... V-VI** საუკუნეები, **VII-X** საუკუნეები, **XVIII- XIX** საუკუნეები...

მაგ.: „ვაქცინაციისთვის თითო ქალაქში მაქსიმუმ **ორი-სამი** კლინიკა საკმარისი იქნება“ (www.newposts.ge); „გამოცდას გადის **ხუთი-ექვსი** მედიკამენტი და ზოგიერთი მათგანის წინასწარი მონაცემები დამაიმედებელია“ (<https://exclusivenews.ge>); „**ოცი-ოცდახუთი** ნაბიჯის იქით, მწვანედ გალიცლიცებულ მორევში რქიანი შველი იდგა“ (<http://livelihood.gov.ge>); „**მეხუთე-მეექვსე** კურსის სტუდენტებს თავისუფლად შეუძლიათ იმუშაონ ქოლცენტრებში...“ (<https://imedinews.ge>); „ყველაზე სწრაფად წონას **მეშვიდე-მეათე** დღეს და მესამე-მეექვსე კვირას იმატებენ“ (www.aversi.ge); „ლიტერატურა, რომელიც „თანამედროვეს“ სახელითაა ცნობილი, იზადება **მეთვრამეტე-**

მეცხრამეტე საუკუნეებში“ (www.radiotavisufleba.ge) ... „ჩვენ ის ქვეყანა აღარ ვართ, რაც ვიყავით 2-3 წლის წინ“ (www.tavisufleba.ge); „იქ თბილისის თავდაცვის აკადემიის კურსანტებს ყოველდღიურად 5-6 საათს უწევთ რეჟისორთან მუშაობა“ (www.tavisufleba.ge); „სულ მე დამჭირდა ამაზე 20-25 წუთი“ (www.tavisufleba.ge) ... „წარწერების შესწავლის საფუძველზე ტაძარი V-VI საუკუნეებით თარიღდება“ (intermedia.ge); „შემდეგ მოდის VII-X საუკუნეები, როდესაც საქართველოს ისტორიაში ორმა დიდმა საგარეო პოლიტიკურმა მოვლენამ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი“ (www.academia.edu); „XVIII-XIX საუკუნეები თბილისის ისტორიისთვის მნიშვნელოვანი ხანაა, რაც არაერთ საგულისხმო მოვლენასა და კითხვას წარმოაჩენს“ (www.academia.ge)...

დეფისით უნდა დაიწეროს რიგობითი რიცხვითი სახელებით შედგენილი კომპოზიტები, რომელთა ნაწილები არაბული ციფრებითაა გამოხატული: რიგობითი რიცხვითი სახელის მაწარმოებელი მე- პრეფიქსი დაერთვის მხოლოდ პირველ კომპონენტს (მე-11-12 საუკუნეები...), ხოლო -ე სუფიქსი – ორივეს (28-ე-97-ე ჯგუფები, 55-ე-58-ე მუხლები...).

მაგ.: „ჩვენამდე მოღწეული მატრიანებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთში გაზომვის უძველესი ზომები მე-11-12 საუკუნეებში გამოჩნდა“ (ka.vogueindustry.com); „...ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე-97-ე ჯგუფებით გათვალისწინებულია 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი“ (<https://old.rs.ge>); „საქართველოს კანონის 66-ე მუხლის საფუძველზე და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 55-ე-58-ე მუხლების შესაბამისად, დამტკიცდეს...“ (extwpreegs1.foo.org)...

თავსართ-ბოლოსართით გაფორმდება ციფრებით წარმოდგენილი იმ ტიპის რიცხვითი სახელები (კომპოზიტები), რომელთა პირველ კომპონენტს მე- თავსართი დაერთვის, ხოლო მეორეს – ე- ბოლოსართი: მე-20-21-ე საუკუნეები, მე-18-22-ე მუხლები...

მაგ.: „ნაშრომი არის ნაწილი იმ ვრცელი მონოგრაფიისა, რომელიც მიზნად ისახავს შეისწავლოს თუ როგორ აისახა პრესაში მე-20-21-ე საუკუნეების მიჯნაზე ქართულ-ოსური ურთიერთობა“ (www.academia.edu); „ისინი იყენებენ წესებს, რომელთა შინაარსი და

ეფექტი ამ წესის მე-4 და მე-6 მუხლებითა და **მე-18-22-ე** მუხლებით განსაზღვრული წესების ანალოგიურია“ (<http://gov.ge>)...

კომპოზიტები დაიწერება დეფისით, თუ მათი მეორე ნაწილი - **იან** სუფიქსიანი რიცხვითი სახელია (ხოლო პირველ კომპონენტს ჩამოკვეცილი აქვს სუფიქსი): **სამოცდაათ-ოთხმოციანი** წლები, **ოთხმოც-ოთხმოცდაათიანი** წლები... დეფისით უნდა დაიწეროს ციფრებით გამოსახული კომპოზიტებიც (-**იან** სუფიქსი მხოლოდ მეორე კომპონენტთან გვექნება): **70-80-იან** წლებში, **80-90-იან** წლებში...

მაგ.: „იმაზე შორს ვერ წახვალ, რაც საფრანგეთში მოხდა **სამოცდაათ-ოთხმოციან** წლებში“ (tavisufleba.org); „გასული საუკუნის **ოთხმოც-ოთხმოცდაათიან** წლებში განაწილებული ნაკვეთების მფლობელები ასევე ვერ ახერხებენ ისარგებლონ მიწის ნაკვეთით“ (www.radiotavisufleba.ge)... „დედაქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტი ყველაზე მოწესრიგებული **70-80-იან** წლებში იყო“ (tabula.ge); „გამოფენა: „საქართველო **80-90-იან** წლებში“ ყველა თაობის მნახველისათვის წარსულში მოგზაურობა იყო“ (kvira.ge)...

თუ კომპოზიტის მეორე ნაწილია წილობითი რიცხვითი სახელი **ნახევარი**, ის (ნახევარი) დეფისით გამოეყოფა რთული სიტყვის პირველ კომპონენტს: **მეტრ-ნახევარი**, **ლიტრ-ნახევარი**, **კილო-ნახევარი**, **წელიწად-ნახევარი**, **თვე-ნახევარი**, **საუკუნე-ნახევარი**... ანალოგიური ვითარება გვექნება მაშინაც, როცა კომპოზიტის პირველი წევრი ორი სიტყვისგან არის მიღებული: **ორთვე-ნახევარი**, **სამდღე-ნახევარი**, **ოთხწელიწად-ნახევარი**...

მაგ.: „ლიტურგიისას ტაძარში **მეტრ-ნახევარი** დისტანციის დაცვა ვერ მოხერხდა“ (<https://georgia.shafagna.com>); „სქელძირიან ქვაბში ჩაასხით **ლიტრ-ნახევარი** წყალი და მიიყვანეთ ადულეზამდე“ (tbiliselebi.ge); „კლება დავიწყე დიეტით, დავიკელი 9 **კილო-ნახევარი** და მერე გამეყინა წონა“ (primetime.ge); „ვფიქრობთ, რომ პროექტის დასრულებას დაახლოებით **წელიწად-ნახევარი** დასჭირდება“ (<https://www.nbg.gov.ge>); „...თუ ერთი თვე ან **თვე-ნახევარი** მოგვიწევდა სახლში ყოფნა, ეს დიდი ბედნიერება იყო“ (tbiliselebi.ge); „ამ ზარალის ასანაზღაურებლად ევროპას დაახლოებით **საუკუნე-ნახევარი** დასჭირდა“ (<https://intermedia.ge>)... „გასულ ზაფხულს **ორთვე-ნახევარი** გზა არ გვქონია, ფშავის არაგვმა წაიღო“ (www.shin.ge); „...**სამდღე-**

ნახევარია მივხვდით, რომ ჩვენ ადამიანები კი არა, სიყვარული გვიყვარს“ (<http://www.heraldika.ge>); „ცნობილია, რომ კანტი რუსეთის მოქალაქე იყო **ოთხწელიწად-ნახევარი**“ (www.radiotavisufleba.ge)...

ლიტერატურა

ბურჭულაძე 2019–2020 – თ. ბურჭულაძე, რაოდენობით და რიგობით სახელთა მართლწერა, ბიულეტენი II, თბილისი.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, 1970, თბილისი.

იმნაიშვილი 2016 – ვ. იმნაიშვილი, ქართული მართლწერის სადავო საკითხები, თბილისი.

ინტერნეტრესურსები.

ქექვი – ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

ქეოლი – ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1986, თბილისი.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, თბილისი.

ჭაბაშვილი 1988 – მ. ჭაბაშვილი, კუთვნილებითი კომპოზიტების მართლწერისათვის, თბილისი.

მაკა ლაბარტყავა

რიცხვითი სახელის შემცველი კომპოზიტებისაგან დერივაციის გზით მიღებულ სახელთა მართლწერა

რიცხვითი სახელის შემცველი კომპოზიტებისაგან დერივაციის გზით მიღებულ სახელთა მართლწერასთან დაკავშირებით უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. თუ სიტყვამაწარმოებელი აფიქსი ერთვის დეფისიან კომპოზიტს, დერივაციული სახელი დაიწერება უდეფისოდ: **მეტრნახევრიანი, ლიტრნახევრიანი, კილონახევრიანი, წელიწადნახევრიანი... ორთვენახევრიანი, სამდღენახევრიანი...**

2. უდეფისოდ დაიწერება რიცხვით სახელთა ფუძეგაორკეცებით მიღებული კომპოზიტები, თუ მათ წარმოქმნილი აფიქსები დაერთვის (-ობა, -იან...): **ასასობით, სამსამობით, ასასიანი...**

3. უდეფისოდ უნდა დაიწეროს განუსაზღვრელ ან წილობით რიცხვით სახელთა გაორკეცებით მიღებული **ობა-სუფიქსიანი** დერივაციული სახელები: **ცოტცოტაობით, ნახევარნახევრობით...**

დასაბუთება

თანამედროვე ქართულში მრავლად დასტურდება რიცხვითი სახელის შემცველი კომპოზიტებისაგან დერივაციის გზით მიღებული წარმოქმნილი სახელები:

მეტრ-ნახევარი + -იან → მეტრნახევრიანი;

ლიტრ-ნახევარი + -იან → ლიტრნახევრიანი;

კილო-ნახევარი + -იან → კილონახევრიანი;

ორთვე-ნახევარი + -იან → ორთვენახევრიანი და მისთ.

დასახელებულ წარმოქმნილ სახელთა მართლწერასთან დაკავშირებით უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

თუ სიტყვამაწარმოებელი აფიქსი ერთვის დეფისიან კომპოზიტს, დერივაციული სახელი დაიწერება უდეფისოდ: **მეტრნახვერიანი, ლიტრნახვერიანი, კილონახვერიანი, წელიწადნახვერიანი... ორთვენახვერიანი, სამდღენახვერიანი...**

მაგ.: „მათი **მეტრნახვერიანი** სისქის კედლები ნებისმიერ ზღვა-სა და მტერს უძლებდა“ (georgia. travel); „დღეს განსხვავებულოც აღარ არის მოდაში და **ლიტრნახვერიანი** ყანწებითაც აღარ სვამენ“ (tbilisebi. ge); „ქუჩიდან მაგდებთ **კოლონახვერიანი** ძაღლის გამო-მეთქი?“ (akhalitaoba. ge); „ევროკავშირის კანდიდატი სტატუსი, არა-ღიარების პოლიტიკის წარმატებასთან ერთად, საგარეო პოლიტიკის **წელიწადნახვერიანი** ძალისხმევის დაგვირგვინებაა“ (primetime.ge)... „პირველ დღეს, **ორთვენახვერიანი** შესვენების შემდეგ, „საქართვე-ლოს რკინიგზამ“ მატარებლები ხუთი მიმართულებით გაუშვა“ (sputnik. georgia. com); „რაზე მოწმობს ორი წინასწარმეტყველის **სამდღენახვერიანი** სიკვდილი?“ (www. apokalypse. ge)...

უდეფისოდ დაიწერება რიცხვით სახელთა ფუძეგაორკეცებით მიღებული კომპოზიტები, თუ მათ წარმომქმნელი აფიქსები დაერ-თვის (-ობა, -იან...): **ასასობით, სამსამობით, ასასიანი...**

ლექსიკური ერთეული **ასასობით** დეფისითაა წარმოდგენილი ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფი-ულ ლექსიკონში“: **ას-ასობით** [ქეოლი 1998: 60]. ამავე ლექსიკონში ერ-თად დაწერილობით დასტურდება მსგავსივე ტიპის ლექსიკური ერ-თეულები: **წვეთწვეთობით** [ქეოლი 1998: 605]. **ღამღამობით** [ქეოლი 1998: 505]: „ყოველი დღე სიცოცხლეს წვეთწვეთობით მჩუქნიდა“ (https:metronome.ge), „ანონიმი კორექტორი **ღამღამობით** სარეკლამო აბრეზზე შეცდომებს ასწორებს“ (imedinevs.ge)...

ცხადია, **ასასობით** ტიპის ფორმებიც საერთო წესს უნდა დაექ-ვემდებაროს.

მაგ.: „ეს არის საზოგადო კრება, რომელზედაც ქართველობა **ასასობით** მაინც უნდა ესწრებოდეს“ (https:csogeorgia.org); „გოგონას რჩევა გაითვალისწინა, აბები **სამსამობით** დალია“ (www.aversi.ge); „ქათამაძეს არ ჩოუყარო **ასასიანები**“ (დ. კლდიაშვილი)...

უდეფისოდ უნდა დაიწეროს განუსაზღვრელ ან წილობით რი-ცხვით სახელთა გაორკეცებით მიღებული **ობა-ს** ფუფიქსიანი დერივა-ციული სახელები: **ცოტცოტაობით, ნახევარნახვერობით**, მაგ.: „მერე

კი ნელ-ნელა დაუმშვიდდა გული, ცოცვოტაობით მოიკრიბეს გრძნობა-გონება“ (ნ. ლომოური)...

ლიტერატურა

ბურჭულაძე 2019–2020 – თ. ბურჭულაძე, რაოდენობით და რიგობით სახელთა მართლწერა, ბიულეტენი II, თბილისი.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, 1970, თბილისი.

იმნაიშვილი 2016 – ვ. იმნაიშვილი, ქართული მართლწერის სადავო საკითხები, თბილისი.

ინტერნეტრესურსები.

ქეეკი – ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

ქეოლი – ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1986, თბილისი.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, თბილისი.

ჭაბაშვილი 1988 – მ. ჭაბაშვილი, კუთვნილებითი კომპოზიტების მართლწერისათვის, თბილისი.

ვახტაგ მადრაძე, ნინო ჯორბენაძე

ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტთა მართლწერა

უკვე არსებული ნორმის თანახმად, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ყველა ერთცნებიანი კომპოზიტი უნდა დაიწეროს ერთად, ხოლო ორ- და მეტცნებიანი – დეფისით.

ამ პრინციპის მიხედვით:

1. ერთ ფორმად (დეფისის გარეშე) დაიწერება ერთცნებიანი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები – ფუძის მარტივი გაორკეცებითა თუ ფონეტიკური ცვლილებით მიღებული: თავთავი, ჭიკჭიკი, წამწამი, თვალთვალი..., ჭიკჭიკებს, ლულლულებს, კაკანებს..., რიჟრაჟი, აბდაუბდა, ჩამჩუმმი, ბაგაბუგი..., არეშარე, კუჭმაჭი და სხვ...

2. დეფისის გარეშე დაიწერება ერთცნებიანი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტური სახელები მაშინაც, როცა მათ ერთვის -ა სუფიქსი: ბაჯბაჯა, კაშკაშა, ლაქლაქა და მისთ.

3. დეფისით დაიწერება ერთზე მეტი ცნების შემცველი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები: უბან-უბან, ტყე-ტყე, ნაპირ-ნაპირ, ვაკე-ვაკე..., სამ-სამად, დიდ-დიდად..., დიდ-დიდი, პატარ-პატარა, ჭრელ-ჭრელი, წითელ-წითელი..., ერთ-ერთი, სამ-სამი, ას-ასი, ორორი..., ჩვენ-ჩვენი, თქვენ-თქვენი, თითო-თითო..., უკან-უკან, წინ-წინ, მაღლა-მაღლა...

დასაბუთება

ფუძეგაორკეცებულ სიტყვათა უმრავლესობას ქართულში საშუალო გვარის **-ებ** თემისნიშნიანი ფორმები და მათი შესაბამისი საწყისები შეადგენენ. ახალ ქართულში მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება – როგორც ახალი ძირების გაორკეცებით, ისე უკვე არსებული ფუძეგაორკეცებული ფორმების ფონეტიკური ცვლილებით.

ფუძეგაორკეცებულ ზმნათა (და შესაბამის საწყისთა) დიდი ნაწილი **ხმაბადვითი** სიტყვებია, გარკვეული ხმიანობის გამომხატველი.

ასეთებია: *ხარხარებს, რახრახებს; წიკწიკებს, ტიკტიკებს, ხითხითებს, ჩიფჩიფებს, კისკისებს, ვიშვიშებს; ბუტბუტებს, ლულლულებს, ბუყ-ბუყებს, ჭუკჭუკებს* და სხვ.

ფრინველთა და ცხოველთა ხმიანობის გამომხატველი ზმნებიც (და მათი შესაბამისი საწყისებიც) უმეტესად ფუძეგაორკეცებული ფორმებია: *ჭახჭახებს, წკაწკავენს; ჭიკჭიკებს* და სხვ.

როგორც ცნობილია, ფუძის გაორკეცების დროს შეიძლება მოხდეს სხვადასხვა სახის ფონეტიკური პროცესი: თანხმოვნის დისიმილაცია, თანხმოვნის ჩავარდნა, ხმოვნის შენაცვლება, საწყისი მარცვლის შენაცვლება და სხვ.

მარტივი ფუძეგაორკეცებით მიღებული ზმნური ფორმების რაოდენობა 100-ს აჭარბებს: *ძაგძაგებს, რახრახებს, ცახცახებს, კაშკაშებს; გიზგიზებს, ჭიკჭიკებს, ძიგძიგებს, კისკისებს; ბუტბუტებს, ლულლულებს, ბუყბუყებს* და სხვ.

ხშირია თანხმოვანთა მონაცვლეობაც:

ლ/ნ

კანკალებს, ტანტალებს, წანწალებს; კუნკულებს, სუნსულებს

რ/ლ

პარპალებს, ტარტალებს; ქირქილებს; ჩურჩულებს

რ/ც

ბარბაცებს

არის ერთი წყება კომპოზიტებისა, რომელთა გაორკეცებისას სიტყვის ერთ-ერთ ნაწილში (ჩვეულებრივ, მეორეში) იცვლება ხმოვანი. ა. შანიძეს ამის მაგალითად მოჰყავს *რიჟრაჟი*.

ცალკე განსახილველია *წიწინებს* ტიპის ზმნური ფორმები. ფ. ერთელიშვილის აზრით, აქ თანხმოვნის დაკარგვასთან გვაქვს საქმე: კარ-კან > *კაკ-ან*.

ასეთია საშუალი გვარის შემდეგი ფორმები (და მათი შესაბამისი საწყისები): *კაკანებს, ქაქანებს, ყაყანებს; წიწინებს, ხიხინებს, ტიტინებს, ჟიჟინებს, სისინებს, ღიღინებს, ყიყინებს, ბიბინებს; ზუზუნებს, ბუბუნებს, ღულუნებს, წუწუნებს* და სხვ.

მსგავსი სტრუქტურის ზოგიერთ ფორმაში დამატებით თანხმოვნითი ელემენტი გვაქვს ერთ-ერთ (უმეტესად მეორე) ნაწილში (*ჯიჯღინებს*). ასეთ ფუძეებთან ფ. ერთელიშვილი ზოგჯერ ჰარმონიული კომპლექსების წარმოქმნას ვარაუდობს (*ტატყანებს, ჭიჭყინებს*), ზოგჯერ კი – კომბინატორულ ცვლილებებს (*ჯიღ-ჯიღ-ინ > ჯიღ-ჯღ-*

ინ > ჯი-ჯღ-ინ). ჩვენ პირველი მოსაზრება მიგვაჩნია უფრო მართებულიად. ასეთი ფორმებია: **ჯაჯღანებს, ტატყანებს; ჩიჩხინებს, ჯი-ჯღინებს, ტიტყინებს, ჭიჭყინებს; დუდღუნებს, ჯუჯღუნებს, ჭუჭყუნებს, შუშხუნებს.**

აღსანიშნავია, რომ ჩართული თანხმოვანი ფუძისეულთან ერთად უმეტესად ჰარმონიულ კომპლექსს ქმნის: წკ – წუწკუნებს; ტყ – ტატყანებს; ჭყ – ჭიჭყინებს; დღ – დუდღუნებს, ჯღ – ჯუჯღუნებს და სხვ.

გარდა ამისა, ფუძეგაორკეცებულ ფორმათა შორის არის:

1. **სახელთა ფუძეგაორკეცებით მიღებული ზმნიზედები:** უბან-უბან, ტყე-ტყე, ნაპირ-ნაპირ, ვაკე-ვაკე..., სამ-სამად, დიდ-დიდად...

2. **ზედსართავ სახელთა ფუძეგაორკეცების შედეგად მიღებული კომპოზიტიური ზედსართავი სახელები:** დიდ-დიდი, პატარ-პატარა, ჭრელ-ჭრელი, წითელ-წითელი...

3. **რიცხვით სახელთა ფუძეგაორკეცებით მიღებული კომპოზიტიური რიცხვითი სახელები:** სამ-სამი, ას-ასი, ორ-ორი...

4. **ნაცვალსახელთა ფუძეგაორკეცების გზით მიღებული კომპოზიტიური ნაცვალსახელები:** ჩვენ-ჩვენი, თქვენ-თქვენი, თითო-თითო...

5. **ზმნიზედების ფუძეგაორკეცების გზით მიღებული კომპოზიტიური ზმნიზედები:** უკან-უკან, წინ-წინ, მაღლა-მაღლა...

თანამედროვე ქართულში ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტთა გამოყენებისას არაერთგვაროვანი ვითარება გვაქვს. ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვა დაწერილობით გვხვდება როგორც მხატვრულ, ისე სამეცნიერო ენასა და პუბლიცისტიკაში. დასტურდება **დეფისიანი, უდეფისო და ცალ-ცალკე დაწერილობის** შემთხვევები. ამ პარალელური ვარიანტებიდან, ბუნებრივია, მხოლოდ ერთი უნდა იქნეს არჩეული მართებულ ვარიანტად.

დღემდე არსებული ნორმის თანახმად, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ყველა ერთცნებიანი კომპოზიტი უნდა დაიწეროს ერთად, ხოლო ორ- და მეტცნებიანი – დეფისით.

კომპოზიტის ცნებიანობა ადვილია განისაზღვროს **და** ან სხვა მაერთებელი კავშირის საშუალებით:

1. **ერთცნებიანი კომპოზიტების** შემთხვევაში რთული ფუძის შემადგენელ კომპონენტებს შორის **და** კავშირი არ ჩაისმის. მაშასადამე, რთული ფუძე არ შეიძლება შევცვალოთ **და**-კავშირიანი (ზოგადად – მართებელკავშირიანი) სიტყვათშეერთებით;

2. **ხოლო ორ- და მეტცნებიანი კომპოზიტების** შემთხვევაში შემადგენელი ფუძეების **და** კავშირით ან სხვა მართებელი კავშირით გაერთიანება შესაძლებელია. მაშასადამე, რთული ფუძე **და**-კავშირიანი სიტყვათშეერთებით შეიძლება შეიცვალოს.

ამ პრინციპის მიხედვით:

1. **ერთ ფორმად (დეფისის გარეშე)** დაიწერება ერთცნებიანი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები – ფუძის მარტივი გაორკეცებითა თუ ფონეტიკური ცვლილებით მიღებული სახელები: *თავთავი, ჭიკ-ჭიკი, წამწამი, თვალთვალი..., ჭიკჭიკებს, ლულულუდებს, კაკანებს..., რიურაჟი, აბდაუბდა, ჩამიჩუმი, ბაგაბუგი..., არემარე, კუჭმაჭი..., ბაჯ-ბაჯა, კაშკაშა, ლაქლაქა* და სხვა...

2. **დეფისის გარეშე** დაიწერება ერთცნებიანი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტური სახელები მაშინაც, როცა მათ ერთვის -ა სუფიქსი: *ბაჯბაჯა, კაშკაშა, ლაქლაქა* და მისთ.

3. **დეფისით** დაიწერება შემდეგი ტიპის ერთზე მეტი ცნების შემცველი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები: *უბან-უბან, ტყე-ტყე, ნაპირ-ნაპირ, ვაკე-ვაკე..., სამ-სამად, დიდ-დიდად..., დიდ-დიდი, პატარ-პატარა, ჭრელ-ჭრელი, წითელ-წითელი..., ერთ-ერთი, სამ-სამი, ას-ასი, ორ-ორი..., ჩვენ-ჩვენი, თქვენ-თქვენი, თითო-თითო..., უკან-უკან, წინ-წინ, მაღლა-მაღლა...*

საგანგებოდ უნდა გამოვყოთ კომპოზიტი **ერთ-ერთი**. **ერთ-ერთი** არ არის – **ერთი და ერთი** (შდრ.: **ორ-ორი** = **ორი და ორი**; **სამ-სამი** = **სამი და სამი...**). **ერთ-ერთი** რიცხვითი სახელიც არ არის, იგი ნაცვალსახელია. სხვა კომპოზიტური რიცხვითი სახელებისგან განსხვავებით, ამ სიტყვის კომპონენტებს შორის **და** კავშირი არ იგულისხმება, რაც თითქოსდა მისი უდეფისოდ დაწერილობის საფუძველს იძლევა.

მაგრამ აღნიშნულ კომპოზიტში შეიძლება იგულისხმებოდეს სხვა მართებელი კავშირი, კერძოდ, **ან** კავშირი. შესაბამისად, კომპოზიტის მნიშვნელობა გულისხმობს შემდეგ ფორმულირებას: *ორიდან ერთი; ბევრთაგან ერთი რომელიმე; ერთი ცალი აქედან ან ერთი ცალი – იქიდან* (ქეგლი). აქ თავისუფლად შეგვიძლია ჩავსვათ **ან** კავშირი.

ანუ: ერთ-ერთი = ორიდან (ბევრთაგან) ერთი რომელიმე, ერთი ეს ან ერთი ის (ქ. დათუკიშვილი). შესაბამისად, სიტყვა **ერთ-ერთი** უნდა დაიწეროს დეფისით.

ლიტერატურა

ახვლედიანი 1966 – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბილისი.

დათუკიშვილი 2022 – ქ. დათუკიშვილი, დეფისიან კომპოზიტებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი ქართულში, ქსკს, 22-ე, თბილისი.

ერთელიშვილი 1970 – ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბილისი, 1970.

თოფურია 1958 – ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან, VI, კომპოზიტი, ქესს, თბილისი.

თოფურია, გიგინეიშვილი 1968-1998 – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

იმნაიშვილი 2016 – ვ. იმნაიშვილი, ქართული მართლწერის სადავო საკითხები, თბილისი.

სანიკიძე 1976 – ლ. სანიკიძე, გაორკეცება ქართულში, იკეწ, III, თბილისი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, თბილისი, 1950-1964.

ქართული ენის ინვერსიული ლექსიკონი, თბილისი, 1967.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი.

თეა ტეტელოშვილი

ბრუნვისფორმიან სიტყვათა შემცველი კომპოზიტების მართლწერა

ბრუნვისფორმიან სიტყვათა შემცველი კომპოზიტების
მართლწერისთვის უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

ერთ სიტყვად (უდეფისოდ) დაიწერება კომპოზიტი:

1. თუ რთული სიტყვის მხოლოდით რიცხვში მდგარ პირველ
ნაწილს ბრუნვის ნიშანი ჩამოცილებული აქვს სრულად ან
ნაწილობრივ, ხოლო ებიანი მრავლობითის ფორმით
წარმოდგენილს – სრულად:

ა. შენარჩუნებულია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის მხოლოდ
ხმოვნითი ელემენტი: **ბატონიშვილი, მამულიშვილი, რკინიგზა... ზა-
ქიჭამია, კაციჭამია, ნემსიყლაპია, ფოთლიჭამია...**

ბ. პირველი კომპონენტი მხოლოდითშია და სრულად არის
ჩამოკვეცილი ბრუნვის ნიშანი: **კვერცხმდებელი, ბრალმდებელი,
თავსაფარი... თავზევით, თვალწინ, თოვლქვეშ, ლიმიტგარეშე, პირი-
ქით, საზღვარგარეთ, ქალაქგარეთ, შტატგარეშე, ცხვირწინ, წელზე-
ვით, წყალგაღმა, ხევგაღმა...**

გ. პირველი ნაწილი ებიან მრავლობითშია და ჩამოცილებუ-
ლი აქვს ბრუნვის ნიშანი: **სხივებქვეშ, ფრთებქვეშ... ყურებჩამოყრით,
წარბებშეჭმუხნით, ხელებაპყრობით, ფეხებარევით...**

ბრუნვის ნიშნის არსებობისას უმეტესად გვაქვს შესიტყვება და
ორ სიტყვად დაიწერება:

**ექვგარეშე, მაგრამ ეჭვის გარეშე
კლასგარეშე, მაგრამ კლასის გარეშე
წყალგაღმა, მაგრამ წყლის გაღმა
უღელქვეშ, მაგრამ უღლის ქვეშ
თავზევით, მაგრამ თავის ზევით
თვალწინ, მაგრამ თვალის წინ
ცხვირწინ, მაგრამ ცხვირის წინ
ბოძებშუა, მაგრამ ბოძებს შუა
თითებშუა, მაგრამ თითებს შუა და სხვ.**

2. როცა რთული სიტყვის პირველი კომპონენტი გაუვრცობელი თანიაწი მრავლობითის ფორმით არის წარმოდგენილი (შეიძლება ორივე ნაწილი ერთი და იგივე სიტყვა იყოს):

ბგერათმახვილი, ბინათმშენებლობა, ლექსთწყობა, კაცთმოყვარე, ენათმეცნიერი (შდრ.: ასოთჩამომსხმელი – ასოთა ჩამომსხმელი, ბგერათმახვილი – ბგერათა მახვილი, ბინათმშენებლობა – ბინათა მშენებლობა)... **მამაცთმამაცი, მრავალთმრავალი, სარდალთსარდალი, მეფეთმეფე, ქურუმთქურუმი...**

3. თუ კომპოზიციის პირველ ნაწილს სრულად აქვს შენარჩუნებული **მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი ან ვითარებითი** ბრუნვის ნიშანი ან გავრცობილი თანიაწი მრავლობითის ფორმით არის წარმოდგენილი, ხოლო თვით რთული სიტყვა ერთგვარებანია (მიემართება ერთ ობიექტს) ან მისი შემადგენელი კომპონენტების გათიშვა (გადასმით თუ მათ შორის სხვა სიტყვის ჩასმით) შეუძლებელია: **ერთმანეთი** (მოთხრ.), **გზასაცდენილი** (მიც.), **თითისტარი, კისრისტეხით** (ნათ.), **ქვითკირი** (მოქმ.), **ღვთივკურთხეული** (ძვ. მოქმ.), **ავადმყოფი** (ვით.)... **ორთაბრძოლა, გულთამხილაგი, ვნებათაღელვა, ყურთასმენა, ცათამბჯენი...** (თანიაწი მრავლობითი).

შენიშვნა 1: ამ პრინციპით ერთ სიტყვად დაიწერება აგრეთვე ფერის აღმნიშვნელი ყველა რთული სიტყვა: **გიშრისფერი, ხოხბისფერი, ალისფერი...**

შენიშვნა 2: ასევე ერთად უნდა წარმოვადგინოთ ერთი და იმავე სიტყვის შემცველი ისეთი კომპოზიტიც, რომლის პირველ ნაწილს სრულად დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი. მაგ., **მეტისმეტი...**

4. როცა კომპოზიციის პირველი ნაწილი ბრუნვისფორმიანი¹, ებიან ან თანიაწი (გავრცობილი თუ გაუვრცობელი) მრავლობითში მდგარი სახელია, ხოლო მეორე კომპონენტი – ცალკე მდგომი თანდებული ან თანდებულის ფუნქციით გამოყენებული ზმნიზედა, კომპოზიციის შედეგად კი მიიღება **ახალი ლექსიკური ერთეული** (უმეტე-

¹ ბრუნვის ნიშანს უფრო ხშირად ინარჩუნებენ კომპოზიციის პირველი ხმოვანფუძიანი კომპონენტები.

სად ტერმინი): ნეკნებშორისი // ნეკნთაშორისი, მალეზშორისი // მალთაშორისი, ქვეყნებშორისი // ქვეყანათაშორისი... ბუნებისმიერი, ძალისმიერი, სოკოსმიერი, კბილზაგისმიერი, ენაკბილისმიერი, წინანისმიერი... წყალზევითი, პირიქითი, მთვარისირგვლივი, სკოლისგარეშე (განათლებზა), ბირჟისგარეშე (ოპერაციები)... (შდრ.: კლასგარეშე (ლიტერატურა), მაგრამ კლასის გარეშე გაკვეთილის ჩატარებზა შეუძლებელია).

შენიშვნა 3: შესაძლოა ზემოაღნიშნული წესებისგან განსხვავებული ვითარებზა გამოიკვეთოს ტერმინთქმნადობისას და ასევე ისეთ ლექსიკურ ერთეულებზთან, რომლებიც გარკვეულ კონტექსტში იდიომატური მნიშვნელობის მქონენი არიან.

შდრ.:

მოხუცი **გულის ტკივილს** უჩიოდა (**გულის ტკივილი** – პირდაპირი მნიშვნელობით).

დოდომ **გულისტკივილით** გვიამბო ეს ამბავი (**გულისტკივილი** – გადატანითი მნიშვნელობით).

პაციენტს **თავის ტკივილი** აწუხებდა (**თავის ტკივილი** – პირდაპირი მნიშვნელობით).

ეს კიდევ ახალი **თავისტკივილი** დაგვემატა (**თავისტკივილი** – გადატანითი მნიშვნელობით) და მისთ.

დასაბუთებზა

თანამედროვე ქართულში კომპოზიტთა მიღების ერთ-ერთი აქტიური საშუალებზა სიტყვაფორმათა შეერთებზა. ასეთ შემთხვევაში რთული სიტყვის პირველი კომპონენტი შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდითი რიცხვისა თუ **ებიანი** მრავლობითის რომელიმე ბრუნვის ფორმით ან – **თანიანი** მრავლობითით (როგორც სავრცობი „ა“ ხმოვნის შენარჩუნებით, ისე მის გარეშე).

საილუსტრაციო მაგალითები:

რთული სიტყვის პირველი კომპონენტი

1. მხოლოდობით რიცხვშია და წარმოდგენილია სხვადასხვა ბრუნვის ფორმით:

მოთხრ. ერთმანეთი

მიც. ახლოსმყოფი, გზასაცდენილი, შორსმჭვრეტელი, წრესგადასული

ნათ. ერისკაცი, თითისტარი, კარისკაცი, თავისუფლება

მოქმ. ქვითკირი, მოწითმოსილი

ვით. ავადმყოფი, ყურადსადები, ცადაზიდული, მმადნაფიცი

რამდენიმე ერთეული დასტურდება მოქმედებითი ბრუნვის ძველი „ივ“ ნიშნით: **ღვთივკურთხეული, ღვთივგიმადლებული...**

2. თანთან მრავლობითშია და შენარჩუნებული აქვს სავრცობი „ა“: **გაზთაცვლა, გულთამხილავი, ვნებათაღელვა, სულთამხუთავი, ფიქრთამპყრობელი, ყურთასმენა, ცათამბჯენი, ცათაფრენა, ძაღლთაპირი, მძათამკვლელი (ომი)...**

3. თანთან მრავლობითში წარმოდგენილია სავრცობი „ა“-ს გარეშე: **ასოთჩამოსხმა, ზგერათმახვილი, ზინათმშენებლობა, გემთსაშენი, ენათმეცნიერი, კაცთმოყვარე, ლექსთწყობა, მიწათმომწყობი, მუსიკათმცოდნე...**

რაც შეეხება ებიან მრავლობითში მდგარ პირველ ნაწილს, იგი ფაქტობრივად არ გვხვდება ბრუნვისნიშნის ფორმით, ხოლო ბრუნვისნიშნისჩამოცილებული უმეტესად დასტურდება: (ა) თანდებულის ფუნქციით გამოყენებულ ზმნისართებსა თუ ცალკე მდგომ თანდებულებთან შერწყმისას ან (ბ) მოქმედებითბრუნვისფორმიან საწყისებთან პირველ კომპონენტად და, ცხადია, ერთ სიტყვად იწერება:

ა. **კაკლებქვეშ, კლდეებშუა, რტოებქვეშ, სხივებქვეშ, ტოტებქვეშ, ფრთებქვეშ, ღეროებშუა...**

ბ. **ყურებჩამოყრით, წარბებშეკმუხნით, ხელებაპყრობით, ფეხებარეგით...**

ზოგადად, კომპოზიციას ხელს უწყობს პირველი სიტყვაფორმისთვის ბრუნვის ნიშნის სრული ან ნაწილობრივი ჩამოცილება. ასეთი ვითარება განსაკუთრებით ხშირად გვაქვს ნათესაობითი ბრუნვის შემთხვევაში. გვხვდება როგორც მხოლოდ თანხმოვნითი ელემენტის, ისე ბრუნვის ნიშნის სრულად ჩამოკვეცის მაგალითები:

რთული სიტყვის პირველ კომპონენტს

1. შენარჩუნებული აქვს ნათესაობითი ბრუნვის მხოლოდ ხმოვნითი ნაწილი: ბატონიშვილი (< ბატონის შვილი), გვარიშვილი (< გვარის შვილი), დედინაცვალი (< დედის ნაცვალი), თავადიშვილი (< თავადის შვილი), მამულიშვილი (< მამულის შვილი), რკინიგზა (< რკინის გზა)...

2. სრულად აქვს ჩამოცილებული ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი: კეთილმოსურნე (< კეთილის მოსურნე), კვერცხმდებელი (< კვერცხის მდებელი), გულსატკენი (< გულის სატკენი), ბრალმდებელი (< ბრალის მდებელი), თავსაფარი (< თავის საფარი), თევზჭერა (< თევზის ჭერა), კანონმდებელი (< კანონის მდებელი)...

კომპოზიტები, რომელთა პირველი ნაწილი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი სახელებია, უმეტესად მსაზღვრელ-საზღვრულის შერწყმის შედეგად მიიღება: ერისკაცი, თითისტარი, კარისკაცი...

ამავე ტიპისაა ფერების აღმნიშვნელი რთული სიტყვები (და ისინიც, ბუნებრივია, ერთად იწერება):

აგურისფერი, გიშრისფერი, შაქრისფერი, ხოხბისფერი, ალისფერი, ბადრიჯნისფერი, ბალახისფერი, ბრინჯაოსფერი, ბროწეულისფერი, ზღვისფერი, თამბაქოსფერი, თაფლისფერი, იასამნისფერი, იისფერი, ლალისფერი, ლაჟვარდისფერი, მარჯნისფერი, მტრედისფერი, ოქროსფერი, რძისფერი, სისხლისფერი, ქარვისფერი, ღვინისფერი...

ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ნაწილობრივ (მხოლოდ ხმოვანი) აქვს შენარჩუნებული ისეთ რთულ სიტყვათა პირველ კომპონენტებს, რომელთა მეორე ნაწილი მიმღეობური შინაარსის „ჭამია“, „ჭერია“, „ქექია“, „პარია“ ტიპის სიტყვებია. ერთი ვერსიით, პირველი კომპონენტი ნათესაობით ბრუნვაში დგას და ჩამოკვეცილი აქვს ბრუნვის ნიშანი (შანიძე 1980: 583). არსებობს განსხვავებული ვარაუდიც წინადადების შეკუმშვის შედეგად მათი მიღების შესახებ (**ბელტიყლაპია** < **ბელტი(ს) ყლაპ(ვ)-ი-ს ა(რს)**, მაჭავარიანი 2015: 34). რამდენადაც ამგვარ ერთეულთა პირველი ნაწილი ნათესაობით ბრუნვაში დგას, ხოლო მეორე კომპონენტი (მისი გენეზისის მიუხედავად) თანამედროვე ქართულში ერთ ოდენობად აღიქმება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამგვარ სიტყვათა კომპოზიტების ფარგლებში კლასიფიცირება.

აღნიშნული ყალიბის ლექსიკური ერთეულები ერთ სიტყვად იწერება: **ბატკნიჭამია, ბელტიყლაპია, ბუზიჭერია, ზაქიჭამია, თავ-ვიჭერია, თევზიპარია, კაციჭამია, კევიდეჭია, კრავიჭამია, კურდღლი-ჭერია, ნემსიყლაპია, ფესვიჭამია, ფოთლიჭამია, ქერქიჭამია, ცხენიპა-რია, ხარიპარია, ჯამილოკია, ჯამიტლეკია...**

ყურადღებას იქცევს ერთი და იმავე სიტყვის შემცველი ისეთი კომპოზიციები, რომელთა პირველი ნაწილი მხოლოდითი რიცხვის ნა-თესაობითი ბრუნვის ან თანიანი მრავლობითის გაუვრცობელი ფორ-მითაა წარმოდგენილი. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი რთული სახე-ლები აღმატებითი ხარისხის სემანტიკურ ელფერს ატარებენ: **ბევრის-ბევრი, მამაცთმამაცი, მრავალთმრავალი, სარდალთსარდალი, მე-ფეთმეფე** და სხვ.

ასეთი ერთეულები ერთად უნდა დაიწეროს ერთცნებიანობის გამო.

ერთად დაწერის ტენდენციას იჩენს ასევე თანიანი მრავლობი-თის გაუვრცობელ ფორმათა შემცველი რთული სიტყვები, გავრცო-ბილი თანიანი მრავლობითის მქონე ერთეულებისგან განსხვავებით, რომლებიც უმეტესად ორ სიტყვად იწერება. შდრ.:

სიტყვათგანლაგება, მაგრამ სიტყვათა განლაგება

სიტყვათრიგი, მაგრამ სიტყვათა რიგი

სიტყვათწყობა, მაგრამ სიტყვათა წყობა

ასოთჩამომსხმელი, მაგრამ ასოთა ჩამომსხმელი

ბგერათმახვილი, მაგრამ ბგერათა მახვილი

ბინათმშენებლობა, მაგრამ ბინათა მშენებლობა...

ზემოთ აღვნიშნეთ იმ მოცემულობათა შესახებ, რომლებიც ხელს უწყობს კომპოზიციას. ასეთებია: ბრუნვის ნიშნის სრული ან ნა-წილობრივი (მხოლოდ თანხმოვნის) ჩამოცილება, თანიანი მრავლო-ბითის შემთხვევაში კი – მისი სავრცობის გარეშე წარმოდგენა. თუმცა, რა თქმა უნდა, დასტურდება ისეთი ერთეულებიც, რომელთა პირვე-ლი ნაწილი ბრუნვის ნიშანს სრულად ინარჩუნებს ან თანიანი მრავ-ლობითის გავრცობილი ფორმით არის წარმოდგენილი. დაისმის კი-თხვა: რა არის ასეთ შემთხვევაში ერთად დაწერის არგუმენტი?!

იმის გასარკვევად, შესიტყვება გვაქვს თუ კომპოზიტი, უნდა ვიხელმძღვანელოთ ორი მეთოდით:

1. გავარკვიოთ, ერთცნებიანია თუ ორცნებიანი საანალიზო ერ-თეული. თუ ის ერთცნებიანია (მიემართება ერთ აღსანიშნს), მაშინ

ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს (**ორთაბრძოლა, ათისთავი, ჯარისკაცი, თითისტარი...**).

2. გამოვიყენოთ შესიტყვებისა და კომპოზიციის გარჩევის არ-ნოლდ ჩიქობავას მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემადგენელ ნაწილთა გათიშვას (გადასმით ან შიგ სხვა სიტყვის ჩართვით). „სადაც შესიტყვება კომპოზიტად არის უკვე ქცეული, გათიშვა შეუძლებელი ხდება (კომპოზიციის მნიშვნელობა იშლება). სადაც გათიშვა დაუბრკოლებლივ მიმდინარეობს, შესიტყვება გვაქვს და არა ერთი რთული სიტყვა, კომპოზიტი. სადაც გადასმა შესაძლებელია, მაგრამ საჩოთიროა, იქ კომპოზიტად ქცევის პროცესი დამთავრებული არაა: გარდამავალ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე“ (ჩიქობავა 2008: 163).

აღნიშნულის თანახმად, ერთად დაიწერება ისეთი სიტყვები, რომელთა გათიშვა შეუძლებელია.

დასახელებული კრიტერიუმების თანახმად, კომპოზიტად უნდა მივიჩნიოთ და, შესაბამისად, ერთად დავწეროთ **მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი** ბრუნვის ნიშნით ან გავრცობილი თანიაწი მრავლობითის ფორმით წარმოდგენილი პირველი ნაწილის შემცველი ლექსიკური ერთეულები, თუ ისინი ერთგნებიაწი (მიემართება ერთ ობიექტს) ან/და მისი შემადგენელი ნაწილების გათიშვა (გადასმით ან სხვა სიტყვის შუაში ჩასმით) შეუძლებელია. მაგალითად,

ერთმანეთი (პირველი კომპონენტი – მოთხრ.), **გზასაცდენილი** (პირველი კომპონენტი – მიც.), **თითისტარი** (პირველი კომპონენტი – ნათ.), **ქვითკირი** (პირველი კომპონენტი – მოქმ.), **ღვთივკურთხეული** (პირველი კომპონენტი – ძვ. მოქმ.), **ავადმყოფი** (პირველი კომპონენტი – ვით.)...

ორთაბრძოლა, გულთამხილავი, ვნებათაღელვა, ყურთასმენა, ცათამბხენი... (პირველი კომპონენტი – თანიაწი მრ.)

ამავე პრინციპით ერთ სიტყვად დაიწერება აგრეთვე ფერის აღმნიშვნელი ყველა რთული სახელი: **გიშრისფერი, ხოხბისფერი, ალისფერი...**

ცალკე უნდა აღინიშნოს ისეთი კომპოზიტიური ზმნიზედების შესახებ, რომელთა პირველი ნაწილი ნათესაობით ბრუნვაში მდგარი სიტყვაა (მხოლოდობითი ან **ებიან** მრავლობითი), ხოლო მეორე – მოქმედებითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი საწყისი. ამ ტიპის კომპოზიტთა შემადგენელი ნაწილების გადასმა შეუძლებელია ან

თუ გადავსვამთ, ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს, ამიტომ ასეთი ზმნიხედები ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს: **გულისფანცქალით, გულისხეთქით, კისრისტეხით... ყურებჩამოყრით, წარბებშეკმუხნით, ხელებაპყრობით, ფეხებარევით...**

აქვე უნდა შევვხვთ ერთი სახის რთულ სიტყვებს, რომლებიც მიღებულია ბრუნვისფორმიან ერთეულთან ცალკე მდგომი თანდებულის ან თანდებულის ფუნქციით გამოყენებული ზმნისართის შერწყმით.

ზოგჯერ ცალკე მდგომი თანდებულები მონაწილეობენ ახალი ლექსიკური ერთეულის შექმნაში. ამ შემთხვევაში, ცხადია, ისინი ავტონომიურობას კარგავენ და კომპოზიტის ნაწილად წარმოგვიდგებიან: **რიგებშუა, კლდეებშუა, ლაჯებშუა, ნეკნებშუა, რგოლებშუა, ურმებშუა, ფეხებშუა, ფურცლებშუა, ღეროებშუა... კბილთაშუა** (თანხმოვანი), **ხმელთაშუა** (ხმელთაშუა ზღვა), **რიგთაშუა, ძვალთაშუა...**

დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კომპოზიტის მეორე ნაწილად წარმოდგენილია თანდებულის ფუნქციით გამოყენებული ზმნიხედები, რომლებიც უბრუნვისნიშნო თანხმოვანფუძიან ან ბრუნვისნიშნიან ხმოვანფუძიან პირველ კომპონენტთან შერწყმულად (ერთ სიტყვად) დაიწერება:

ა) **საზღვარგარეთ, ქალაქგარეთ, კლასგარეთ, ბირთვგარეშე, შტატგარეშე, ბალანსგარეშე, ლიმიტგარეშე, ჯარგარეშე, წყალგაღმა, წელზევით, პირიქით, თავზევით, წელქვევით, ბუჩქქვეშ, თოვლქვეშ, რტოებქვეშ, ფრთებქვეშ, ვაგონქვეშ, თავქვეშ, თაღებქვეშ, კაკლებქვეშ, კალთებქვეშ, ლოდქვეშ, ნიკაპქვეშ, სხივებქვეშ, ტახტქვეშ, ურემქვეშ, უღელქვეშ, ფარდულქვეშ, მონძებქვეშ, წიხლქვეშ, წყალქვეშ, ხეებქვეშ...**

ბ) **ბირჟისგარეშე, სკოლისგარეშე...**

საილუსტრაციოდ მოხმობილი ერთეულების დაშლა-გადასმა მნიშვნელობის ან/და ფორმის ცვლილების გარეშე შეუძლებელია, ამიტომ ისინი ერთად უნდა დაიწეროს.

შდრ.:

სკოლისგარეშე განათლება და გეგმის გარეშე მოვიდა.

ზოგადად იკვეთება ტენდენცია, რომ ბრუნვის ნიშნის ჩამოცილება (სრულად ან ნაწილობრივ) ხელს უწყობს კომპოზიციას. შდრ.:

ხევგაღმა, მაგრამ ხევის გაღმა

**ხიდგაღმა, მაგრამ ხიდის გაღმა
თავზევით, მაგრამ თავის ზევით
მუცელქვეშ, მაგრამ მუხლის ქვეშ
უღელქვეშ, მაგრამ უღლის ქვეშ
თვალწინ, მაგრამ თვალის წინ
ცხვირწინ, მაგრამ ცხვირის წინ**

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ცალკე მდგომი თანდებულის ან თანდებულის ფუნქციით გამოყენებული ზმნისართის მონაწილეობით შექმნილი რთული სიტყვის მართლწერისას ყურადღება უნდა მიექცეს პირველი ნაწილის ბრუნვის ნიშნის შენარჩუნება-ჩამოცილების საკითხს.

ა. როცა კომპოზიტის პირველი ნაწილი მხოლოდითსა თუ ებიან მრავლობითში დასმული თანხმოვანფუძიანი სახელია და მას ჩამოცილებული აქვს ბრუნვის ნიშანი, ის ერთ სიტყვად დაიწერება: **თავზევით, თვალწინ, თოვლქვეშ, ლიმიტგარეშე, პირიქით, საზღვარგარეთ, სხივებქვეშ, ფრთებქვეშ, ქალაქგარეთ, შტატგარეშე, ცხვირწინ, წელზევით, წყალგაღმა, ხევგაღმა...**

ბრუნვის ნიშნის შენარჩუნების შემთხვევაში უმეტესად შესიტყვება გვაქვს და ის ორ სიტყვად დაიწერება:

**ექვგარეშე, მაგრამ ეჭვის გარეშე
კლასგარეშე, მაგრამ კლასის გარეშე
წყალგაღმა, მაგრამ წყლის გაღმა
უღელქვეშ, მაგრამ უღლის ქვეშ
თავზევით, მაგრამ თავის ზევით
თვალწინ, მაგრამ თვალის წინ
ცხვირწინ, მაგრამ ცხვირის წინ
ბოდებშუა, მაგრამ ბოდებს შუა
თითებშუა, მაგრამ თითებს შუა**

ბ. როცა კომპოზიტის პირველი ნაწილი ბრუნვისფორმიანი, ებიან ან თანიან (გავრცობილი თუ გაუვრცობელი) მრავლობითში მდგარი სახელია, ხოლო მეორე კომპონენტი – ცალკე მდგომი თანდებული ან თანდებულის ფუნქციით გამოყენებული ზმნიზედა, კომპოზიციის შედეგად კი მიიღება **ახალი ლექსიკური ერთეული** (უმეტესად ტერმინი): **ნეკნებშორისი // ნეკნთაშორისი, მალეშორისი // მალთაშორისი, ქვეყნებშორისი // ქვეყანათაშორისი...** ბუნებისმიერი, მა-

ლისმიერი, სოკოსმიერი, კბილბაგისმიერი, ენაკბილისმიერი, წინაენისმიერი... წყალზევითი, პირიქითი, მთვარისირგვლივი, სკოლისგარეშე (განათლებლა), ბირჟისგარეშე (ოპერაციები)... (შდრ.: კლასგარეშე (ლიტერატურა), მაგრამ კლასის გარეშე გაკვეთილის ჩატარება შეუძლებელია).

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ამგვარი ბრუნვისნიშნის პირველი კომპონენტები უფრო ხშირად ხმოვანფუძიანი სახელებია.

ცალკე უნდა აღინიშნოს იდიომატური მნიშვნელობის ისეთი შესიტყვებანი, რომელთა პირველი ნაწილი რომელიმე ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი. მათი დაწერილობის საკითხის (ერთად თუ ორ სიტყვად) გადასაწყვეტადაც გასათვალისწინებელია არნ. ჩიქობავას მეთოდი:

მოხუცი გულის ტკივილს უჩიოდა (გულის ტკივილი – პირდაპირი მნიშვნელობით).

დოდომ გულისტკივილით გვიამბო ეს ამბავი (გულისტკივილი – გადატანითი მნიშვნელობით).

პაციენტს თავის ტკივილი აწუხებდა (თავის ტკივილი – პირდაპირი მნიშვნელობით).

ეს კიდევ ახალი თავისტკივილი დაგვემატა (თავისტკივილი – გადატანითი მნიშვნელობით) და მისთ.

რაც შეეხება წესებისგან გამონაკლის ფორმებს, ისინი უნდა აისახოს ახალ ორთოგრაფიულ ლექსიკონში.

ლიტერატურა

ენციკლოპედია „ქართული ენა“ 2008 – ენციკლოპედია „ქართული ენა“, ი. ქობალავა (შემდგენელი), გ. კვარაცხელია (რედაქტორი), თბილისი.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები 1986 – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის 2016 (რედ.თ. ვაშაკიძე), თბილისი.

მაჭავარიანი 2015 – ნ. მაჭავარიანი, ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი.

ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი 1998 – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. III, თბილისი.

ჩიქოზავა 2008 – არნ. ჩიქოზავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

დანართი

კომპოზიტთა მცირე ლექსიკონი

დანართში ორთოგრამებად გათვალისწინებულია როგორც საკუთრივ კომპოზიტები, ისე იმ სახის ლექსიკური ერთეულები თუ შესიტყვებანი, რომელთა გამოყენებისას დადგება საკითხი – ერთ სიტყვად დაიწეროს (დეფისით, უდეფისოდ) თუ ცალ-ცალკე.

ა
 აათვალღერ-ჩაათვალღერებს (//
 აათვალ-ჩაათვალღერებს);
 აათვალღერ-ჩაათვალღერა
 (// აათვალ-ჩაათვალღერა);
 აუთვალღერ-ჩაუთვალღე-
 რებია (// აუთვალ-ჩაუთვა-
 ღღერებია); აეთვალღერ-ჩა-
 ეთვალღერებინა (// აეთვალ-
 ჩაეთვალღერებინა)
 აატარ-ჩამოატარებს; აატარ-
 ჩამოატარა; აუტარ-ჩამოუ-
 ტარებია; აეტარ-ჩამოეტა-
 რებინა
 ააყოღ-ჩააყოღებს; ააყოღ-ჩაა-
 ყოღა; აუყოღ-ჩაუყოღე-
 ბია; აეყოღ-ჩაეყოღებინა
 აბდაუბდა (აბდაუბდის{ა})
 აგვბედ-დაგვბედავს; აგვბედ-
 დაგვბედა; აუბედ-დაუბე-
 დავს [// აუბედ-დაუბე-
 დია]; აებედ-დაებედა
 აგროდამუშავება (აგროდამუ-
 შავების{ა})
 აგრომელიორაცია (აგრომე-
 ლიორაციის{ა})

აგროსამრეწველო (კომპლექ-
 სი / გაერთიანება...)
 აგროსერვისი (აგროსერვისს)
 აგროტექნიკა (აგროტექნიკ-
 ის{ა})
 აგროქიმია (აგროქიმიის{ა}):
 აგროქიმიური
 აგურ-აგურ
 ადათ-წეს{ებ}ი
 ადამისდროინდელი (ამბა-
 ვი...)
 ადგიღ-ადგიღ
 ადგიღგადანაცვლება (ად-
 გიღგადანაცვლების{ა})
 ადგიღ-მამული, მ ა გ რ ა მ: სა-
 ადგიღმამულო, ადგიღ-
 მამულიანი; უადგიღმა-
 მულო
 ადგიღმდებარეობა (ადგიღ-
 მდებარეობის{ა})
 ადგიღმონაცვლე (ადგიღმო-
 ნაცვლის{ა})
 ადგიღმონაცვლეობა (ად-
 გიღმონაცვლეობის{ა})

ადგილსამყოფელი (ადგილ-
სამყოფლის{ა})

